

მოქალაქეობა

X

II ნაცილი

მოსწავლის ნიგნი

სარჩევი

| | |
|---|----|
| სამართლებრივი კულტურა | 7 |
| 1. საზოგადოებრივი ხელშეკრულება | 7 |
| 2. სახელმწიფო მიზანი და სტრუქტურა | 15 |
| 3. სამართლებრივი სახელმწიფო არსე | 33 |
| 4. მოქალაქეთა როლი სამართლებრივი კულტურის დამვიღებაში | 49 |
| 5. საზოგადოების დამოკიდებულება დაცვაულის მიმართ | 64 |
| ლექსიკონი | 74 |

სახელმძღვანელო გამოყვანებული პირობითი ნიშნები:



კომპლექსური დავალება

Don't copy

რა არის პომპლექსური დავალება?

კომპლექსური დავალება ცოდნის აგების არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა. მისი პირობა შედგება შესასწავლი საკითხის, თქვენ მიერ შესაქმნელი პროდუქტისა და შეფასების კრიტერიუმებისაგან, რომლებიც თქვენმა ნამუშევარმა უნდა დააკმაყოფილოს.

იმისთვის, რომ მოცემული თემების შესწავლა გაგიადვილდეთ და ახალი ცოდნის დაუფლებაც სახალისო პროცესი იყოს, თითოეული საკითხის განხილვის დაწყებამდე გაეცანით შემოთავაზებული კომპლექსური დავალების პირობას. მასში გამუქებულად წერია საკითხი, პროდუქტი და კრიტერიუმები. მოირგეთ დავალების პირობით შემოთავაზებული როლი და დავალებაზე საკითხის შესწავლის პარალელურად იმუშავეთ. სახელმძღვანელოში მოცემული მასალა კომპლექსური დავალების პირობას ერგება და, შესაბამისად, პარაგრაფში მოცემული თეორიული მასალა და სავარჯიშოები დავალების ხარისხიანად შესრულებაში დაგეხმარებათ. სავარჯიშოების ნაწილი შეგიძლიათ საშინაო დავალებად შეასრულოთ, რომელ სავარჯიშოს გააკეთებთ სახლში და რომელს – კლასში, მასწავლებელთან ერთად შეარჩიეთ. დავალებაზე მუშაობისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც დავალებაში ბულეტების სახითაა გამოყოფილი.

თუ დავალების პირობა წინასწარ გეცოდინებათ, ეს საშუალებას მოგცემთ, მეტი ყურადღებით დაამუშაოთ მასალა და ეფექტურად წარმოაჩინოთ ახალი ცოდნა თქვენ მიერ შექმნილ პროდუქტში.



კიდევ ერთი შესაძლებლობა, რომელსაც სახელმძღვანელო გთავაზობთ, არის ცოდნის თვითშეფასება. ამისთვის თითოეული საკითხის შესწავლის დაწყებამდე, კომპლექსურ დავალებებთან ერთად, გთავაზობთ სპეციალურ თვითშეფასების რუბრიკას.

კომპლექსური დავალების პირობის გაცნობის შემდეგ რვეულში ჩაინიშნეთ, რა დონეზე იცით დავალების ფარგლებში შესასწავლი საკითხი, ხოლო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის შემდეგ კვლავ შეაფასეთ საკუთარი თავი. დაფიქრდით, რამ განაპირობა თქვენი შედეგი, რა შეგეძლოთ გაეცემოთ იმისთვის, რომ უკეთესი შედეგი მიგეღოთ ან, თუ საკუთარი შედეგით კმაყოფილი ხართ, როგორ უნდა შეინარჩუნოთ ის სამომავლოდ. ეს დაგეხმარებათ, დააკვირდეთ საკუთარი ცოდნის აგების პროცესს და უფრო ეფექტურად დაგეგმოთ ის. სახელმძღვანელოში მოცემული კომპლექსური დავალებების შესრულების (ანუ თემატური საკითხების დამუშავების) შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

ვალების ფარგლებში შესასწავლი საკითხი, ხოლო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის შემდეგ კვლავ შეაფასეთ საკუთარი თავი. დაფიქრდით, რამ განაპირობა თქვენი შედეგი, რა შეგეძლოთ გაეცემოთ იმისთვის, რომ უკეთესი შედეგი მიგეღოთ ან, თუ საკუთარი შედეგით კმაყოფილი ხართ, როგორ უნდა შეინარჩუნოთ ის სამომავლოდ. ეს დაგეხმარებათ, დააკვირდეთ საკუთარი ცოდნის აგების პროცესს და უფრო ეფექტურად დაგეგმოთ ის. სახელმძღვანელოში მოცემული კომპლექსური დავალებების შესრულების (ანუ თემატური საკითხების დამუშავების) შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

- რა არის საზოგადოებრივი ხელშეკრულება;
- რა არის სახელმწიფოს მიზანი და როგორია მისი სტრუქტურა;
- რა არის სამართლებრივი სახელმწიფოს არსი;
- როგორია მოქალაქეთა როლი სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებაში;
- როგორია საზოგადოების დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ.

Don't copy

სამართლებრივი კულტურა

1. საზოგადოებრივი ხელშეკრულება

თქვენ ხშირად გსმენიათ ტერმინი „სამართლებრივი სახელმწიფო“. ამ სიტყვებს სხვა-დასხვა კონტექსტში იყენებენ, მაგრამ ყველა თანხმდება, რომ სამართლებრივი სახელმწიფო არის დემოკრატიული სახელმწიფო, რომლის თვისაც დამახასიათებელი და ნიშანდობლივია: კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება, ადამიანის უფლებების დაცვა.

სანამ უშუალოდ სამართლებრივი სახელმწიფოს მოქმედების პრინციპებზე გადავიდოდეთ, ჯერ გავერკვეთ, რა მიზნებს ემსახურება ის, როგორია მისი საქმიანობის წინაპირობები და რა არის საჭირო ამ სისტემის დასამკვიდრებლად.



შეაფასეთ თქვენი წინარე ცოდნა. დაფიქრდით, რა სახის ინფორმაცია და აქტივობები დაგჭირდებათ, რომ დავალების შესრულების შემდეგ უკეთესი შედეგი მიიღოთ.



კომპლექსური დავალება

გაეცანით პარაგრაფში მოცემულ ინფორმაციას და ისტორიებს წესების შემუშავებისა და მათი დაცვის მნიშვნელობის შესახებ (აქტივობები №4 და №5). დამუშავებული მასალის გამოყენებით შექმნით საგაზირო სტატია – „რისთვის გვჭირდება წესები“.

სტატიაში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- რატომ არის საჭირო უსაფრთხო გარემო პიროვნების თავისუფლად ჩამოყალიბებისთვის და როგორ უწყობს ამას ხელს საზოგადოებაში არსებული შეთანხმებული და აღიარებული წესები?
- როგორ აისახება საზოგადოებრივი წესების არსებობა და მათი დაცვა ადამიანის მოთხოვნილებების დაქმაყოფილებაზე და რა როლი აქვს ცალკეულ მოქალაქეს საზოგადოებრივი წესების შექმნასა თუ დაცვაში?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ასერტულობა საზოგადოების ჰარმონიული ურთიერთობებისთვის? როგორ უკავშირდება საზოგადოების ჰარმონიული ურთიერთობა საზოგადოებრივ წესებსა და მოთხოვნილებებს?

რეკომენდაცია:

დავალების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას იპოვით სახელმძღვანელოს მოცემულ პარაგრაფში, ყურადღებით დაამუშავეთ მასალა და რევეულში მოინიშნეთ ყველა მონაკვეთი, რომლებიც ზემოთ მოცემული კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ.



დავალებაში ყურადღება გააძახვილეთ საზოგადოებრივი წესების მნიშვნელობაზე. შეგიძლიათ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირდით, სტატიაში ჩართოთ თქვენი ოჯახის წევრებისა და თანატოლების კომენტარები. ხაზი გაუსვით, როგორი უნდა იყოს წესები, რომ მათმა დაცვამ მართლაც დადგებითი გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე.

განვიხილოთ, როგორ არის მოწყობილი ზოგადად საზოგადოება – როგორ ყალიბდება და როგორ ფუნქციონირებს იგი.

ბევრი ფაქტი, რომელიც ქვემოთაა მოყვანილი, თქვენთვის უკვე ნაცნობია განვლილი მასალიდან. ახლა მოდი შევეცადოთ, თავი მოვუყაროთ და განვაზოგადოთ მთელი

ინფორმაცია, რათა შევქმნათ საერთო სურათი და ვნახოთ, როგორ გამოვიყენოთ იგი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ნებისმიერი სოციალური სტრუქტურა, ადამიანთა გაერთიანება განსაზღვრულ, დაწერილ თუ დაუწერელ, წესებს ეფუძნება. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ეს ჯგუფი მცირეა თუ მრავალრიცხოვანი.

ადამიანთა ჯგუფები (ოჯახი, სამეგობრო, მეზობლები) იცავენ როგორც დაწერილ, ისე დაუწერელ კანონებს. მაგალითად, მეგობრობა ნიშნავს ერთობლივ ქმედებებს, საერთო ინტერესებს და ა. შ. არ არსებობს კანონი, რომელიც იურიდიულად განსაზღვრავს, როდის უნდა შეხვდნენ მეგობრები ერთმანეთს და რაზე ისაუბრონ.

ამავე დროს, უნდა ითქვას, რომ საქმეში დაწერილი კანონებიც შემოდის. ოჯახთან დაყავშირებით არც ერთ კანონში არ წერია, ოჯახის რომელი წევრი რა როლს შეასრულებს, მაგრამ კანონმდებლობა არეგულირებს მათი ურთიერთობის ძირითად პრინციპებს. მაგალითად, მშობლების ვალდებულებაა, იზრუნონ ბავშვების აღზრდაზე და მათ უზრუნველყოფაზე. იგივე უნდა ითქვას მეზობლებთან ურთიერთობაზეც. ყველას აქვს პირადი ცხოვრების უფლება, მაგრამ კანონით (სამეზობლო სამართლით) განსაზღვრულია ის უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მეზობლებს შორის ურთიერთობებს არეგულირებს.

უფრო რთულდება მსხვილი ჯგუფების საქმიანობის მარეგულირებელი წესები. მაგალითად, პროფესიული ჯგუფების (მასნავლებლები, ექიმები, ფერმერები, სპორტსმენები და ა. შ.) საქმიანობა სხვადასხვა ნორმატიული აქტითაა დარეგულირებული.

ასევე რეგულირდება ადამიანთა გაერთიანება ტერიტორიულ საფუძველზე. სოფლის, დაბის, ქალაქის, ქალაქის უბნის უფლებებსა და მოვალეობებს თვითმმართველობის სტრუქტურები არეგულირებს, შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად.

სახელმწიფო ადამიანთა კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი გაერთიანებაა. შესაბამისი წესები (კანონები თუ რეგულაციები) და ამ წესების განხორციელებისათვის შექმნილი შესაბამისი სტრუქტურები ქმნის ე. წ. კონსტიტუციურ წესრიგს, რომლითაც რეგულირდება საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფერო.

დაბოლოს, სხვადასხვა მიზნით შექმნილი საერთაშორისო კავშირების (რომლებშიც ქვეყნები ერთიანდებიან), ასევე ცალკეულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ფორმები განისაზღვრება საერთაშორისო სამართლის მიერ.

ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, ჩანს ადამიანთა შორის ურთიერთობის დარეგულირების აუცილებლობა ყველა დონეზე, ყველგან არსებობს ე. წ. „თამაშის წესების“ შექმნის საჭიროება.



რა საჭიროა წესების არსებობა?

განვლილი მასალიდან თქვენ უკვე იცით, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ნების-მიერ სფეროში გარკვეული შეთანხმების არსებობა აუცილებელია თავად ამ სფეროს ფუნქციონირებისათვის.

წესების შემუშავებისას სასურველია, იგი პროცესის ყველა მონაწილემ გაიაზროს და გაიზიაროს. სწორედ ამ შემთხვევაში შეიძლება მდგრადი და ხანგრძლივვადიანი შედეგის მიღწევა.



მაგალითისათვის ავილოთ ჭადრაკის მარეგული-რებელი წესები. წარმოვიდგინოთ, რომ ჭადრაკის თამაშისას ერთი მხარე ეტლს ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად გადააადგილებს, კუს კი – დი-აფონალურად (როგორც ეს წესებითაა დადგენილი), ხოლო მეორე მხარე (მეორე მოთამაშე) მიიჩნევს, რომ კუს გადაადგილება ჰორიზონტალურადაც შეუძლია და ეტლის – დიაგონალურად. ასეთ შემთხვევა-ში თამაში შეწყდება ან კონფლიქტი წარმოიშობა.



აქტივობა № 1

 გამართეთ დისკუსია „თამაშის წესებთან“/რეგულაციებთან დაკავშირებით. აირჩიეთ თემა (ყოველდღიური ცხოვრებიდან ან თქვენ მიერ მოდელირებული სიტუაციის მიხედვით). ჩამოაყალიბეთ რამდენიმე (ორი, სამი ან მეტი) ძირითადი წესი, რომელიც დაარეგულირებს თქვენ მიერ არჩეულ შემთხვევას.

მაგალითად, თემად შეიძლება აირჩიოთ რეალური – „ჩემი სამეცნიერო“ – ან არარეალური – „ვარ პოლიტიკური პარტიის ან ბიზნესკორპორაციის ხელმძღვანელი ჯგუფის წევრი“ სიტუაცია.

იმსჯელეთ, რა მოხდება, თუ სამოქმედო წესებზე ვერ შეთანხმდებით, ან შეთანხმების შემდეგ არ დაიცავთ მათ?

როგორ ყალიბდება წესები?

კაცობრიობას მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში აფიქრებდა ეს საკითხი და ამის შესახებ მრავალი მოსაზრებაცაა გამოთქმული. ისინი პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დაყყოთ:

1. არსებული რეალობა განსაზღვრავს წესების შემოღების აუცილებლობას;
2. წესების შემოღება განაპირობებს ახალი რეალობის შექმნას.




აქტივობა № 2

გამართეთ დისკუსია ქვემოთ წარმოდგენილი ორი შეხედულების შესახებ. შეეცადეთ, მოიყვანოთ თქვენეული მაგალითები. თქვენი აზრით, რომელი შეხედულებაა უფრო სწორი?

პირველი შეხედულების მომხრე ფილოსოფოსების მოსაზრება, ძირითადად, ჩამოყალიბებულია ფრაზაში – „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“. ითვლება, რომ ის-ტორიული პროცესები – ცხოვრება – ქმნის ახალ რეალობას, სადაც ძველი წესები აღარ მოქმედებს და მათი ახლით შეცვლაა საჭირო.

კარლ ჰაინრიხ მარქსი (Karl Heinrich Marx, 1818-1883) – გერმანელი ფილოსოფოსი, პოლიტიკური თეორეტიკოსი. ითვლება სოციალიზმის ერთ-ერთ და კომუნიზმის თეორიის მთავარ ფუძემდებლად. მისი აზრით, ისტორიული პროცესები წარმოშობს წესების შეცვლის საჭიროებას.



მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარება XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე. ახალმა რეალობამ კომუნიკაციების ახალი საშუალებების შექმნა მოითხოვა. თავის მხრივ, ციფრული ტექნოლოგიების დამკიდრების პროცესმა ახალი რეგულირების წარმოშობის საჭიროება განაპირობა (ინტერნეტის, ფეისბუკის და ა. შ. მოხმარების წესები).

მეორე ხედვა სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს და შეიძლება ჩამოყალიბდეს ასე: „ცნობიერება განსაზღვრავს ყოფიერებას“. ამ ხედვის მომხრენი მიიჩნევენ, რომ ჯერ ჩნდება იდეა, რომელიც ცვლის ადამიანთა აზროვნებას და ამის შემდეგ მკვიდრდება ის ყოველდღიურ ცხოვრებაში, სათანადო წესების შემუშავების მეშვეობით.

მაქსიმილიან კარლ ემილ ვებერი (Maximilian Karl Emil Weber, 1864-1920) – გერმანელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი. ითვლება თანამედროვე სოციოლოგიის ერთ-ერთ უმთავრეს ფუძემდებლად. ვებერის აზრით, საზოგადოების შეხედულებების ცვლა განაპირობებს გარემოს ცვლას.



ამ შეხედულების თანახმად, ბოლო ათწლეულების მანძილზე გაკეთებულმა აღმოჩენებმა (მაგ., IT ტექნოლოგიები) შეცვალა კაცობრიობის ცხოვრების წესი. ციფრული ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების განვითარება სწორედ ამ აღმოჩენების შედეგია.

რომელი შეხედულებაც არ უნდა იყოს მართებული, ფაქტია, რომ ისინი ურთიერთ-განმაპირობებელია.



აქტივობა № 3

გაეცანით ქვემოთ მოყვანილ ტექსტს. განიხილეთ ორი მოსაზრება:

1. საზოგადოებამ ჯერ კეთილდღეობას უნდა მიაღწიოს, ეთიკური ნორმები კი შემდეგაც შეიძლება დამკვიდრდეს;
2. თუ ეთიკური ნორმები (სამართლიანი „ქცევის წესები“) არ დამკვიდრდება, საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარება ვერ მოხდება.

თქვენი აზრით, რომელი შეხედულებაა უფრო სწორი? შეეცადეთ, საკუთარი ხედვა ისტორიული და თანამედროვე მაგალითებით დაასაბუთოთ.


თავის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ცნობილ ნაშრომში – „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“ – მაქს ვებერმა შეისწავლა კავშირი რელიგიურ იდეებსა და ეკონომიკურ ქცევას შორის. მეცნიერის აზრით, ქრისტიანობაში პროტესტანტული მიმართულების გაჩენამ დიდი გავლენა მოახდინა კაპიტალიზმის განვითარებაზე. სწორედ პროტესტანტულმა ქვეყნებმა (ჩრდილოეთი ევროპა, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, აშშ და ა. შ.) ჩამოაყალიბეს მძლავრი ეკონომიკა და მიაღწიეს საყოველთაო კეთილდღეობას.

ვებერის აზრით, პროტესტანტულ ეთიკას შემდეგი პრინციპები განსაზღვრავს:

- ადამიანის მთელი ცხოვრების (მათ შორის, პროფესიულის) ღვთის სამსახურად აღქმა;
- პროფესიული წარმატება, როგორც ღვთის რჩეულობის ნიშანი;
- შრომის კულტი და სწრაფვა კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ;
- მომჭირნეობა და ინიციატივის გამოჩენა.

მოგვიანებით ვებერისა და მისი მიმდევრების შეხედულებები გარკვეულად შეიცვალა. თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ღირებულებების მიკუთვნება მხოლოდ პროტესტანტული სამყაროსათვის მართებული არ აღმოჩნდა. მსოფლიოში არსებული სხვა კულტურებიც (იტალია, საბერძნეთი, იაპონია, ტაივანი) ასევე აღწევენ წარმატებებს.

დღეისათვის მიიჩნევა, რომ პროტესტანტული ეთიკა გულისხმობს არა პროტესტანტიზმს რელიგიური გაგებით, არამედ საზოგადოების მიერ წარმატებაზე ორიენტირებული, აქტიური, სამართლიანი და დემოკრატიული ქცევის ნორმების დამკვიდრებას.



აქტივობა № 4

გაიხსენეთ ადამიანის მოთხოვნილებათა პირამიდა და მისი გათვალისწინები:

1. გაეცანით ქვემოთ მითითებულ წყარო №1-ს და იმსჯელეთ, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოების ღირებულებები და მზაობა იმისთვის, რომ სრულყოფილად დაინერგოსინკლუზიური განათლება?

2. გაეცანით ქვემოთ მითითებულ წყარო №2-ს და იმსჯელეთ, რატომ და როგორ უნდა მოვითხოვოთ წესების ასერტულად აღსრულება?

თქვენი აზრით, ადამიანის მოთხოვნილებათა პირამიდის შესაბამისად, რომელ მოთხოვნილებებს უკავშირდება მოყვანილი მაგალითები?

წყარო №1

(ამონარიდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სტიგმატიზაციის კვლევის ანგარიშიდან, რომელიც მოამზადა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტმა)


„[მასწავლებლები] არ მიძახებენ, არაფერს მეკითხებიან; ნიშანს კი მაინც მიწერენ; მთავარია, წყნარად ვიჯდე და პატივისცემით მოვეპყრო მასწავლებელს”.
(შემ მოზარდთა ფოკუს ჯგუფის მონაწილე)

„ჩვენ გვაქვს მაგალითები, როდესაც სასკოლო ზეიმზე მასწავლებელს რატომღაც ჰქონია, რომ ეტლიანი ბავშვი ისედაც არ უნდა ჩართოს და როდესაც უსაყვედურებ, გაკვირვებული იკითხავს – „ესეც უნდა ჩამერთო“?! მასწავლებლებს ეს გაცნობიერებული არ აქვთ. მაგალითად, ექსკურსიაზე როდესაც მიდიან და კლასში ჰყავთ აუტისტი ბავშვი, მას არ ეუბნებიან, წამოდიო; ეს ახლახან მოხდა ერთ-ერთ სკოლაში; მშობელმა აღმოაჩინა, რომ სკოლაში აგროვებდნენ ფულს და აუტისტი ბავშვის მშობელს არაფერი უთხრეს.

(თამარ ისაკაძე, საქართველოსგანათლებისა და მეცნიერებისსამინისტრო, მულტიდისციპლინური გუნდის კოორდინატორი)

წყარო №2

ნინო პირველკლასელი მოსწავლეა, მას დაუნის სინდრომი აქვს. იგი მასწავლებელმა სასკოლო ზეიმზე არ ჩართო, რის გამოც მშობელმა ოფიციალური განცხადებით მიმართა სკოლას და მოითხოვა, ბავშვი თანატოლებთანერთად ჩაერთოთ აღნიშნულ ღონისძიებებში და მომავალშიც არასოდეს გამოეტოვებინათ იგი. ამის შემდეგ ნინოს მასწავლებელმა ბოდიში მოიხადა და პირობა დადო, რომ ეს გაუგებრობა იყო და ახლაც და სამომავლოდაც აუცილებლად ჩართავდა ნინოს აქტივობებში.



კანონი – შექმნა და აღსრულება

კანონის/წესის (თუნდაც, საუკეთესოს) მხოლოდ შემუშავება არ არის იმის გარანტია, რომ დარეგულირდება საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე კონკრეტული სფერო. შემუშავების გარდა, აუცილებელია მათი ამოქმედებაც – თუ საზოგადოება (ან მისი ძირითადი ნაწილი) არ დაიცავს კანონს, ის ქალალდზე დაწერილ უფუნქციო ტექსტად დარჩება.



აქტივობა №5

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგიერთი წესი დაუწერელია, ზოგ წესს კი კანონის სახე აქვს და მისი შესრულება სავალდებულოა. სწორედ ასეთ წესს განეკუთვნება ინკლუზიური განათლების კუთხით არსებული ჩანაწერი ზოგადი განათლების შესახებ კანონში. გაეცანით ქვემოთ მითითებულ წყარო №3-ს და იმსჯელეთ, როგორ აისახება ეს ჩანაწერი და მისი აღსრულება როგორც ცალკეული პიროვნების ჩამოყალიბე-

ბაზე, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ადამიანის მოთხოვნილებათა დაკავშირფილებაზე.

2. გაეცანით გადაცემა „ეკიპაჟის“ ერთ-ერთ ეპიზოდს, რომელიც ასახავს

ავტოსაგზაო შემთხვევას და წვრილმანი ხულიგნობის გამო პოლიციელთა მიერ მოქალაქეთა დაკავების ფაქტებს (<https://www.youtube.com/watch?v=3SkLcdpdXw0>) და იმსჯელეთ, რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი წესები საზოგადოების ჰარმონიული ურთიერთობებისთვის და რა როლს ასრულებენ სამართალდამცავები ამ წესების დაცვაში.

თქვენი აზრით, ადამიანის მოთხოვნილებათა პირამიდის რომელ მოთხოვნილებებს უკავშირდება მოყვანილი მაგალითები?



ნუარო №3

(საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 22, პუნქტი 63).

„სამინისტრო უზრუნველყოფს მინისტრის მიერ დაფუძნებული საჯარო სკოლების ინკლუზიური განათლების, მათ შორის, სპეციალიზებული კლასებისა და ინტეგრირებული კლასების, დაფინანსებას, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით უნდა უზრუნველყოფდეს.“



აქტივობა № 6

განიხილეთ ქვემოთ მოცემული ინფორმაცია.

- შეაფასეთ, რამდენად მართებულად მოიქცა მოცემულ შემთხვევაში ხელისუფლება?
- საჭიროა თუ არა ყველა მსგავს სიტუაციაში მოსახლეობის აზრის გათვალისწინება?
- ხომ არ ჯობდა, მთავრობას, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების გარეშე, უფრო სწრაფად და ეფექტურად ემოქმედა?
დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.

რამდენიმე წლის წინ გერმანიის მთავრობამ განაცხადა, რომ შეუგერმანიაში, ქალაქებს, ჰანოვერსა და ჰამბურგს შორის, ჩერიოსნული მატარებლების ხაზის გაყვანას გეგმავდა.

კითხვაზე, რამდენი ხანი დასჭირდებოდა ამ პროცესს, ტრანსპორტის სამინისტრომ განაცხადა, რომ პროექტის განხორციელებისათვის 15 წელი იყო საჭირო და განმარტა, რომ უშუალოდ მშენებლობისათვის ამ დროის 1/3 საკმარისი იქნებოდა. ამავე დროს, საჭირო იქნებოდა 10-წლიანი მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც დაეთმობოდა პროექტირებას, შესაბამისი თანხების მოზიდვას, საქმიანობის დაგეგმვას და, რაც მთავარია, საზოგადოების ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების გამართვას ეკონომიკურ, სოციალურ, ეკოლოგიურ და სხვა საკითხებთან დაკავშირდებით.



მთავრობის ასეთი მიდგომა განაპირობა იმან, რომ პროექტის განხორციელება შეცვლიდა შესაბამისი რეგიონის სოციალურ და ეკონომიკურ სურათს: ბევრი მცირე ბიზნესი გაუქმდებოდა ან/და სხვა ბიზნესით ჩანაცვლდებოდა; მატარებლის მარშრუტზე ზოგ დასახლებაში მცხოვრებთა რაოდენობა შემცირდებოდა, ზოგში, პირიქით – გაიზრდებოდა და ა. შ. მაგალითად, თუ ჩქაროსნული მატარებელი პატარა ქალაქში აღარ გაჩერდებოდა, სადგურზე ვაჭრობის ბიზნესს მოაკლდებოდა ~~ეკონომიკურა და შესაბამისად~~, ბიზნესი შეიძლება გამქრალიყო.

შესაბამისად, აუცილებელი იყო საზოგადოების ინფორმირება მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მოსალოდნელი რისკების მოქალაქეებთან ერთად განხილვა და სათანა-დო პრევენციული (წინასწარი) ღონისძიებების გათვალისწინება.

კანონმორჩილება – მიღებული კანონების/წესების პატივისცემა და დაცვა – ბრმა მორჩილებას არ გულისხმობს. კანონმორჩილება მოქალაქეებთან ერთად განხილვა და სათანა-დო პრევენციული (წინასწარი) ღონისძიებების გათვალისწინება.


თუ საზოგადოება – კონკრეტული საკითხის გადაწყვეტით დაინტერესებული ყველა ჯგუფი თუ პირი – ჩართულია წესების შემუშავებაში, იაზრებს და ეთანხმება ამ რეგულაციებს, მაღალია ალბათობა, რომ ეს საზოგადოება შემდეგ თანამიმდევრულად და მუდმივად დაიცავს ამ წესებს. ამ შემთხვევაში გვარდება არა მხოლოდ კონკრეტულ დროის მონაკვეთში არსებული პრობლემა, არამედ უზრუნველყოფილია მდგრადი განვითარების პროცესიც.

ისტორიიდან იცით, რომ კარგი და დროულად შექმნილი, გამოწვევებზე ადეკვატურად მოპასუხე წესები ხანგრძლივად მოქმედებს და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას და შენარჩუნებას უწყობს ხელს.


„არაფერია ქვეყნად იმაზე უფრო ძლევა-მოსილი, როგორც იდეა, რომლის დროც მოვიდა“.

ვიქტორ ჰიუგო

ვიქტორ-მარი ჰიუგო (Victor-Marie Hugo, 1802-1885) – ფრანგი რომანტიკოსი მწერალი, პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე.



ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, როგორ ყალიბდება ურთიერთობის მარეგულირებელი წესები სახელმწიფო დონეზე და რა მექანიზმები არსებობს ამისათვის.



შეაფასეთ საკითხთან დაკავშირებული თქვენი ამჟამინდებელი ცოდნა. დაფიქრდით, რა დაგეხმარათ ან რამ შეგიშალათ ხელი ცოდნის გაღრმავებაში, სამომავლოდ რას გაითვალისწინებთ?

2. სახელმწიფოს მიზანი და სტრუქტურა

ამ პარაგრაფში განვიხილავთ, რას ეფუძნება სამართლებრივი სახელმწიფო – რა წესებით მოქმედებს იგი და როგორ უკავშირდება, ზოგადად, სახელმწიფოებრიობის გაგება სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას.



შეაფასეთ თქვენი წინარე ცოდნა. დაფიქრდით, რა სახის ინფორმაცია და აქტივობები დაგჭირდებათ, რომ დავალების შესრულების შემდეგ უკეთესი შედეგი მიიღოთ.



კომპლექსური დავალება

გაეცანით პარაგრაფში მოცემულ ინფორმაციას სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ და შექმენით კომიქსი, რომელშიც წარმოაჩენთ სახელმწიფო სტრუქტურების როლს ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში.

კომიქსში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- რატომ არის ადამიანის უფლებების დაცვა მნიშვნელოვანი?
- ვის ევალება ადამიანის უფლებების დაცვა და როგორ უნდა იცავდეს ამ უფლებებს?
- ადამიანის უფლებების დაცვის რა მექანიზმები არსებობს?

რეკომენდაცია:

დავალების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას იპოვთ სახელმძღვანელოს მოცემულ პარაგრაფში. ყურადღებით დაამუშავეთ მასალა და რვეულში მოინიშნეთ ყველა მონაკვეთი, რომლებიც ზემოთ მოცემული კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ.

დავალებაში ყურადღება გააძახვილეთ სახელმწიფო სტრუქტურების მოვალეობებზე, მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები, რომლებშიც გამოჩენდება, თუ როგორ იცავს ან ვერ იცავს სახელმწიფო ადამიანის უფლებებს. ხაზი გაუსვით, რა შედეგი მოსდევს ადამიანის უფლებების დარღვევას.



რას წარმოადგენს სახელმწიფო?

რაც უფრო დიდია საზოგადოებრივი გაერთიანება, მით უფრო რთული და მრავალფეროვანია მისი მარეგულირებელი წესები.

სანამ უშუალოდ სახელმწიფოებში არსებული რეგულაციების განხილვაზე გადავალთ, უნდა გავიხსენოთ, ზოგადად რა არის სახელმწიფო.

გასულ წელს თქვენ უკვე შეისწავლეთ სახელმწიფოთა ფორმირების კანონზომიერებები. სახელმწიფოების წარმოქმნა საზოგადოების განვითარების პროცესის შედეგია. კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპზე ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფები, პრიმიტიული საქმიანობის პირობებში, შედარებით მარტივად რეაგირებდნენ გამოწვევებ-

ზე. ცივილიზაციის განვითარებამ, ერთმანეთისაგან განსხვავებული საქმიანობით (მიწათმოქმედებით, მესაქონლეობით, ხელოსნობით და ა.შ.) დაკავებულ ადამიანთა დიდი ჯგუფების ერთად ცხოვრებამ, შექმნილი პროდუქტის ერთმანეთს შორის გაცვლის საჭიროებამ და უცხო, მტრული გაერთიანებებისაგან თავის დაცვის აუცილებლობამ გამოიწვია სახელმწიფოების ჩამოყალიბება.



აქტივობა № 1

მოქალაქეობისა და ისტორიის კურსების განვლილი მასალიდან გაიხსენეთ, რა მიზნით შეიქმნა უძველესი სახელმწიფოები.

ვის ინტერესებს იცავს სახელმწიფო?

დედამიწის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა პერიოდში არსებული სახელმწიფოები თავიანთი ფორმითა და მიზნებით ძალზე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. თუმცა მათ აერთიანებს ერთი საერთო ნიშანი – სახელმწიფო ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მოხარუნილებათა დასაკმაყოფილებლად იქმნება.

ყველა სახელმწიფო თავისი შემქმნელის ინტერესს იცავს:

- თუ სახელმწიფოს ერთი პირი ქმნის, მთელი სახელმწიფო სისტემა მას ემსახურება;
- თუ სახელმწიფო ადამიანთა ჯგუფის მიერაა შექმნილი, მაშინ მათ მიერ შექმნილი სახელმწიფო სწორედ ამ ჯგუფის ინტერესებს იცავს;
- თუ სახელმწიფოს ქმნის მთელი საზოგადოება (დღეისათვის არსებული დემოკრატიული სახელმწიფოები), სახელმწიფო იცავს თავის შემქმნელის, საზოგადოების, ინტერესებს.



აქტივობა № 2

მოქალაქეობისა და ისტორიის კურსების განვლილი მასალიდან გაიხსენეთ, ვის (რომელი სოციალური, ეთნოკური თუ სხვა ჯგუფების) ინტერესებს ემსახურებოდა სხვადასხვა ეპოქაში მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში არსებული სახელმწიფოები.

ისტორიის განმავლობაში არსებული სახელმწიფოების უმეტესობა მხოლოდ მოსახლეობის მცირე ან შედარებით დიდი ნაწილის ინტერესებს იცავდა, თუმცა ახალ ეპოქაში ვითარება იცვლება. თანამედროვე სახელმწიფო უკვე მთელი საზოგადოების, მისი ყველა წევრის ინტერესს იცავს. ასეთი სურათი ისტორიის განმავლობაში არსებული მრავალი ბრძოლის, აჯანყების, ომის, უფლებებისათვის მშვიდობიანი ბრძოლის შედეგად ჩამოყალიბდა.

განვლილი მასალიდან თქვენ უკვე იცით, რომ საზოგადოების წევრთა ინტერესებს თანამედროვე სახელმწიფო საკუთარი აპარატის საშუალებით მოქალაქეთა მიერვე გადახდილი გადასახადებისგამოყენებით იცავს.




აქტივობა № 3

გაიხსენეთ, ისტორიის მანძილზე როგორ ვითარდებოდა:

1. სამოქალაქო უფლებები;
 2. პოლიტიკური უფლებები;
 3. სოციალურ-ეკონომიკური უფლებები.
- მოიყვანეთ ამ უფლებებისათვის ბრძოლის მაგალითები.

„მოქალაქისათვის პოლიტიკური თავისუფლება ის სულიერი სიმშვიდეა, რომელიც თითოეულის უსაფრთხოების შეგნებიდან მომდინარეობს; იმისათვის, რომ გვერდეს ეს თავისუფლება, საჭიროა ისეთი მმართველობა, როცა ერთ მოქალაქეს მეორის შიში არ ექნება“. **შარლ დე მონტესკიუ**

შარლ დე მონტესკიუ (Charles-Louis de Montesquieu, 1689-1755) – ფრანგი მოაზროვნე და ფილოსოფოსი.



ადამიანის უფლებები

დღევანდელ მსოფლიოში ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებები საუკუნეთა განმავლობაში მიმდინარე პროცესების შედეგია.



თქვენ იცით, რომ თანამედროვე მსოფლიოში არსებობს საყოველთაო შეთანხმება იმასთან დაკავშირებით, რა არის ადამიანის უფლებები (გაერთიანებული ერების „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, 1948; „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ 1950). არსებობს ამ უფლებათა დაცვის მექანიზმებიც, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ე. წ. „სტრასბურგის სასამართლო“), სადაც

ევროპის ქვეყნების მოქალაქეებს საკუთარი უფლებების დაცვა შეუძლიათ.

საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ასევე ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობებით, განსაზღვრული ადამიანის უფლებების ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. ამასთან, თითოეული მათგანი დამატებით, ცალკე კანონებითა და სხვა ნორმატიული აქტებით რეგულირდება.



სახელმწიფოს მიზნები და ადამიანის უფლებების დაცვა

ისევე როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროები (რაზეც წინა პარაგრაფში იყო საუბარი), სახელმწიფოსა და ცალკეული ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფის ურთიერთობაც, გარკვეულწილად, ხელშეკრულებაა – ადამიანები სახელმწიფოს თავიანთი უფლებებისა და მოვალეობების ნაწილს გადასცემენ, სამაგიეროდ კი სახელმწი-

ფოსგან დაცვის, მხარდაჭერისა და განვითარების
გარანტიებს იღებენ.

მაგალითად, საზოგადოება სახელმწიფოს ან-დობს საკუთარი უსაფრთხოების, განათლების ან ჯანდაცვის უზრუნველყოფას. სახელმწიფო ამ მიზნების განსახორციელებლად ქმნის შესაბამის სტრუქტურებს (პოლიცია, შეიარაღებული ძალები, სკოლები და უნივერსიტეტები, საავადმყოფოები და ამბულატორიები). ცალკეულ ადამიანს აღარ უწევს, თავად დაიცვას თავი კრიმინალის ან უცხო ქვეყნის აგრესისაგან, მარტომ იზრუნოს შვილებისათვის განათლების მიცემაზე ან გაუმკლავდეს ჯანმრთელობის პრობლემებს. ამას უკვე სახელმწიფო უზრუნველყოფს. სამაგიეროდ, სახელმწიფო ადამიანებისაგან ითხოვს, შეასრულონ სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესები.

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მიზანია ამ სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობის შექმნა. მან უნდა უზრუნველყოს საზოგადოების:

- თანასწორობა;
- უსაფრთხოება;
- ეკონომიკური განვითარება;
- სოციალური მხარდაჭერა;
- სტაბილური განვითარება.




პრინციპი № 4

განიხილეთ აპრამ ლინკოლნის გამონათქვამი. თქვენი აზრით, რას ნიშნავს სიტყვები: „ხალხის ხელისუფლება, ხალხის მიერ და ხალხისათვის“?

„ერს, ღვთის წყალობით, ექნება ახლად შობილი თავისუფლება და ხალხის ხელისუფლება, შექმნილი ხალხის მიერ და ხალხისათვის, არ აღიგვება პირისაგან მიწისა“ (ა. ლინკოლნი, გეტისბერგის სიტყვა, 19.11.1863)

აპრამ ლინკოლნი (Abraham Lincoln, 1809-1865) – აშშ-ს მე-16 პრეზიდენტი (1861-1865).



თუმცა სახელმწიფოს ჩამოყალიბება, მრავალ სიკეთესთან ერთად, გარკვეულ საფრთხესაც შეიცავს.




პრინციპი № 5

წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და იმსჯელეთ:

- რა სახის საფრთხე შეიძლება შეუქმნას სახელმწიფომ თავის მოქალაქეებს?
- რა უნდა გაკეთდეს ამის თავიდან ასაცილებლად?

დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.

ინგლისელი ფილოსოფოსი **თომას ჰობსი** (Thomas Hobbes, 1588-1679) ნაშრომში „ლევი-ათანი“ აცხადებს, რომ ყველა ადამიანს აქვს მისწრაფებები და თვლის, რომ მათი დაკმაყოფილება სხვა ადამიანების ხარჯზე შეიძლება. შედეგად, თუ ურთიერთობის დადგენილი ნორმები არ იარსებებს, მივიღებთ საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს პრინციპით: „ყველა ყველას წინააღმდეგ“.



ასეთი საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭიროა შეიქმნას „თამაშის წესები“ და ამ წესების დამცველი ძალა. სწორედ ამის გამო იქმნება სახელმწიფოები. სახელმწიფო ბევრად ძლიერია, ვიდრე ცალკეული ადამიანი და მას შეუძლია, შეაკავოს ადამიანთა მცდელობა, ზიანი მიაყენოს სხვა ადამიანს.

ამავე დროს შესაძლებელია, თავად სახელმწიფო გახდეს მოძალადე, რადგან ის მეტისმეტად ძლიერია. ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა, სახელმწიფოც შეზღუდული იყოს კანონებით (წესებით). იგი ადამიანთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს უნდა ითვალისწინებდეს და მათ დასაცავად მოქმედებდეს.

ძალაუფლების დანაწილება


საუკუნეთა განმავლობაში კაცობრიობა თანდათან მივიდა დასკვნამდე, რომ სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება ძალაუფლების დანაწილებაა.



აქტივობა № 6

დაფიქრდით თომას ჯეფერსონის გამონათქვამზე და იმსჯელეთ, რატომ ვერ გახდება ხელისუფლება უკეთესი თავისი კონცენტრაციითა და კონსოლიდაციით?

„მთავრობა ხდება კარგი არა ხელისუფლების კონსოლიდაციით ან კონცენტრაციით, არამედ მისი სწორად დანაწილების შედეგად“.



თომას ჯეფერსონი (Thomas Jefferson, 1743-1826) – „აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ავტორი, აშშ-ს მესამე პრეზიდენტი (1801-1809).

ძალაუფლების დანაწილება ნიშნავს უფლებამოსილებების ისეთ გამიჯვნას ხელისუფლების სხვადასხვა შტოს შორის, როდესაც არც ერთ მათგანს არ გააჩნია საშუალება, მხოლოდ მან გადაწყვიტოს ყველაფერი. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლების რომელიმე ნაწილი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას შეეცდება, დანარჩენი შტოები მას შეაჩერებენ ან დააბალანსებენ.

მხოლოდ ასეთ პირობებში შეიძლება მოახერხონ ადამიანებმა თავიანთი უფლებების რეალიზება.

ძალაუფლების პორიზონტალური დანაწილება

ძალაუფლების პორიზონტალური დანაწილების პრინციპი შარლ დე მონტესკიემ ჩამოაყალიბდა: საჭიროა ხელისუფლების დანაწილება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად, რომელიც ერთმანეთის ფუნქციებში ვერ ჩაერევიან.

სახელმწიფოში იქმნება შესაბამისი სტრუქტურები:



- ნესების დამდგენი საკანონმდებლო ორგანო – სხვადასხვა ქვეყანაში მას სხვადასხვა სახელი აქვს: პარლამენტი, კონგრესი, უზენაესი საბჭო და ა. შ. (საქართველოში ამ ორგანოს პარლამენტი ეწოდება). საკანონმდებლო ორგანო საზოგადოების მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან შედგება. იგი განიხილავს და იღებს კანონებს; ზედამხედველობს აღმასრულებელ ხელისუფლებას; განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების ძირითად მიმართულებებს.



თითოეული ქვეყანა თავისი კანონმდებლობით (როგორც წესი, კონსტიტუციით) განსაზღვრავს საკანონმდებლო ორგანოს ფორმირების წესს. არჩევა ხდება მოსახლეობის თანაბარი ოდენობის ან ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

- დადგენილი წესების აღმასრულებელი ხელისუფლება (საქართველოში აღმასრულებელ ხელისუფლებას საქართველოს მთავრობა ჰქვია. სხვა ქვეყნებში ამ ორგანოებს ეწოდება: მთავრობა, მინისტრთა კაბინეტი, კომისრები, ადმინისტრაცია), რომელიც კანონების აღსრულების მიზნით მართავს ქვეყნის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს (განათლება, ჯანდაცვა, თავდაცვა და ა. შ.).

კანონმდებლობით განსაზღვრულია, ვინ ხელმძღვანელობს სხვადასხვა მიმართულებებს, მაგალითად:



- ქვეყნის საგარეო პოლიტიკას, უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობას წარმართავს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- ქვეყანაში არსებულ წესრიგსა და დანაშაულთან ბრძოლაზე პასუხისმგებელია შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- ეკონომიკურ პოლიტიკას განსაზღვრავს ეკონომიკის სამინისტრო;
- ქვეყნის ფინანსების მართვა ~~ქვეყნის მთავარ ფინანსურ მენეჯერს~~ – ფინანსთა სამინისტროს ევალება;
- სოფლის მეურნეობაში მიმდინარე პროცესების კოორდინაციაზე პასუხისმგებელია სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- განათლების სისტემის გამართული მუშაობა განათლების სამინისტროს პასუხისმგებლობაა;
- ჯანდაცვის სისტემის ორგანიზებას ახდენს ჯანდაცვის სამინისტრო და ა. შ.

- საქმიანობის პროცესში წამოჭრილი დავების გადასაწყვეტად იქმნება სასამართლო

ხელისუფლება, რომელიც განიხილავს დავებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის და, კანონის შესაბამისად, იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

საქართველოს, ისევე როგორც ბევრი სხვა ქვეყნის, სასამართლო სისტემა სხვადასხვა დონის (ინსტანციის) სასამართლოებისაგან შედგება:

- რაიონული (საქალაქო) სასამართლოები** – განიხილავს დავებს მხარეებს (ორი მოქალაქე, მოქალაქე და ორგანიზაცია, ორი ორგანიზაცია და ა. შ.) შორის და გამოაქვს განაჩენი;
- სააპელაციო სასამართლოები** – თუ რომელიმე მოდავე პირველი დონის სასამართლო გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა, მას შეუძლია გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივროს;
- უზენაესი სასამართლო** – ქვეყნის მთავარი სასამართლო, სადაც შეიძლება, გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ან პირდაპირ (ქვედა ეტაპების გავლის გარეშე) იქნეს განხილული ძალზე მნიშვნელოვანი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავა.



გარდა ამისა, არსებობს **საკონსტიტუციო სასამართლო** – თუ მოქალაქე მიიჩნევს, რომ ის დაჩაგრა არა სხვა ადამიანმა ან ორგანიზაციამ, არამედ არასწორად შედგენილმა კანონმა, ის საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავს, რათა ამ უკანასკნელმა დადგინოს, ხომ არ ეწინააღმდეგება ეს კანონი კონსტიტუციით აღიარებულ სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპს. თუ ასეთი რამ დადგინდა, მაშინ სახელმწიფომ უნდა შეცვალოს კანონი, კველა მოქალაქეების სასარგებლოდ.

ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს **სახალხო დამცველი**, რომელსაც საქართველოს პარლამენტი ირჩევს 6 წლის ვადით. სახალხო დამცველი, ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით, ზედამხედველობს ხელისუფლების ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უფლებათა დაცვას, ავლენს ამ უფლებათა დარღვევის ფაქტებს და ხელს უწყობს მათ აღდენენას. გარდა თბილისისა, სახალხო დამცველის აპარატს ოფისები აქვს ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, მარნეულში, გორში, ახალქალაქში, თელავში, ოზურგეთსა და მესტიაში.



აქტივობა № 7

იმსჯელეთ:

- რას ემსახურება ძალაუფლების პორიზონტალური დანაწილების პრინციპი?
 - რატომ არის იგი აუცილებელი საზოგადოების ხელისუფლებისაგან დასაცავად?
 - როგორ დააპალანსებს ხელისუფლების სხვადასხვა შტო ერთმანეთს?
- დასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

ძალაუფლების ვერტიკალური დანაწილება

ძალაუფლება, ცენტრალურ დონეზე დანაწილების გარდა, ვერტიკალურადაც ნაწილდება. ყველა სახელმწიფო სხვადასხვა მხარისა და დასახლებისაგან შედგება. თითოეულს თავისი, ადგილობრივი ინტერესები აქვს და ძალაუფლება ამ ინტერესე-



ბის გათვალისწინებით უნდა განაწილდეს არა მარტო ქვეყნის ხელისუფლების დონეზე (ეროვნული დონე), არამედ ტერიტორიული პრინციპითაც.

აქაც, ისევე როგორც ჰორიზონტალური დანაწილების შემთხვევაში, ყველა სახელმწიფოს საკუთარი მოწყობა აქვს, ეროვნული ტრადიციებიდან და ქვეყნის ისტორიიდან გამომდინარე.



აქტივობა № 8

იმსჯელეთ:

- რატომ არ არის საკმარისი ძალაუფლების ჰორიზონტალური დანაწილება?
- შესაძლებელია თუ არა ცენტრალური ხელისუფლების დონეზე გადაიჭრას ქვეყნის ყველა წერტილში, ცალკეული ქალაქისა თუ სოფლის რომელიმე უბანში არსებული ადგილობრივი პრობლემა?
- რა დონეზეა უფრო იოლი თითოეული მოქალაქისა თუ მოქალაქეთა მცირე ჯგუფის მონაწილეობა საერთო საზოგადოებრივი საქმეების გადაწყვეტის პროცესში?
- რა მიზნებს ისახავს ძალაუფლების ვერტიკალური დანაწილება?

დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

ეს საინტერესოა

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მხოლოდ 3 წელი იარსება (1918-1921), მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. ამ დროს ჩამოყალიბდა ისეთი სახელმწიფო სისტემა, რომელიც დღევანდელი განვითარებული დემოკრატიის ქვეყნების სახელმწიფო მოწყობას არაფრით ჩამოუვარდებოდა. რესპუბლიკაში სრულად განხორციელდა ძალაუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილების პრინციპი.

ჰორიზონტალური დანაწილება. ცენტრალური ხელისუფლების დონეზე შეიქმნა სამი, უფლებებითა და მოვალეობებით ერთმანეთისაგან მკაფიოდგამიჯნული, შტო:

- საკანონმდებლო ხელისუფლება – საყოველთაო არჩევნების გზით არჩეული დამფუძნებელი კრება, რომელმაც 1921 წლის დასაწყისში მიიღო ქვეყნის კონსტიტუცია და რომელსაც ძალაუფლება იმავე წელს უნდა გადაეცა 3 წლის ვადით არჩეული პარლამენტისათვის;
- აღმასრულებელი ხელისუფლება – **რესპუბლიკის მთავრობა**, რომელსაც ხელმძღვანელობდა ერთი წლის ვადით არჩეული მთავრობის თავმჯდომარე. თავმჯდომარედ ერთი და იმავეპირის არჩევა ზედიზედ მხოლოდ ორჯერ იყო დაშვებული;
- სასამართლო ხელისუფლება – ქვეყნის უზენაეს სასამართლოს **სენატი** ეწოდებოდა. სენატი მმართველი და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთაგან შედგებოდა.

ვერტიკალური დანაწილება. თვითმმართველობებს ფართო უფლებებიჰქონდათ და ცენტრალური ხელისუფლება მათ საქმიანობაშიარ ერეოდა:

- საქართველო დაყოფილი იყო 21 მაზრად, რომლებშიც მოსახლეობა ირჩევდა წარმომადგენლობით ორგანოებს – **ერობებს**. ერობა თავად ირჩევდა აღმასრულებელ ხელისუფლებას – **გამგეობას**;
- თვითმმართველი ქალაქები ცალკე ერთეულები იყო, რომლებსაც წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოები, შესაბამისად – **ქალაქის საბჭოები** და **ქალაქის თავები** – მართავდნენ. ქვეყანაში 33 თვითმმართველი ქალაქიარსებობდა;

- **თემები (თემისთავებით სათავეში)** წარმოადგენდნენ თვითმმართველობის პირ-ველ დონეს. ქვეყანაში 350-ზე მეტი თემი იყო. თემისთავებით მოსახლეობის სურვილით – თუ რომელიმე დიდი სოფელი მოინდომებდა, ჰქონოდა საკუთარი თვითმმართველობა, ან რამდენიმე მცირე სოფელი გადაწყვეტდა გაერთიანებას, ეს საკითხი ერობდა დონეზე გვარდებოდა.

ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობა (პირველი დონის მოსამართლეებისა და მილიციის ადგილობრივი ხელმძღვანელების ჩათვლით) არჩევითი იყო.

სახელმწიფოს მხრიდან მომავალი პოტენციური საფრთხეების აცილების გარდა, ძალაუფლების დანაწილების მიზანია ეფექტური მმართველობის განხორციელება და საზოგადოებაში სახელმწიფო სტრუქტურებისადმი ნდობის გაზრდა.

 ეს საინტერესოა სხვადასხვა თვითმმართველობაში (მუნიციპალიტეტში) შექმნილია ისეთი პროგრამები, რომლებიც ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გამოვლენასა და დაძლევას ისახავს მიზნად. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია „სამოქალაქო ბიუჯეტის“ ანუ „თანამონანილეობითი ბიუჯეტირების“ პროგრამები.

პროგრამების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გამოიყოფა განსაზღვრული თანხები. შემდეგ თვითმმართველობების ორგანოები სხვადასხვა დასახლებაში (ქალაქებში, დაბებში, სოფლებში), თემში (რამდენიმე სოფლის გაერთიანება) და დასახლების (ცალკეულ ნაწილებში (მაგალითად, ქალაქის უბნებში) მართავენ კონსულტაციებს. მოქალაქეები თავად წარმოადგენენ საჭიროობო საკითხების გადაჭრის გზებს და ის ხედვები/პროექტები, რომლებიც საზოგადოების ყველაზე მეტ მხარდაჭერას მოიპოვებს, თვითმმართველობის ბიუჯეტიდან ფინანსდება და თავად თვითმმართველობების მიერ ხორციელდება.



ბიუჯეტირების პროცესი

აქტივობა № 9

 1. თქვენი მუნიციპალიტეტის ელექტრონულ რესურსებში (ვებგვერდი, Facebook) მოიძიეთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის მექანიზმების შესახებ.



2. გაარკვით, მოიძიებულ შემთხვევაში/შემთხვევებში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რომელი უფლებაა გამოყენებული (საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, თავი XI. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=62>).

ძალაუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილების სქემა
(საქართველოს მაგალითზე):

| | | | |
|---|--|---|---|
| ცენტრალური (ეროვნული) ხელისუფლება | საკანონმდებლო ხელისუფლება (პარლამენტი) | აღმასრულებელი ხელი- სუფლება (მთავრობა – მინისტრთა კაბინეტი) | სასამართლო ხელისუფლება (სამი ინსტანციის სა- სამართლოები, საკონსტიტუციო სასამართლო) |
| ავტონომიური რესპუბლიკა | საკანონმდებლო ხელისუფლება (უმაღლესი საბჭო) | აღმასრულებელი ხელისუფლება (მთავრობა) | |
| ადგილობრივი თვით- მმართველობა | ნარმომადგენლობითი ხელისუფლება (საკრებულო) | აღმასრულებელი ხელისუფლება (მერი) | |

მოქალაქე და სახელმწიფო სტრუქტურები

თქვენ გაიხსნეთ, თუ რატომაა საჭირო მარეგულირებელი წესების არსებობა, რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები, რა როლი ეკისრება ამ მიმართულებით სახელმწიფოს და როგორი სტრუქტურები აქვს მას თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

ძალიან კარგი, იტყვით თქვენ, ~~უ~~გასაგებია, მაგრამ როგორ უკავშირდება ეს ~~უ~~
~~დაუკრი~~ რიგით ადამიანს? რატომ უნდა ვიცოდე ეს ყველაფერი? რაში მეხება?



სასუხი ამ კითხვებზე მარტივია: ჩვენ არა მხოლოდ უნდა ვიცოდეთ ეს ყველაფერი, არამედ უნდა შევძლოთ ამ ცოდნის გამოყენება როგორც ჩვენი, ისე, ზოგადად, საზოგადოების უფლებების დასაცავად, თუ ეს საჭირო გახდება.

~~აღნიშნულ სახელმწიფოს მრავალი სხვადასხვა კანონი არეგულირდება, რომელიც სამართლის სფეროს განვითარება.~~

სამართალი კრებითი სახელია და, თავის მხრივ, იყოფა დარგებად:

თითოეულ სახელმწიფოს თავისი კანონმდებლობა აქვს (**ეროვნული სამართალი**), რომელიც სხვა სახელმწიფოებში მოქმედი კანონმდებლობისაგან განსხვავდება. როცა კანონთან გვიწევს შეხება, უნდა ვიცოდეთ, რა სახის კანონები მოქმედებს ამა თუ იმ ქვეყანაში. მაგალითად, 20 წლის ახალგაზრდას საქართველოში შეუძლია ალკოჰოლური სასმელი დაღის, რაც აშშ-ში კანონდარღვევად ითვლება. იქ 21 წლამდე პირებს ეკრძალებათ ალკოჰოლის მოხმარება.

მიუხედავად განსხვავებებისა, მსოფლიო საზოგადოება აღიარებს საერთო კანონებსა და წესებს (**საერთაშორისო სამართალი**), რომელთა შესრულებაც ყველა ქვეყნისთვის სავალდებულოა. მაგალითისათვის, ამ სამართლის ნორმებით რეგულირდება საერთაშორისო სისხლის სამართალი, ქვეყნებს შორის ურთიერთობები და ა.შ.

გარდა აღნიშნულისა, სამართალი ასევე იყოფა რიგ დარგებად/მიმართულებებად და არეგულირებს შესაბამის საკითხებს:

- **კერძო სამართალი** მოიცავს: **სამოქალაქო სამართალს**, რომელიც აგვარებს ურთიერთობას ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის (ქონებრივი თუ სხვა სახის ურთიერთობები); **შრომის სამართალს** – ძირითადად ეხება ურთიერთობას დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის და ა.შ.

- **საჯარო სამართალი**, ძირითადად, არეგულირებს ურთიერთობას სახელმწიფო სტრუქტურებსა და კერძო პირებს, ასევე სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურას შორის და მოიცავს: **კონსტიტუციურ სამართალს**, რომელიც ანესრიგებს სახელმწიფო სისტემის უმთავრეს საკითხებს (მაგალითად, პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების გამიჯვნა); **ადმინისტრაციულ სამართალს**, რომელიც ეხება სახელმწიფო ინსტიტუტებისა თუ მოქალაქეთა საქმიანობის წესებს (მაგალითად, რომელიმე მოქმედი წესის დარღვევა (დავუშვათ, გარემოს დანაგვიანება) და ამის გამო გადასახდელი ჯარიმის დადგენა); **სისხლის სამართალს**, რომელიც დანაშაულისა და შესაბამისი სასჯელის საკითხებს ფარავს და სხვა.

 რა თქმა უნდა, ყველა მოქალაქე არ არის ვალდებული, ზედმინევნით იცოდეს ~~უფერადი ეს კანონი~~. თუ მას რაიმე სახის პრობლემა შეექმნება, შეუძლია სპეციალისტს (ადვოკატს, შესაბამის საჯარო დაწესებულებას) მიმართოს. ამავე დროს სასურველია, ყველამ გავითავისოთ რამდენიმე ძირითადი წესი.

მაგალითისათვის უნდა ვიცოდეთ, რას წარმოადგენს **უდანაშაულობის პრეზუმეცია** – ესაა სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმად, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი და ბრალდებული არ ჩაითვლება დამნაშავედ მანამ, სანამ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო არ დაადგენს ამას. ამასთან, დანაშაულის ჩადენის დამტკიცება მთლიანად ეკისრება ბრალმდებელ მხარეს. დაგუშვათ, თქვენ დაგაკავათ პოლიციამ, ეს არ ნიშნავს რომ უკვე დამნაშავე ხართ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენ მიმართ სერიოზული ბრალდებაა წამოყენებული. თქვენ დამნაშავედ ჩაითვლებით მხოლოდ მას შემდეგ, თუ ამას სასამართლო გადაწყვეტს.

გვახსოვდეს, ერთმანეთისაგან ყოველთვის უნდა განვახავაოთ სამართლადარღვევა და დანაშაული. მაგალითად, თუ ადამიანი ჩაიდენს არა დანაშაულს, არამედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, ან დაარღვევს რომელიმე დადგენილ წესს, მაგალითად, არ შეიკრავს ღვედს ავტომანქანით მგზავრობისას და მას პოლიციელიდაჯარიმებს, ვერავინ იტყვის, რომ დაჯარიმების გამო იგინასამართლევიპირია.



აქტივობა №10

წიგნში „სამართლის ქალაქი“ თქვენი სურვილისამებრ შეარჩიეთ და განიხილეთ 3 კაზუსი (შემთხვევა, მაგალითი), რომელიც ყველაზე მეტად დაგაინტერესებთ (http://www.library.court.ge/upload/samartlis_kalaki_for%20web.pdf).



ურთიერთობა პოლიციასთან

სახელმწიფოსა და მოქალაქეს ურთიერთობა მეტად მრავალფეროვანია და მათი განხილვა შორს წაგვიყვანს. ამიტომ შემოვიფარგლოთ მხოლოდ სამართალდამცველებთან მოქალაქეს ურთიერთობის მაგალითებით.

მოქალაქეს, სამართალდამცველი სახელმწიფო სტრუქტურებიდან, ყველაზე უფრო ხშირად შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან, კერძოდ პოლიციელებთან, უნევს შეხება.

საზოგადოებაში გავრცელებულია შეხედულება, რომ პოლიციის მოვალეობა მხოლოდ დანაშაულზე რეაგირებაა. თუმცა სინამდვილეში პოლიციის ფუნქციაა არა მხოლოდ დანაშაულთან ბრძოლა, არამედ წინასწარი (პრევენციული) მუშაობა დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.



საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ განსაზღვრავს პოლიციის საქმიანობის მიზნებს, პრინციპებსა და ფუნქციებს, რომლის თანახმადაც:

- პოლიცია, კანონის ფარგლებში, ახორციელებს პრევენციულ და სამართლ-დარღვევაზე რეაგირების ორნისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად (მუხლი 3);
- პოლიციელი განუხელად იცავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუმცებლობის, თანაზომიერების, ისკრუციული [მისი უფლებების შესაბამისად] უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპებს (მუხლი 8).

აღნიშნულ მიზნებთან დაკავშირებით, პოლიციის ფუნქციაა (საქართველოს კანონი პოლიციის შესახებ, მუხლი 16):

- ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
- ფიზიკურ და ურიდულ პირთა ქონების მართლასაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვა;
- სამართლდარღვევათა თავითან აცილების მიზნით პრევენციული ორნისძიებების განხორციელება;
- სამართლდარღვევათა გამოვლენა და შესაბამისი სამართლებრივი რეაგირება;
- სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი რეჟიმის დაცვა და კონტროლი;
- მოსალოდნელი საფრთხეების ანალიზი და დამნაშავეობასთან ბრძოლის სტრატეგიის შემუშავება;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა;
- თავშესაფრის მაძიებლის, ოტოლვილის, ანალოგიური სტატუსის მქონე პირის უფლებების დაცვა;
- საძიებო-სამაშველო სამუშაოების განხორციელება;
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაში მონაწილეობა;
- დაკავებულ და დაპატიმრებულ პირთა დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსება;
- შესაბამისი საინფორმაციო ბაზების მონაცემების დამუშავება.

როცა დანაშაულის პრევენციაზეა ლაპარაკი, იგულისხმება არა მხოლოდ კრიმინალური სამყაროს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაული, არამედ შესაძლო დანაშაული ან შეცდომა (გადაცდომა), რომელიც თავად პოლიციის წარმომადგენლებმა შეიძლება ჩაიდინონ.

ქართულ მედიაში საკმაოდ ხშირად ჩნდება ინფორმაცია მოქალაქეებთან ურთიერთობის პროცესში პოლიციელთა მხრიდან დაშვებულ შეცდომებზე ან ძალაუფლების გადამეტებულ გამოყენებაზე.

ეს მხოლოდ აღვილობრივი მოვლენა არ არის. ასეთი რამ ნებისმიერ, თუნდაც უკელაზე დემორატიულ, სახელმწიფო შეიძლება მოხდეს (და ხდება კილეც).



ეს საინტერესო

(წყარო: <https://kvirispalitra.ge/article/28070-rogor-ikhsna-policielma-sikvdilisgan-25-tslis-bitci/>)

2016 წელს თბილისობის დღესასწაულზე პატრულ-ინსპექტორმა გიორგი ბუკიამ 25 წლის ახალგაზრდა სიკვდილისგან იხსნა. იგი ამ ამბავს ასე იხსენებს „უცხო ადამიანმა მოირჩინა შეშფოთებული საზიონ ჩვენს მანქანასთან, ყვიროდა, – ჩქარა, ახლა ჩემ თვალწინეული ბიჭი მტკვარში გადახტა და იხრჩობაო. მაშინვე გავიქეცით მეტეხის ხიდისკენ.

წვიმდა, გადავიხედეთ და რას ვხედავთ? –ადამიანი იხრჩობა, ამოყოფს თავს და ისევ იძირება... აშკარა იყო, ცურვა არ იცოდა. ჩემმა მეწყვილემ მაშინვე 112-ში დარეკა და სამაშველო სამსახურის მოსვლა მოითხოვა, მაგრამ მივხვდი, ყოველი წამი გადამწყვეტი იყო, შეიძლებოდა, მაშველებს ვერც მოესწროთ მოსვლა. როგორც კი გავიაზრე, რომ შეიძლებოდა, ჩემ თვალწინ დამხრჩალიყო ადამიანი, არც დავუიქრებულვარ, იარაღი მეწყვილეს მივეცი და მტკვარში გადავხტი. საბედნიეროდ, დამემორჩილა და ნელ-ნელა შევძელი მისი გამოყვანა ნაპირისკენ. ამასობაში ჩვენი მეორე ეკიპაჟიც მოვიდა, სხვებიც მოცვივდნენ და სამშვიდობოს გამოყვანილი ახალგაზრდა ბიჭებმა წყლიდან ამომაყვანინეს. სწორედ მაშინ ვიგრძენი, რომ ძალაც გამომეცალა. მაგრამ რომ დავინახე, ადამიანი გონიერ მოვიდა, ამოვისუნთქე. მივხვდი, ის სიკვდილისგან ვიხსენი. ეს საოცარი გრძნობა იყო, სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია”.

◆ ◆ ◆

1989 წლის 9 აპრილს, თბილისში დაარბიეს მშვიდობიანი მიტინგი, რომელიც აპროტესტებდა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას.

ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება არ ენდობოდა საქართველოს მილიციას (ასე ენოდებოდა პოლიციას საბჭოთა პერიოდში), მიტინგისპეციალურად ამ მიზნით რუსეთიდან ჩამოყვანილმა სამხედრო ნაწილებმა დაარბიეს.

დარბევის შედეგად დაიღუპა 21 და დაშავდა 427 მოქალაქე.

ქართველი მილიციელები შეეცადნენ ცოცხალი კორდონის შექმნას მომიტინგეთა გასატარებლად. მოქალაქეთა გადარჩენის პროცესში მათ საკუთართავზე აიღეს დარტყმა დამსჯელი ნაწილებისაგან. შედეგად 53 კანონდამცველი დაშავდა.

მიტინგის მონაწილეები აღნიშნავდნენ, რომ მილიციის ასეთმა ქმედებამ პატივისცემა დაიმსახურა და მომდევნო პერიოდში საზოგადოებაში გაიზარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს რეიტინგი.



აქტივობა № 11

გაეცანით ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციას:

- თუ პოლიციელმა გაგვაჩერა (<https://hoj.ge/tu-policiela-gagvachera/>);
- რა უფლებები გვაქვს თუ პოლიციელი ქუჩაში გვაჩერებს (<https://radio-way.ge/news/human-rights/item/302-ra-uplebebi-gvaqvs-tu-polizieli-qu-chashi-gvacherebs>).

განიხილეთ მიღებული ინფორმაცია. გამართეთ დისკუსია:

- გაიხსენეთ, თქვენ ან თქვენს მეგობრებს ხომ არ გქონიათ პოლიციასთან ურთიერთობის მსგავსი გამოცდილება?
- თქვენ (ან თქვენი მეგობარი) როგორ მოიქეცით ასეთ შემთხვევაში?



უნდა გვახსოვდეს: შეცდომა შეიძლება ყველა სისტემამ დაუშვას, მაგრამ არადემოკრატიულ ქვეყნებში სახელმწიფო სისტემა ბოლომდე იცავს თავის (თუნდაც მცდარ) პოზიციას, დემოკრატიულ ქვეყნებში კი, გამოცდილებაზე დაყრდნობით, ხდება არასწორი/მცდარი გადაწყვეტილებების მართებულით შეცვლა.

პოტენციური შეცდომისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფო ქმნის შესაბამის წესებს. ჩვეულებრივ, თითქმის ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიული აქტებით დეტალურადაა განერილი შესაბამისი პროცედურები.



აქტივობა № 12

გაეცანით ქვემოთ მოყვანილ მაგალითს და იმსჯელეთ:

- რატომ არის საჭირო ეჭვმიტანილის უფლებების დაცვა იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი მძიმე დანაშაულის ჩადენაშია პრალდებული?
- რამდენად უწყობს ხელს ასეთი უფლებების დაცვა პოლიციის მხრიდან ძალაუფლების გადამეტების თავიდან აცილებას?
- ხომ არ ზრდის მოქალაქეებისათვის საფრთხეს ეჭვმიტანილებისათვის ასეთი უფლებების მინიჭება?

„მირანდას უფლებები“

საქმე – „მირანდა არიზონას წინააღმდეგ“
[წყარო: <http://gil.mylaw.ge/ka/post/66.html>; <https://>

აშშ-ში, ქალაქ ფენიქსის პოლიციის დეპარტამენტმა, გატაცებისა და გაუპატიურების პრალდებით, 1963 წლის 13 მარტს, დააკავა 22 წლის ერნესტო მირანდა. მირანდამ ორსაათიანი დაკითხვის შემდეგ „აღიარა“ დანაშაული და ხელი მოანერა განცხადებას, რომლის მიხედვითაც ის ადასტურებდა, რომ „ჩვენებას აძლევდა ნებაყოფლობით, ყოველგვარი ძალდატანების, იძულების გარეშე, საკუთარი უფლებების სრული ცოდნითა და გაცნობიერებით“. ერნესტო მირანდა სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მიუსაჯა 30-წლამდე პატიმრობა.

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევამდე პოლიციაში მიღებული ყველა ჩვენება ითვლებოდა ნებაყოფლობითად და გამოიყენებოდა სასამართლოში.


როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მირანდას დაკავების პროცესში უფლებები არ გასცნობია და არც მისი აღიარება ყოფილა ნებაყოფლობითი.

მირანდას ადვოკატებმა გაასაჩივრეს განაჩენი იმ მიზეზით, რომ კონსტიტუციის მეხუთე დამატება, რომელიც იცავდა ეჭვმიტანილს დანაშაულის თვითაღიარებისაგან, გაერთიანებული იყო მეუქვესე შესწორებასთან, რომელიც უზრუნველყოფდა მას ადვოკატით. მოსამართლე ერლ უორენმა ეს შესწორება პირველმა გამოიყენა და 1966 წელს უზენაესმა სასამართლომ ერნესტო მირანდას დაუნიშნა ახალი მოსმენა. სასამართლომ შეცვალა განაჩენი, მოსამართლემ ~~დანაშაული~~, რომ ერნესტო მირანდას ჩვენებები არ იყო ნებაყოფლობითი – „დამთრგუნველი გარემოება, რომელსაც ადგილი ჰქონდა პოლიციაში დაკითხვისას, ქმნიდა დანაშაულის აღიარების პირობას“. აქედან გამომდინარე, უორენმა დაასკვნა, რომ: „თუ არ შეიქმნება ეჭვმიტანილის ადეკვატური დამცავი პირობები, არც ერთი აღიარება არ შეიძლება ჩაითვალოს თავისუფალი ნების პროდუქტად“.

ეს გადაწყვეტილება არ ნიშნავს, რომ ერნესტო მირანდა უდანაშაულო იყო. ის მუდამ არღვევდა კანონს (ქურდობა, მანქანის გატაცება, მანანწალობა). მანამდეც და მერეც იგი რამდენჯერმე იჯდა ციხეში, ბოლოს ერთ-ერთი ჩხუბის დროს მოკლეს.

საქმეზე – „მირანდა არიზონას წინააღმდეგ“ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც დამკავებელ მოხელეებს დაევალათ, დაკავებულს/პრალდებულს აცნობონ თავისი უფლებების შესახებ. უფლებათა ამ ჩამონათვალს „მირანდას გაფრთხილების“ („მი-

Police Interrogation



Ernesto Arturo Miranda

ერნესტო არტურო მირანდა
(1941-1976)

რანდას „უფლებების“) სახელითაც მოიხსენიებენ. თუ „მირანდას გაფრთხილების“ შემდეგ დასაკითხი გამოყენებს მინიჭებულ უფლებას (დუმილის უფლება, დამ-ცველის უფლება), ეს უკვე კანონის იმპერატიული (სავალდებულო) მოთხოვნაა, რომ დაკითხვა შეწყდეს.

ალბათ, ბევრჯერ გაქვთ ნანახი ფილმებში დაკავების სცენები, როცა პოლიციელი ეჭვმიტანილს მიმართავს:

„თქვენ გაქვთ დუმილის უფლება. თუ უარს იტყვით დუმილის უფლებაზე, ყველაფერი, რასაც იტყვით, შეიძლება გამოყენებული იქნეს სასამართლოში თქვენ წინააღმდეგ. თქვენ გაქვთ უფლება, გყავდეთ ადვოკატი. თუ არ გაქვთ სამუალება, დაიქირაოთ ადვოკატი, ~~უზრუნველყოფილი~~ იქნება მისი მომსახურება. დაკითხვისას თქვენ შეგიძლიათ, ნებისმიერ დროს გადაწყვიტოთ, ისარგებლოთ ამ უფლებებით, არ უპასუხოთ კითხვას ან გააკეთოთ განცხადება. გაიგეთ ეს უფლებები, რომლებიც გაგაცანით? ამ უფლებების გათვალისწინებით, გსურთ ჩემთან საუბარი?“

ასეთი გაფრთხილება მრავალი ქვეყნის კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.



ბრალდებულისთვის საკუთარი უფლებების განმარტების ვალდებულებას საქართველოს კონსტიტუციაც ითვალისწინებს – „დაკავებულ ან დაპატიმრებულს პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი.“

უფლებათა ჩამონათვალს აზუსტებს „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ – დაკავებულს გასაგები ფორმით უნდა განუმარტოს უფლებამოსილმა პირმა:

- რა დანაშაულის ჩადენაშია ის ბრალდებული;
- ~~შეატყობინოს~~ დაკავების საფუძველი;
- რომ მას აქვს ადვოკატის გამოყენების უფლება;
- რომ მას აქვს დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება;
- რომ მას აქვს უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული;
- რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოში;
- დაუშვებელი მტკიცებულებაა ის განცხადება, რომელიც დაკავებულმა ამ ნაწილით გათვალისწინებული განმარტების მიღებამდე გააკეთა.

(წყარო: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლები 170- 174).

კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ საკითხს – რა საჭიროა ყველა შემთხვევაში ადამიანის უფლებების ზედმინევნით დაცვა?

უპირველეს ყოვლისა, ალბათ, ყველა ვთანხმდებით, რომ ეს ჰემანური ქმედებაა და საზოგადოების განვითარების დონესა და სახელმწიფოს სიძლიერეზე მეტყველებს. ყველას, მათ შორის ყველაზე დიდ დამნაშავესაც, უნდა ჰქონდეს თავის დაცვის კანონიერი საშუალება. მან პასუხი უნდა აგოს მხოლოდ იმ დანაშაულზე, რომელიც უშუალოდ ჩაიდინა.

მეორეც, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ ადამიანები, და, შესაბამისად, მათ მიერ შექმნილი სტრუქტურები, უნაკლო და უშეცდომო არ არიან. შეიძლება, სახელმწიფო სტრუქტურებმა (პოლიციამ, სასამართლომ) შეცდომაც დაუშვან.

არსებობს მაგალითები, როცა უდანაშაულო ადამიანებს უსამართლოდ დაედოთ ბრალი დანაშაულში, რომელიც არ ჩაუდენიათ. მხოლოდ აშშ-ის სასჯელ-ალსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ იმ პირთა ოდენობა, რომელთაც უსამართლოდ მიესაჯათ პატიმრობა, 2500-ზე მეტია. ეს მონაცემები სრული არ არის. მათ მუდმივად ემატება ახლად გამოვლენილი შემთხვევები.

ამ მხრივ, „რეკორდსმენია“ რიჩარდ ფილიპსი, აფროამერიკელი, რომელმაც საპატიმროში 46 წელი გაატარა (1972-2018). იგი 26 წლისა დააპატიმრეს და ციხიდან 72 წლისა გამოვიდა. ფილიპსმა მთელ ქვეყანაში გაითქვა სახელი არა მარტო როგორც ნიჭიერმა პოეტმა და მხატვარმა, არამედ როგორც თავისი უფლებების დასაცავად განუწყვეტლივ მებრძოლმა. საბოლოოდ მან თავისი უდანაშაულობა დაამტკიცა.



აქტივობა № 13

უყურეთ ვიდეოს, რომელშიც ასახულია კალიფორნიაში მომხდარი ისტორია (<https://www.facebook.com/watch/?v=493701274113156>). ადამიანი, რომელიც 36 წელი უსამართლოდ იჯდა საპატიმროში, ბოლოს გამართლდა. ციხიდან გამოსულს მას საკმაოდ უჭირს გარემოსთან ადაპტირება, ვინაიდან ბევრი რამ მისთვის უცხოდა და ახალია.



თქვენი აზრით, რა პრობლემების წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანი მსგავს სიტუაციაში?

ურთიერთობა კანონთან

ყოველდღიურ ცხოვრებაში ზოგჯერ წარმოიშობა ხოლმე კონფლიქტი ცალკეულ მოქალაქეებს, ორგანიზაციებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს შორის. ასეთ შემთხვევაში მომრიგებელი სტრუქტურა არის სასამართლო, რომელიც განიხილავს საქმეს და, კანონის შესაბამისად, გამოაქვს განაჩენი.

მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ თავად კანონია არასწორი?

თქვენ უკვე იცით, რომ ასეთ დროს არბიტრი ხდება საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც განიხილავს, რამდენად შესაბამება თავისი უფლება და ეს გადაწყვეტილება ყველა ადამიანზე გავრცელდება, ვინაიდან კონსტიტუციასთან შეუსაბამო კანონი შეიცვლება.



აქტივობა № 14

გაეცანით ქვემოთ მოყვანილ მაგალითს და იმსჯელეთ:

- როგორ შეიძლება, სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ და მსგავსმა მა-

- გალითებმა გაზარდოს მოქალაქეთა საზოგადოებრივი აქტივობის ხარისხი?
- რამდენად უწყობს ხელს ასეთი სახის პროცესები საზოგადოებაში სახელმწიფოს მიმართ პოზიტიური განწყობის გაჩენის ან გაძლიერების პროცესს?
 - რაში შეიძლება გამოიყენონ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სხვა მოქალაქეებმა?
 - თქვენი აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების კიდევ რა შემთხვევებზე შეიძლება გავრცელდეს წესი: „ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვება არ შეიძლება სახელმწიფოს მიერ გამოყენებული იქნეს მიზნის მიღწევის საშუალებად“.
- დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.

კონსტიტუციური სარჩელი სახელმწიფო ობიექტები უკანონოდ მცხოვრებ უსახლკარო პირთა უფლებებზე

[წყარო: <https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=960>]



2010 წლის აპრილში საქართველოს მთავრობამ დაადგინა წესი, რომლის მიხედვითაც, პირი ვერ დარეგისტრირდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, თუ იგი უკანონოდ იმყოფება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში და ამ ფართის კანონიერი მესაკუთრე (სახელმწიფო) არ ეთანხმება ამ ფაქტს.

მოქალაქე თამარ თანდაშვილი არ დაეთანხმა ამ გადაწყვეტილებას და თავად ნორმატიული აქტის კანონიერება გაასაჩივრა საკონსტიტუციო სასამართლოში. იგი (მოსაზრელე) მიიჩნევდა, რომ წესი უსამართლო იყო იმ პირთა მიმართ, რომლებიც ასეთ ფართში ცხოვრობდნენ და ნორმის ამოქმედების (2013 წლის ივნისი) შემდეგ მიმართეს სახელმწიფოს სოციალური დახმარების მიღების მოთხოვნით. ამ დროს იმ პირებს, რომლებიც ასევე უკანონოდ დაკავებულ ფართებში ცხოვრობდნენ, მაგრამ დახმარებას ამ ნორმატიული აქტის გამოცემამდეც იღებდნენ, ეს შეზღუდვა არ შეეხოთ.

თამარ თანდაშვილი მიიჩნევდა, რომ მსგავს ვითარებაში მყოფი პირების ასეთი დაყოფა კონსტიტუციით გარანტირებულ თანასწორობის უფლებას არღვევდა და აიძულებდა ადამიანებს, გაეკეთებინათ არჩევანი საცხოვრებელ სახლსა და სოციალური დახმარების მიღების უფლებას შორის.

მოპასუხე მხარე (სახელმწიფო) აღნიშნავდა, რომ სადავო ნორმა ემსახურებოდა კანონიერ მიზანს – სახელმწიფო საკუთრების დაცვას.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს ინტერესი კანონიერია, თუმცა მის მიერ შერჩეული ღონისძიება არ უნდა არღვევდეს ადამიანების მიმართ არაპუმანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის აკრძალვის პრინციპს.

2018 წლის 11 მაისს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“ სრულად დააკმაყოფილა სარჩელი და გააუქმა მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის ნორმები (ეს ნორმები, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში უკანონოდ მყოფი პირების საარსებო შემწეობაზე განაცხადის წარდგენის




უფლებასა და, შესაბამისად, დადგენილი საჭიროების მიუხედავად, მათ მიერ საარსებო შემწეობის მიღებას გამორიცხავდა).

გადაწყვეტილების გამოქვეყნების მომენტიდან, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ფართში მყოფ თითოეულ პირს ეძლევა შესაძლებლობა, მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს შესაბამის სერვისცენტრს, და საარსებო შემწეობის დანიშვნის მიზნით, მოითხოვოს მისი ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება, დღემდე სადაც ნორმებით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოების მიუხედავად.

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ გაიზიარა მოსარჩევე მხარის არგუმენტი ~~სადაც წესით~~ როგორც თანასწორობის, ისე ღირსების დარღვევასთან მიმართებით. ერთი მხრივ, სასამართლომ არაგონივრულად მიიჩნია ანალოგიური სოციალური საჭიროების მქონე პირების განსხვავება სახელმწიფოს საკუთრების დაცვის არგუმენტით, ასევე ღირსების დარღვევად, არაჟუმანურ მოყვრობად მიიჩნია, რომ ~~სახელმწიფოს საკუთრების დაცვის მიზნით~~, ასეთ ფართში შესახლებული პირების ~~იძულებით~~, არჩევანი საცხოვრისსა და საარსებო საჭიროებებს შორის გაეკეთებინათ. აღნიშნული მოსაზრება გამყარდა თავად საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებით, რომ:

„ადამიანების სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვება არ შეიძლება სახელმწიფოს მიერ გამოყენებული იქნეს მიზნის მიღწევის საშუალებად“.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მეშვეობით მოქალაქის მიერ თავისი უფლებების დაცვამ სხვა მოქალაქეები, რომელთაც, შეიძლება, იგივე პრობლემა შეჰქმნოდათ, ამ საფრთხისაგან იხსნა.



შეაფასეთ საკითხთან დაკავშირებული თქვენი ამჟამინდელი ცოდნა. დაფიქრდით, რა დაგეხმარათ ან რამ შეგიძლათ ხელი ცოდნის გაღრმავებაში, სამომავლოდ რას გაითვალისწინებთ?

3. სამართლებრივი სახელმწიფოს არსი

ამ პარაგრაფში თქვენ გაეცნობით, თუ რა არის სამართლებრივი სახელმწიფო და რა პრინციპების მიხედვით მოქმედებს იგი.



შეაფასეთ თქვენი წინარე ცოდნა. დაფიქრდით, რა სახის ინფორმაცია და აქტივობები დაგჭირდებათ, რომ დავალების შესრულების შემდეგ უკეთესი შედეგი მიიღოთ.



კომპლექსური დავალება

გაეცანით პარაგრაფში მოცემულ ინფორმაციას სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ და შექმენით პოსტერი, რომელშიც წარმოაჩენთ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს და მათ განსხვავებას არადემოკრატიული სახელმწიფოებისგან.

პოსტერში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- რა არის სამართლებრივი სახელმწიფო? როგორ და რა მიზნით ჩამოყალიბდა იგი? რა მნიშვნელობა აქვს კანონს ასეთ სახელმწიფოში?
- რით განსხვავდება სამართლებრივი სახელმწიფო არასამართლებრივი სახელმწიფოს-გან? როგორ აისახება ეს სხვაობა ადამიანის უფლებების დაცვაზე?

რეკომენდაცია:

დავალების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას იპოვთ სახელმძღვანელოს მოცემულ პარაგრაფში. ყურადღებით დაამუშავეთ მასალა და რეველში მოინიშნეთ ყველა მონაკვეთი, რომლებიც ზემოთ მოცემული კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ.

დავალებაში ყურადღება გაამახვილეთ კანონის უზენაესობაზე.



წინა პარაგრაფებში თქვენ შეისწავლეთ (ნაწილობრივ გაიხსენეთ) რამდენიმე საკითხი:

- რას ნიშნავს საზოგადოების მიერ შემუშავებული რეგულაციები/„თამაშის წესები“;
- რა საჭიროა ამ წესების არსებობა;
- როგორ ყალიბდება ეს წესები;
- რა არის სახელმწიფო;
- ვის ინტერესებს იცავს იგი;
- რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები;
- რა როლს თამაშის სახელმწიფო უფლებების დაცვის პროცესში;
- რატომ და როგორ ხდება ძალაუფლების დანაწილება;
- რას ნიშნავს ძალაუფლების პორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილება.

ეს საკითხები, ერთი შეხედვით, ნაკლებადაა ერთმანეთთან კავშირში, მაგრამ სინამდვილეში ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების უდიდეს სფეროს ფარავს და სამართლებრივი სახელმწიფოს ატრიბუტებია (წყარო: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=3028>):

- სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კანონის სა- ფუძველზე და კანონის ჩარჩოებში;
- კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა თანასწორია, კანონის მოთხოვნები თანაბრად სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირებისა და, საერთოდ, ყვე- ლა მოქალაქისათვის;
- სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე; დაუშვებელია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნ- ქციების აღრევა;
- უმაღლეს სოციალურ ღირებულებად მიჩნეულია ადამიანი, მისი ღირსება, უფლებები და თავისუფლებები.

ვინაიდან სამართლებრივი სახელმწიფოს უმაღლესი ღირებულება ადამიანია და სწორედ ადამიანები წარმოადგენენ ქვეყნის მთავარ სიმდიდრეს, მათი უფლებები ასეთი ტიპის სახელმწიფოებში განუზომლად დიდია.

ადამიანები, საზოგადოება აყალიბებენ საკუთარ ხელისულებას, მოქალაქეები (თა- ვიანთივე არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით) ქმნიან კანონებს, რომელთაც თვი- თონაც ემორჩილებიან და ხელისუფლების წარმომადგენლებიც. კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

თქვენ უკვე იცით, რომ სახელმწიფოს მოწყობის უამრავი მოდელი არსებობს. თუ როგორი იქნება ეს მოწყობა, ამის გადაწყვეტის უფლება მხოლოდ იმ საზოგადოებას (ერს) აქვს, რომელიც ამ სახელმწიფოს აფუძნებს.

ამავე დროს, ყველა თანამედროვე სახელმწიფო უნდა აქმაყოფილებდეს სამართლებ- რივი სახელმწიფოს მოთხოვნებს, ვინაიდან ისინი ადამიანის ძირითადი უფლებების რე- ალიზების უზრუნველსაყოფად და დასაცავადაა შექმნილი.

ეს, ერთი შეხედვით, საყოველთაო ჭეშმარიტებაა, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში, თუნდაც ჩვენს დროში, არსებობს სამართლებრივი სახელმწიფოს საპირისპირო სახელ- მწიფო მოდელებიც. ბევრი ქვეყანა გარკვეული პერიოდის მანძილზე ტოტალიტარუ- ლი რეჟიმების მმართველობაში აღმოჩნდა. დღესაც ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში არსებობს ავტორიტარული რეჟიმი და შემორჩენილია ტოტალიტარული სისტემაც (მა- გალითად, ჩრდილოეთ კორეაში).

ავტორიტარიზმის, განსაკუთრებით კი ტოტალიტარიზმის, პირობებში სამართლე- ბრივი სახელმწიფოს პრინციპები ან საერთოდ იგნორირებულია, ან ხელისუფლება ამ პრინციპების რეალიზაციის ილუზიას ქმნის.



აქტივობა № 1

იმსჯელეთ, რას ნიშნავს იტალიელი დიქტატორის ეს სიტყვები და რამდე- ნად შეესაბამება იგი სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს?



„მეგობრებს – ყველაფერი, დანარჩენებს – კანონი“.
ბენიტო მუსოლინი

ბენიტო ამილკარე ანდრეა მუსოლინი (Benito Amilcare Andrea Mussolini, 1883-1945) – ფაშიზმის დამფუძნებელი, იტალიის დიქტატორი 1922-1945 წლებში, სიკვდილით დასაჯეს პარტიზანებმა.



აქტივობა № 2

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ტექსტს. შეადარეთ ერთმანეთს ტოტალიტარული და სამართლებრივი სახელმწიფო სისტემების ფუნქციონირების

პრინციპები:

1. ადამიანის უფლებების დაცვის რა გარანტიებია ასეთ სახელმწიფოებში?
2. რა წარმოადგენს კანონებისა და სახელმწიფოს საქმიანობის უმთავრეს მიზანს?
3. რამდენად თანასწორნი არიან ადამიანები კანონის წინაშე?
4. როგორ ნაწილდება ძალაუფლება ხელისუფლების შტოებს შორის?
5. რა პრინციპით მუშაობს თვითმმართველობა?

კლასიკური ტოტალიტარული სახელმწიფოს მაგალითია საბჭოთა კავშირი (1922-1991).

საქართველო 70 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო. თქვენი მშობლები, უფროსი თაობის წარმომადგენლები, ამ ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ. მათგან, ალბათ, გსმენიათ ამ ქვეყანაში საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ზოგჯერ დადებითი, ზოგჯერ კი უარყოფითი შეფასება.

დღესაც საბჭოთა კავშირთან დაკავშირებით შეიძლება განსხვავებული დამოკიდებულება აღმოვაჩინოთ. ეს სუბიექტური, პირადი დამოკიდებულების საკითხია, თუმცა მიუკერძოებლად შესაფასებლად, ჯობს, საბჭოთა სისტემა კონკრეტული მახასიათებლების მიხედვით გავაანალიზოთ.

საბჭოთა კონსტიტუცია ბევრ საკითხში დეკლარირებდა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს, თუმცა პრაქტიკაში ეს პრინციპები არ ხორციელდებოდა. ბევრ საკითხში კი ისინი საერთოდ უარყოფილი იყო.

ტოტალიტარული რეჟიმი განსაკუთრებით მკაცრი იყო თავისი არსებობის პირველ ნახევარში (1922-1953). ამ პერიოდში პოლიტიკური მოწინააღმდეგებების, დამოუკიდებელი სოციალური ფენებისა თუ ეთნიკური ჯგუფების განადგურება გრანდიოზულ მასშტაბებს აღწევდა:

- სახელმწიფომ თავის მიზნად გამოაცხადა თავად-აზნაურთა, ეკლესიის მსახურთა, თავისუფალი გლეხების, ე. წ. „ბურუუაზიული ინტელიგენციის“, როგორც კლასების, მოსპობა. ამ პროცესს (გადასახლებებს, დახვრეტებს, ხელოვნურად გამოწვეულ შიმშილს) მილიონბით ადამიანი შეეწირა;
- მოსკოვში მყოფმა ხელისუფლებამ ზოგიერთი „ურჩი“ ეთნოსის მიმართ რეპრესიებსაც მიმართა. ჩეჩენები, საბჭოთა კავშირში მცხოვრები გერმანელები, ინგუშები, ყირიმელი თათრები და ა. შ. სრულად გადაასახლეს ათასობით კილომეტრის დაშორებით. მათი დიდი ნაწილი (მათ შორის, ბავშვები, ქალები, მოხუცები) გზა-



მოსახლეობისათვის სურსათის ჩამორთმევით გამოწვეული შიმშილობა უკრაინაში 1932-1933 წლებში, რომელიც „პოლოდომორის“ სახელითა ცნობილი და რომელმაც რამდენიმე მილიონი ადამიანი იმსხვერპლა.

ში დაიღუპა, ნაწილი კი – დანიშნულების ადგილებზე მისვლისას, სადაც არავითარი საარსებო პირობები არ არსებობდა;

- ასევე შეუწყნარებელი იყო სახელმწიფოს დამოკიდებულება რელიგიისადმი. საბჭოთა პერიოდში ათასობით ეკლესია, ტაძარი, მეჩეთი, სინაგოგა თუ ა. შ. გაანადგურეს, ხოლო ათეულ ათასობით რელიგიის მსახური რეპრესიებს ემსხვერპლა.

მოგვიანებითაც კი, როცა ტოტალიტარული რეჟიმი შედარებით შერბილდა, ანტირელიგიური პროპაგანდა კვლავ გრძელდებოდა (მაგალითად, მოსწავლეებს ეკრძალებოდათ ჯვრის ტარება);



ყირიმელი თათრების დეპორტაცია შუა აზიაში, 1944



მართლმადიდებლური კათედრალი ქუთაისში (ე. წ. „სობორო“). დაანგრია საბჭოთა ხელისუფლებამ 1924 წელს.



მაცხოვრის ეკლესიის განადგურება, მოსკოვი, 1931

- რეპრესიები შეეხო თავად ხელისუფლების წარმომადგენლებსაც. რეალურად ხელისუფლებაში მიმდინარეობდა ბრძოლა სხვადასხვა დაჯგუფებას შორის. დამარცხებული დაჯგუფებების წევრებიც (მაგალითად, „ტროცკისტები“ და ა. შ.) ფიზიკურად გაანადგურეს.


სასამართლოს დამოუკიდებლობა ფიქცია იყო. ხშირად ადამიანებს ანონიმური დასმენის საფუძველზე ასამართლებდა მსაჯულთა სამეული, ე. წ. „ტროიკა“, რომლის შემადგენლობაში მოსამართლეები კი არა, ძალოვანი უწყებების წარმომადგენები და პარტიული აქტივისტები შედიოდნენ. ბრალდებულს დაცვის საშუალება არ ჰქონდა, განაჩენი, როგორც წესი, სიკვდილით დასჯა (დახვრეტა) იყო.

ისჯებოდნენ არა მარტო „დამაშავები“ /„ხალხის მტრები“, არამედ მათი უახლოესი ნათესავებიც (როგორც „ხალხის მტრის“ ოჯახის წევრები).

ცოცხლად გადარჩენილები საკონცენტრაციო ბანაკების სისტემაში (ე. წ. „გულაგში“) გადაჰყავდათ, სადაც უამრავმა ადამიანმა ათეულობით

პიმენ (პავლე) დაშნიანი (1872-1938), არქიმანდრიტი „ტროიკის“ მიერ გამოტანილი განაჩენით დახვრიტეს კოლმეურნეობის კრიტიკისა და ბავშვების მონათვლის გამო.





წელი გაატარა, ხოლო უკან ცოცხალი მხოლოდ მათი მცირე ნაწილი დაბრუნდა.

თავად საბჭოთა საიდუმლო სამსახურების მიერ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გასაჯაროებული ინფორმაციის თანახმად, ტოტალიტარიზმა, სულ მცირე, 13 მილიონი ადამიანი იმსხვერპლა, ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების შეფასებით კი ეს მაჩვენებელი ბევრად მეტია.

არსებობის მეორე ეტაპზე (1953-1991) საბჭოთა კავშირში ტოტალიტარული რეჟიმი შედარებით შერბილდა, თუმცა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები ისევ მასობრივად ირღვეოდა:

- სახელმწიფოში არ არსებობდა ძალაუფლების დანაწილება ხელისუფლების შტოებს შორის – მთელი ძალაუფლება ფორმალურად კომუნისტურ პარტიას ეკუთვნოდა. რეალურად ქვეყანას მართავდა პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ძალოვანი უწყებები (ძირითადად სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი – სუკი/KGB);
- კვლავ არ არსებობდა თვითმმართველობა და შიდა პარტიული დემოკრატია – ფორმალურადაც კი გადაწყვეტილებები ე. წ. „დემოკრატიული ცენტრალიზმის“ პრინციპით მიიღებოდა: ცენტრალური ხელისუფლება გამოსცემდა ბრძანებებს, რომელსაც შემდგომ ადგილობრივ დონეზე მოსახლეობა ერთსულოვნად „ინონებდა“ და შენიშვნების გარეშე ეთანხმებოდა;
- არჩევნები ფორმალურად ტარდებოდა. კომუნისტური პარტია იყო ერთა-დერთი პარტია, რომლის არსებობაც



„გულაგი“ – თეორი და ბალტიის ზღვების შემაერთებელი არხის მშენებლობა



„ზასტონი“ – ხანგრძლივვადიანი უძრაობა, ეკონომიკის ზრდის შენელება ან/და ვარდნა სასკუში, XX საუკუნის 60-80-იანი წლები. სურათზე გამოხატულია ტიპური აღლუმი „ზასტონის“ პერიოდში.

ნებადართული იყო. არჩევნებზე, როგორც წესი, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ მიღიოდა, მაგრამ ოფიციალურად ცხადდებოდა, რომ ამომრჩეველთა 99,99% მხარს უჭერდა ხელისუფლებას;

- აკრძალული იყო კერძო საკუთრება. ნებისმიერი პირი, ვინც ბიზნესინიციატივას ავლენდა, „სპეცულანტად“ (გადამყიდველად) ინათლებოდა და რეპრესიების მსხვერპლი ხდებოდა;
- რეპრესიები შეეხო იმ ადამიანებსაც, ვინც ხმამაღლა გამოხატავდა ხელისუფლებისაგან განსხვავებულ აზრს. ასეთ ადამიანებს დისიდენტებს უწოდებდნენ (ლათ-ინური dissideo – არ ვეთანხმები). მათ ან ხანგრძლივი ვადით აპატიმრებდნენ, ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ათავსებდნენ. დისიდენტური მოძრაობა ჩაისახა XX საუკუნის 50-იან წლებში და განსაკუთრებით გაძლიერდა 1973 წლიდან, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი შეუერთდა ჰელსინკის „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნით აქტს“, რომლის თანახმადაც, აქტის ხელმოწერმა ყველა ქვეყანამ (მათ შორის, საბჭოთა კავშირმა) აიღო ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება. საბჭოთა კავშირში მაღლ შეიქმნადისიდენტთა გაერთიანებები. 1976 შეიქმნა „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი“ (ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვიქტორ რცხილაძე და ა.შ.). ჯგუფი გამოსცემდა არალეგალურ ლიტერატურას და მართავდა მიტინგებს ჰელსინკის აქტისა და ადამიანის უფლებების პოპულარიზაციის მიზნით, ასევე ქვეყანაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. ამ საქმიანობის გამო ჯგუფის დამფუძნებლები 1977 წელს დააპატიმრეს;
- არ არსებობდა დამოუკიდებელი მედია, ყველა საინფორმაციო საშუალება სახელმწიფოს ხელში იყო და მკაფირ ცენზურას ექვემდებარებოდა;
- ფორმადულრად საბჭოთა ეკონომიკა სწრაფად ვითარდებოდა, თუმცა რეალური სიტუაცია განსხვავდებოდა პროპაგანდისაგან – მაღაზიებში ხშირად პროდუქტი საერთოდ არ იყო, სურსათის ან საყოფაცხოვრებო პროდუქტის შემოტავევაში კი მოქალაქეთა გრძელი რიგები ჩნდებოდა. გარკვეულ პერიოდებში სურსათი (ხორცი, კარაქი, შაქარი) საბარათე სისტემით, მცირე დოზებით, ნაწილდებოდა.

აქტივობა № 3

- 
1. მოიძიეთ ინფორმაცია საქართველოში დისიდენტურ მოძრაობასთან და კავშირებით:
 - „ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი“;
 - „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“;
 - ნაზი შამანაური;
 - „თვითმფრინავის ბიჭების საქმე“;
 - „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“.

2. გაკვეთილზე წარმოადგინეთ მოძიებული ინფორმაცია. იმსჯელეთ, რა ძლიერი და სუსტი მხარეები ჰქონდა დისიდენტურ მოძრაობას.

აქტივობა № 4

- 
1. გამოკითხეთ უფროსი თაობის ადამიანები, ვისაც ახსოვს საბჭოთა პერიოდი (არანაკლებ 3-5 ინტერვიუ). ჰკითხეთ მათ:
 - რა გავლენას ახდენდა საბჭოთა სისტემაში არსებული წესები მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე?

- როგორ მოქმედებდა ეს წესები ზოგადად, მთელი საზოგადოების ცხოვრებაზე?
 - რესპონდენტის აზრით, რა იყო საბჭოთა სისტემის დაფებითი და უარყოფითი მხარეები?
2. გაკვეთილზე გაანალიზეთ და იმსჯელეთ, რა გვიჩვენა კვლევამ და რატომ მივიღეთ ასეთი პასუხები?

სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებლების განმარტება XVIII საუკუნის ბოლოს ჩნდება იმანუელ კანტის ფილოსოფიაში. კანტმა თავის ნაშრომებში იდეალური სახელმწიფოს მოდელი ჩამოაყალიბა და იგი იმ პერიოდში არსებულ სახელმწიფო მოდელებს დაუპირისპირა. სამართლიანი შინაარსისა და სამართლიანი მიღებული კანონის (კონსტიტუციის) უზენაესობა, კანტის აზრით, არის მუდმივი მშვიდობის, კეთილდღეობისა და, შესაბამისად, სტაბილური განვითარების აუცილებელი წინაპირობა. ამის მისაღწევად ფილოსოფოსი აუცილებლად თვლიდა სამი პირობის შესრულებას: საზოგადოების თავისუფლებას, კანონმორჩილებას და თანასწორობას (წყარო: <https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-21>).

ტერმინი „სამართლებრივი სახელმწიფო“ XIX საუკუნის დასაწყისიდან ჩნდება კანტის მიმდევარი გერმანელი ფილოსოფოსების ნაშრომებში (კარლ თეოდორ ველკერი, 1813, რობერტ ფონ მოლი, 1832-1833). ზოგჯერ სამართლებრივ სახელმწიფოს „კანონიერ, სამართლიანობაზე დაფუძნებულ სახელმწიფოდ“ ან „კანონის უზენაესობის სახელმწიფოდ“ მოიხსენიებენ.

იმანუელ კანტი (Immanuel Kant, 1724-1804) – გერმანელი ფილოსოფოსი, თანამედროვე გერმანული და მსოფლიო ფილოსოფიის ერთერთი უდიდესი ნარმომადგენელი.



აქტივობა № 5

კანტი მიიჩნევდა, რომ კანონი ყველასათვის ერთია. ამავე დროს თვლიდა, რომ თავად კანონი ვერ იმუშავებს, თუ ის რაციონალური და სამართლიანი

არ იქნება.

იმსჯელეთ, ეთანხმებით თუ არა კანტის ამ მოსაზრებას?

მსოფლიოს ისტორიიდან გაიხსენეთ შემთხვევები, როცა კანონი იურიდიული თვალ-საზრისით გამართული იყო, მაგრამ არსით უსამართლო.

ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს უმთავრესი მიზნები, პრინციპები და მახასიათებლები კანტის მიერაა ჩამოყალიბებული, თავად სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს იდეა საუკუნეებს ითვლის.



აქტივობა № 6

იმსჯელეთ ქვემოთ მოყვანილ ფაქტებზე. თუ თქვენთვის რომელიმე ცნობილია, უფრო დაწვრილებით დაახასიათეთ ეს მოვლენები.

შეეცადეთ, ისტორიიდან ან ლიტერატურიდან გაიხსენოთ სამართლიანი კანონის უზენაესობის მოთხოვნის ან/და დამკვიდრების სხვა მაგალითები.

თქვენი აზრით, რაზე მიუთითებს სამართლიანი სახელმწიფოს იდეის ასეთი ხანგრძლივი ისტორია?

- ძველებეჭისტურ წყაროებში ვკითხულობთ, რომ კანონი უფრო მაღლა დგას, ვიდრე რომელიმე ადამიანი (თუნდაც ამ კანონის მიმღები ფარაონი);

- პირველი ქრისტიანი მამები და ღვთისმეტყველები (მაგალითად, ტერტულიანე) აცხა-დებდნენ, რომ კანონი უნდა იცავდეს ადამიანს და ადამიანის უფლებებს;
- საქართველოში XII საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა „ისნის კარვის“ დაარსების იდეა, რომელსაც უნდა მიეღო კანონები და ქვეყანას ამ კანონების შესაბამისად უნდა ეცხოვონ და არა ერთი პირის (თუნდაც, ბრძენი მონარქის) პირადი შეხედულებების მიხედვით;
- XIII საუკუნის დასაწყისში ინგლისში შეიქმნა „თავისუფლების დიდი ქარტია“, რომე-ლიც კანონის უზენაესობის პრინციპებს ეფუძნებოდა;
- კანონის წინაშე თანასწორობის იდეა ედო საფუძვლად ფრანგი განმანათლებლების შრომებს, რომლებმაც სხვადასხვა დემოკრატიული იდეის იდეოლოგიური საფუძველი შეამზადეს.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები

სამართლებრივ სახელმწიფოს სხვა-დასხვა მახასიათებლები აქვს. დღეს მსოფ-ლიოში განსხვავებული მოსაზრებებია, თუ რომელი პრინციპია უფრო მნიშვნელოვანი. რამდენიმე ძირითად მახასიათებელს ამ პარაგრაფის დასაწყისში უკვე შევეხ-ეთ. ქვემოთ ჩამოთვლილია ზოგიერთი უმ-თავრესი პრინციპი:



- სახელმწიფო ადამიანებს, საზოგადოებას უნდა ემსახურებოდეს;
- დაცული უნდა იყოს კანონის უზენაესობისა და კანონის წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპი;
- სახელმწიფო საზოგადოებას და ყველა მის შემადგენელ ნაწილს თანაბარ პარტ-ნიორად უნდა მიიჩნევდეს;
- ხელისუფლება შეზღუდული უნდა იყოს ადამიანის უფლებებით, რომლებსაც ვერ დაარღვევს;
- ხელისუფლება გამიჯნული უნდა იყოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სა-სამართლო ხელისუფლების შტოებად, რომლებიც აბალანსებენ ერთმანეთს;
- კანონები რაციონალური, კარგად ფორმულირებული და ყველასათვის იოლად აღ-საქმელი უნდა იყოს;
- კანონების მიღება უნდა ხდებოდეს განერილი პროცედურებით, საჯაროობის პრინ-ციპის დაცვით.

თითოეული ეს პრინციპი, თავის მხრივ, მრავალ ასპექტს მოიცავს. მსოფლიოში დღესაც მიმდინარეობს დისკუსია, თუ როგორ უნდა გავიგოთ ისინი:

- ნიშნავს თუ არა კონკრეტული ადამიანის უფლებების დაცვა საერთო-საზოგადოებ-რივ ინტერესებზე მაღლა მის დაყენებას?
- ნიშნავს თუ არა თანასწორობა თანაბარ უფლებებს?
- სად გადის ხელისუფლების შეზღუდვის ზღვარი კონკრეტულ სიტუაციებში?

- როგორ დაბალანსდეს ხელისუფლების შტოები ერთმანეთთან ურთიერთობის პროცესში?
- როგორ განვახორციელოთ სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპები, თუ ზოგჯერ მისი მარეგულირებელი ნორმები არ არის თავსებადი ერთმანეთთან?
- როგორ უნდა მოხერხდეს მაქსიმალური ღიაობა კანონის შექმნისა და განხორციელების პროცესში?

ამ საკითხების სირთულის წარმოსაჩენად, განვიხილოთ ორი მაგალითი: 1. სოციალური სამართლიანობა და 2. გაურკვევლობა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების აღსრულებისას.

საყოველთაო სამართლიანობის დილემა

მაგალითისათვის: ჩაითვლება თუ არა თანასწორობად შემთხვევა, როცა ყველა ადამიანს ერთნაირი უფლება აქვს? დავუშვათ, რომ ყველას აქვს უფლება, დაკრიფოს ხილი საზოგადო პარკში. რეალურად კი ამას ზრდასრული ადამიანი იოლად მოახერხებს, ბავშვისაგან განსხვავებით, რომელიც ტოტებს ვერ მისწვდება. უნდა ჰქონდეს თუ არა ბავშვს უფლება, გამოიყენოს კაბე? ხომ არ დაირღვევა ზრდასრული ადამიანის უფლება, რომელსაც შესაბამისი ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობა არ ექნება?



აქტივობა № 7

იმსჯელეთ, რას ნიშნავს ანატოლ ფრანსის ქვემოთ მოყვანილი სიტყვები. მიიღწევა თანასწორობა თანაბარი უფლებების არსებობის პირობებში?

„მიზეზი სიამაყისა არის მოქალაქეობა! ... ღარიბებმა უნდა იმუშაონ ისეთი მაღალხარისხოვანი კანონის არსებობის პირობებში, რომელიც უკრძალავს როგორც მდიდრებს, ისე ღარიბებს ხიდების ქვეშ დაძინებას, ქუჩებში მათხოვრობასა და პურის მოპარვას.“

ანატოლ ფრანსი, „წითელი შროშანა“, 1894

ანატოლ ფრანსი (Anatole France, ნამდვილი სახელი ანატოლ ფრანსუა ტიბო – Anatole François Thibault, 1844-1924) – ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1921)



უფლებათობის თანაბარი შესაძლებლობების მისაღწევად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს პროგრესული საგადასახადო სისტემა. მინიმალური საშემოსავლო გადასახადი საერთოდ არ იძეგრება. რაც უფრო მაღალია შემოსავალი, შესაბამისად, იზრდება გადასახადის განაკვეთიც.



აქტივობა № 8

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ტექსტს. გაითვალისწინეთ, რომ პროგრესულ გადასახადის შემოლებას მოწინააღმდეგებიც ჰყავს და მომხრეებიც. მათ ერთმანეთისაგან განსხვავებული ხედვები გააჩნიათ:

- მოწინააღმდეგები მიიჩნევენ, რომ ასეთი დიფერენციაცია „გააზარმაცებს“ დაბალი შემოსავლის მქონე პირებს და უფრო მაღალი შემოსავლის მიღების სურვილს დაუკარგავს

- მათ. ამასთან, ეს უსამართლობა იქნება შეძლებულთა მიმართ, რომელთაც მეტი წილის გადახდა მოუწევთ;
- მომხრეები ეფუძნებიან მსოფლიოს (მათ შორის, ყველაზე უფრო ძლიერი საპაზრო ეკონომიკის ტრადიციების მქონე ქვეყნების) გამოცდილებას და პროგრესული გადასახადის არარსებობას სოციალური უსამართლობისა და ტოტალიტარული მენტალობის (ცნობიერების) გადმონაშთად მიიჩნევენ.
- თქვენ რომელ შეხედულებას იზიარებთ? დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია.

(წყარო: <https://www.investopedia.com/taxes/countries-highest-income-taxes/>)

პროგრესული საშემოსავლო გადასახადი მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში (მაგ-ალითად, აშშ და განვითარებული ეკონომიკის მქონე ყველა სახელმწიფო) მოქმედებს, მ.შ. მთელ ევროპაში, გარდა საქართველოსა და კიდევ 4 პოსაბჭოთა ქვეყნისა.

აშშ-ში საშემოსავლო გადასახადის ქვედა ზღვარი 10%-დან იწყება (თუ შემოსავალი წელიწადში 20 ათას დოლარზე ნაკლებია) და მაქსიმუმია 37% (თუ შემოსავალი 340 ათას დოლარს აღემატება). რაც შეეხება ევროპის ქვეყნებს, მათ შორის დიდი განსხვავებებია:

- მინიმალური ზღვარი 0%-დან (ევროპის ქვეყნების თითქმის ნახევარი) 40%-მდე (დანია) მერყეობს;
- მაქსიმალური ზღვარი 10%-დან (ბალკანეთის რეგიონის ზოგი ქვეყანა) 80%-მდე (ბელგია) მერყეობს;
- მოქალაქენი მაქსიმალურ გადასახადს იხდიან, თუ მათი შემოსავალი აღემატება: საფრანგეთში – 500 ათას ევროს (49%), გაერთიანებულ სამეფოში – 150 ათას ფუნტ სტერლინგს (47%) და ა. შ.

მსოფლიოს ქვეყნების ნახევარზე მეტს განსაზღვრული აქვს თანხა (მინიმუმი), რომელზე ნაკლები შემოსავლის შემთხვევაში მოქალაქე საერთოდ არ იბეგრება.

საშუალოდ მსოფლიოში, საშემოსავლო გადასახადი 7%-დან (ლარიბებისათვის) 40%-მდეა (მდიდრებისათვის).

საქართველოში პროგრესული გადასახადი არ არსებობს. ყველა, შემოსავლის ოდენობის მიუხედავად, საერთო თანხის 20%-ს იხდის. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მოსაზრებით, ეს მაჩვენებელი ძალზე მაღალია დაბალი შემოსავლების მქონე პირებისათვის და, შესაბამისად, სასურველი იქნებოდა ამ პროცენტის დაწევა დაბალშემოსავლიანებისათვის.

გაურკვევლობა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების აღსრულებისას

არის შემთხვევები, როცა წარმოიშობა გაურკვევლობა სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს აღსრულებისას. აღნიშნულის მაგალითია ნაცისტი დამნაშავის, ოტო აიხმანის სასამართლო პროცესი.



აქტივობა № 9

განიხილეთ ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა. გამართეთ დისკუსია – თქვენ რომელ მოსაზრებებს უჭერთ მხარს:

1. სამართლიანობის აღდგენისათვის შეიძლება იურიდიულად გაუმართავი პროცესის წარმოება.

2. იურიდიული ნორმების დარღვევით მიღწეული სამართალი, შეიძლება, ახალი პრობლემების წარმოშობის მიზეზად იქცეს.
დაასაბუთეთ თქვენი შეხედულება.

გერმანელი ნაცისტი მაღალჩინოსანი ოტო აიხმანი ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ჰიტლერულ გერმანიაში და გერმანის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში ებრაელების გენოციდის (ჰოლოკოსტის) პროცესში, რომლის დროსაც 6 მილიონი ებრაელი გაანადგურეს.

ომის დასრულების შემდეგ აიხმანი, ბევრ სხვა ნაცისტ დამნაშავესთან ერთად, სამხრეთ ამერიკაში გაიქცა და თავი არგენტინას შეაფარა. იმ პერიოდის არგენტინის ხელისუფლება სიმპათიით იყო განწყობილი ყოფილი ნაცისტების მიმართ.

1960 წელს ისრაელის უშიშროების სამსახურმა – „მოსადმა“ აიხმანი არგენტინიდან მოიტაცა და ისრაელში გადაიყვანა. 1961 წლის აპრილში იერუ-სალიმში დაიწყო სასამართლო პროცესი, რომელზეც გერმანელი ნაცისტი დამნაშავედ ცნეს და 1962 წლის ივნისში სიკვდილით დასაჯეს.

სასამართლო პროცესმა მთელ მსოფლიოში დიდი რეზონანსი გამოიწვია და ფართოდ შუქდებოდა მსოფლიო მედიის მიერ.

ამავე დროს, გაჩნდა მოსაზრება, რომ თავად აიხმანის დაკავება და სასამართლო გადაწყვეტილება არ იყო თავსებადი რიგ იურიდიულ ნორმებთან. კერძოდ:

1. ისრაელმა დაარღვია საერთაშორისო სამართალი, როცა სუვერენული ქვეყნის, არგენტინის, ტერიტორიაზე ჩატარა გატაცების ოპერაცია არგენტინის მთავრობის უნებართვოდ;
2. აიხმანი გაასამართლეს ისრაელში, ანუ ქვეყანაში, სადაც მას დანაშაული არ ჩაუდენია, მიუხედავად იმისა, რომ ისრაელი 1950 წლიდან შეერთებული იყო გაეროს გენოციდის საერთაშორისო კონვენციას, რომლის მიხედვითაც, გენოციდში ბრალდებული იმ ქვეყანაში უნდა ყოფილიყო გასამართლებული, სადაც დანაშაული ჩაიდინა (ე. ი. გერმანიაში);
3. აიხმანს ბრალი ედებოდა ებრაელთა მასობრივ მკვლელობებში, თუმცა თავად ბრალდებული, ხშირად სავსებით ლოგიკურადაც, ამტკიცებდა, რომ პირადად მას არც ერთი ებრაელი არ მოუკლავს;
4. 1954 წელს, პროცესამდე რამდენიმე წლით ადრე, ისრაელმა გააუქმა სიკვდილით დასჯა მკვლელობისათვის.

- ამ არგუმენტებს, შეიძლება, კონტრარგუმენტებიც მოექებნოს:
1. არგენტინის ხელისუფლებისაგან მოსალოდნელი იყო, რომ იგი არა თუ არ გადასცემდა აიხმანს ისრაელს, არამედ დაეხმარებოდა კიდეც დამნაშავეს მიმალვაში;
 2. გერმანიას არ მოუთხოვია აიხმანის მისთვის გადაცემა. ამ პერიოდში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას არ ჰყავდა აღიარებული ისრაელის სახელმწიფო და



ადოლფ აიხმანი
(Adolf Eichmann, 1906-1962), ნაცისტური გერმანიის მაღალჩინოსანი, სამხედრო დამნაშავე, შეიპყრეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს (ჩამოარჩვეს) ისრაელში.

აქედან გამომდინარე, ორ სახელმწიფოს შორის არც ექსტრადიციის (დამნაშავის გადაცემის) ხელშეკრულება ჰქონდათ გაფორმებული;

3. აიხმანის დანაშაული გერმანული კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლებოდა, რადგან იგი ხელისუფლების (ჰიტლერის) ბრძანებას ასრულებდა, მაგრამ 1945-1946 წლებში ნიურნბერგის პროცესა (რომელზეც ნაცისტური რეჟიმი გაასამართლეს) საერთაშორისო სამართალში ახალი ხედვა დაამკვიდრა – ~~ამის და მსგავსი დანაშაულების~~ გამართლება ბრძანების შესრულების მომიზეზებით გამართლების საფუძველი აღარ არის;
4. მართალია, ისრაელს გაუქმებული ჰქონდა სიკვდილით დასჯა, მაგრამ ეს სასჯელი შენარჩუნდა სამხედრო, კაცობრიობისა ან/და ებრაელი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის.

აიხმანის დასჯა მეორე გამონაკლისი იყო სიკვდილით დასჯის გაუქმების შემდეგ ~~და ერთადერთი სამოქალაქო სასჯელი (იგი კი არ დახვრიტეს, არამედ ჩამოახრჩეს).~~

დისკუსია სასამართლოს სამართლიანობის შესახებ აიხმანის პროცესის მსვლელობისთანვე დაიწყო. ებრაული წარმოშობის ცურნბილმა გერმანელ-ამერიკელმა ფილოსოფოსმა, ჰანა არენდტმა (1906-1975) ამ პროცესის აღწერას მიუძღვნა თავისი წარომი „აიხმანი იერუსალიმში. ბოროტების ბანალურობის ანგარიში“ (1963), ობიექტურად შეაფასა სასამართლო პროცესის დადებითი და უარყოფითი მხარეები და თავად ბრალდებულიც, რომელიც, ~~როგორც ირკევოლა~~, მანიაკი დამნაშავე კი არა, მრავალი დადებითი თუ უარყოფითი თვისებების მქონე ჩვეულებრივი ~~ადამიანი~~ იყო.



ადოლფ აიხმანი სასამართლოზე. იერუსალიმი. 1962

საქართველო – სამართლებრივი სახელმწიფო

ახალ ეპოქაში, XIX-XX საუკუნეების განმავლობაში, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა სწრაფად ვრცელდება მსოფლიოში. კანონის უზენაესობისა და კანონის წინაშე თანასწორობის იდეები უცხო არც საქართველოსთვის ყოფილა.



აქტივობა № 10

გაეცანით ამონარიდს ილია ჭავჭავაძის წერილიდან „კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედია“.

იმსჯელეთ, აღწერილი საკითხები სამართლებრივი სახელმწიფოს რომელ პრინციპებს შეესაბამება.

კანონის წინაშე თანასწორობა საზოგადოების წესიერი
აგებულების საფუძვლის ქვაკუთხედია
(წყარო: <http://gdi.ge/uploads/other/0/575.pdf>).

კანონის წინაშე თანასწორობა ყველასი ერთად და თვითეულისა ცალკე ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია იმ საფუძვლისა, რომელზედაც დამყარებულია კაცთა საზო-

გადოების წესიერი აგებულება. იგი კანონი კანონი არ არის, თუ მის წინაშე დიდპატარაობას, მაღალ-მდაბლობას ადგილი და სავალი ექმნება კაცთა მოქალაქურ ცხოვრების გზაზედ. რაკი ერთისათვის ერთი კანონია და მეორესათვის მეორე, კანონი ჰყარგავს თვის უდიდეს მნიშვნელობას საყოველთაო მფარველობისას და შემნეობისას, რადგანაც თვის მადლს და თვის მსჯავრს ერთნაირად ვერ მოჰყენს ყველასა, ვინც კი მისკენ მიიმართება გაჭირების დროს. ბუნებითად კანონი ყველასათვის ერთნაირი დავალებაა, ერთნაირი უფლება და როცა იგი ერთს ერთნაირად ეჭცევა და მეორეს სხვანაირად, მაშინ იგი სხვა არა არის რა, თუ არ რჯულად შექმნილი უპირატესობა ერთისა მეორის წინაშე.

ვერა წესიერად მოწყობილი მოქალაქური ცხოვრება ვერ შეითვერებს ამისთანა უსწორმასწორობას უიმისოდ, რომ თვით ზედ არ გადაევოს, პირქვე არ დაემხოს და ამიტომაც არ არის ქვეყანაზედ არც ერთი იმისთანა განათლებული სახელმწიფო, საცა ყველას თანასწორობა კანონის წინაშე დედააზრად, სათავედ არ ედვას ყოველს კანონმდებლობას, ყოველს რჯულიერებას...

თუმცა რჯულიერება კანონის წინაშე ეგრე გვასწორებს ყველასა, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, თვითონ ცხოვრება, რომელსაც ჯერ ვერ აღმოუფხვრია ძირიანად ძველნი ზნენი და წადილნი, ჯერ კიდევ ეურჩება კანონს და დიდი პედედავს შებლალვას პატარის უფლებისას მარტო იმ აზრით, რომ მე დიდი ვარ და ის პატარაო.

ამ მავნებელის ზნის აყოლა მიეტევება გაუნათლებელს კაც-სა, იმისთანა კაცსა, რომელსაც არ ესმის, რომელსაც ჯერ ვერ მიუგნია, რა დიდი მადლია ქვეყნისათვის, კაცთა საზოგადოების ბედნიერად ცხოვრებისათვის თანასწორობა კანონის წინაშე. ხოლო არ მიეტევება მას, ვინც გარეგანის ნიშნებით მაინც საგულისხმოა, რომ სწავლაში ყოფილა, განათლების შუქი ცოტად თუ ბევრად მოჰყენია და თვის საზოგადოებაშიც იმისთანას მდგომარეობა აქვს, რომ მოეთხოვება სამართლიანი მართებული ქცევა ყველას წინაშე, დიდი იქმნება თუ პატარა.

ილია ჭავჭავაძეს, სხვა „თერგდალულებისა“ და მომდევნო თაობების მოღვაწეთა მიერ დაწყებული მუშაობის დაგვირგვინება იყო 1921 წელს მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) კონსტიტუციია.




აქტივობა № 11

1. გადახედეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის (წყარო: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4801430?publication=0>). იპოვეთ მუხლები, რომლებიც კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებსა და სამართლებრივ სახელმწიფოს შეეხება.

2. შეადარეთ 1921 წლის კონსტიტუციისალნიშნულიპრინციპებისაქართველოს დღეისათვის მოქმედ კონსტიტუციის შესაბამის პრინციპებს (წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>). იმსჯელეთ, რაში ჰგავს და რით განსხვავდება ამ დოკუმენტებში გადმოცემული პრინციპები.



ილია ჭავჭავაძე
(1837-1907) – ქართველი
საზოგადო მოღვაწე და
მწერალი.



1921 წლის კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულია სამართლებრივი სახელმწიფოს უველა მახასიათებელი. უშუალოდ, კანონის წინაშე თანასწორობა გარანტირებულია კონსტიტუციის მე-16 მუხლით.

საქართველოს დღევანდველ კონსტიტუციაში პირდაპირაა მითითებული, რომ საქართველო სამართლებრივი სახელმწიფოა. კონსტიტუციის პირველი და მეორე თავების მუხლები აყალიბებენ შესაბამის გარანტიებს.



აქტივობა № 12

ნაიკითხეთ საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა, რითაც იწყება ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია. წარმოიდგინეთ, რომ თქვენს მეგობარს უხსნით მას – თქვენი სიტყვებით ჩამოაყალიბეთ ტექსტში მოცემული ყველა ფრაზა და ახსენით ისინი (წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>).



საქართველოს კონსტიტუცია, პრეამბულა

ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყოთ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განვამტკიცოთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფო-ბრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობაზე დაყრდნობით, ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას.



საქართველოს კონსტიტუციის ის მუხლები, რომლებიც სახელმწიფო მოწყობას და ადამიანის ძირითადად უფლებებს შეეხება

თავი პირველი. ზოგადი დებულებები

- მუხლი 1. სახელმწიფო სუვერენიტეტი
- მუხლი 2. სახელმწიფო სიმბოლოები
- მუხლი 3. დემოკრატია
- მუხლი 4. სამართლებრივი სახელმწიფო
- მუხლი 5. სოციალური სახელმწიფო
- მუხლი 6. ეკონომიკური თავისუფლება
- მუხლი 7. ტერიტორიული მოწყობის საფუძვლები
- მუხლი 8. სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა

თავი მეორე. ადამიანის ძირითადი უფლებები

- მუხლი 9. ადამიანის ღირსების ხელშეუვალობა
- მუხლი 10. სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები
- მუხლი 11. თანასწორობის უფლება
- მუხლი 12. პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება
- მუხლი 13. ადამიანის თავისუფლება
- მუხლი 14. მიმოსვლის თავისუფლება
- მუხლი 15. პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები
- მუხლი 16. რჩმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები
- მუხლი 17. აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტის თავისუფლების უფლებები
- მუხლი 18. სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები
- მუხლი 19. საკუთრების უფლება
- მუხლი 20. შემოქმედების თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა
- მუხლი 21. შეკრების თავისუფლება
- მუხლი 22. გაერთიანების თავისუფლება
- მუხლი 23. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება
- მუხლი 24. საარჩევნო უფლება
- მუხლი 25. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება
- მუხლი 26. შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება
- მუხლი 27. განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება
- მუხლი 28. ჯანმრთელობის დაცვის უფლება
- მუხლი 29. გარემოს დაცვის უფლება
- მუხლი 30. ქორწინების უფლება, დედათა და ბავშვთა უფლებები
- მუხლი 31. საპროცესო უფლებები
- მუხლი 32. საქართველოს მოქალაქეობა
- მუხლი 33. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები
- მუხლი 34. ადამიანის ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის ზოგადი პრინციპები
- მუხლი 35. საქართველოს სახალხო დამცველი



აქტივობა № 13

გაეცანით საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლს
(<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?pub-lification=36>).

განიხილეთ თითოეული პუნქტი და ახსენით, თუ როგორ უკავშირდება
მოცემული თეზისები სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებს.



მუხლი 4. სამართლებრივი სახელმწიფო


- საქართველო არის სამართლებრივი სახელმწიფო.
- სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს.

ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან.

- სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.
- სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების მიღებისა და გამოცემის ზოგადი წესი და მათი იერარქია განისაზღვრება ორგანული კანონით.

როცა სამართლებრივ სახელმწიფოზე ვლაპარაკობთ, უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებით ვერ მოხერხდება სამართლიანობისა და საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა და სტაბილური, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.


როგორი კარგიც არ უნდა იყოს სახელმწიფო სისტემა, ის გამართულად ვერ იფუნქციონირებს საზოგადოებაში მაღალი სამართლებრივი კულტურის არსებობის გარეშე.



შეაფასეთ საკითხთან დაკავშირებული თქვენი ამჟამინდელი ცოდნა. დაფიქრდით, რა დაგეხმარათ ან რამ შეგიძლათ ხელი ცოდნის გაღრმავებაში, სამომავლოდ რას გაითვალისწინებთ?

4. მოქალაქეთა როლი სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებაში

თქვენ უკვე იცით, რას ნიშნავს სამართლებრივი სახელმწიფო, საიდან მოდის და რატომ გვჭირდება წესები. იცით, როგორ და რატომ იქმნება კანონები, ვისაუბრეთ სამართალდამცავ და მართლმსაჯულების ორგანოებზეც, ახლა კი დრო დადგა, დავთიქვდეთ, რა როლი გვაქვს ჩვენ, მოქალაქეებს, სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარებაში.



შეაფასეთ თქვენი წინარე ცოდნა. დაფიქრდით, რა სახის ინფორმაცია და აქტივობები დაგჭირდებათ, რომ დავალების შესრულების შემდეგ უკეთესი შედეგი მიიღოთ.

კომპლექსური დავალება

კანონშემოქმედებით პროცესში მონაწილეობა მოქალაქის ერთ-ერთი უფლებაა. შექმენით **საკანონმდებლო ინიციატივა/საკანონმდებლო წინადადება/პეტიცია**, რომლითაც მოითხოვთ რაიმე საკითხის შესახებ კანონის მიღებას ან შეცვლას. გააცანით თქვენი იდეა ოჯახის წევრებს, სკოლის საზოგადოებას და შეაგროვეთ ხელმოწერები.

საკანონმდებლო ინიციატივაში/საკანონმდებლო წინადადებაში/პეტიციაში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- რატომ უნდა მიიღოს/შეცვალოს თქვენ მიერ მითითებული კანონი საკანონმდებლო ორგანომ?
- რატომ და როგორ უნდა დაუჭირონ მხარი მოქალაქეებმა ამ იდეას?
- როგორ აისახება მსგავსი გადაწყვეტილება გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორც ცალკეული ადამიანების ცხოვრებაზე, ისე მთლიანად საზოგადოებაზე?

რეკომენდაცია:

დავალების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას იპოვით **სახელმძღვანელოს მოცემულ პარაგრაფში**, მათ შორის პროდუქტის ნიმუშებს. ყურადღებით დაამუშავეთ მასალა და რეეულში მოინიშნეთ ყველა მონაკვეთი, რომლებიც ზემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ.

დავალებაში ყურადღება გაამახვილეთ იმ საზოგადოებრივ პრობლემასა და მის შედეგებზე, რომლის მოსაგვარებლადაც ქმნით საკანონმდებლო ინიციატივას/საკანონმდებლო წინადადებას/პეტიციას. ხაზი გაუსვით, რომელი უფლებები ირღვევა ამ პრობლემით და როგორ უნდა მოგვარდეს ის.



რა არის სამართლებრივი კულტურა?

სახელმწიფო სტრუქტურები გამართულად ვერ იფუნქციონირებს, თუ საზოგადოება მზად არ იქნება.

ერთია, სახელმწიფოში იყოს კანონები და მათი აღსრულების მექანიზმები და მეორეა, რამდენად არის იქ დამკვიდრებული სამართლებრივი კულტურა, ანუ რამდენად ფლობს მოქალაქე ინფორმაციას კანონებისა და მათი აღსრულების მექანიზმების შესახებ, რამდენად სცემს პატივს, იცავს ან იყენებს ამ კანონებს (არა კანონის დარღვევის შემთხვევაში დასჯის შიშით, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებაზე ზრუნვის მიზნით), რამდენად უწყობს ხელს მათ აღსრულებას და, მეტიც, თავად თუ არის ჩართული მათ შექმნაში.

სამართლებრივ კულტურას სხვადასხვაგვარად განმარტავენ. ზოგიერთ შემთხვევაში, ამ ტერმინით აღნიშნავენ სოციალურ გარემოს, რომელშიც კანონები მოქმედებს, ზოგჯერ ლირებულებათა სისტემად ან აზროვნების (მენტალობის) ფორმად წარმოაჩენენ, რომელიც საზოგადოების მიერ კანონების პატივისცემაზეა დამყარებული; ზოგჯერ კი ტოტალიტარიზმის საპირისპირო ცნებად მოიაზრება.



სამართლებრივი სახელმწიფო მოქალაქეებში დამკვიდრებული სამართლებრივი კულტურის გარეშე ძნელად წარმოსადგენია. სამართლებრივი სახელმწიფო კი მხოლოდ მაშინ იქმნება, როდესაც, ერთი მხრივ, ქვეყანაში დაცულია მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები და, მეორე მხრივ, თავად მოქალაქეც ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს, მაგალითად, იცავს ქვეყანაში არსებულ კანონებს, არ არღვევს სხვა ადამიანის უფლებებს და საჭიროების შემთხვევაში იცავს საკუთარსაც.

სამართლებრივი კულტურის კიდევ ერთი ნიშანია საზოგადოების დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ. სამართლებრივი კულტურის მქონე საზოგადოება, როგორც წესი, თანაუგრძნობს მსხვერპლს და ამავდროულად, დამნაშავის გამოსწორება სურს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ადამიანის დამნაშავედ ცნობა და მისთვის შესაბამისი სასჯელის შეფარდება მხოლოდ მართლმსაჯულების ორგანოს შეუძლია.



პრინციპი № 1

გაეცანით ადაპტირებულ ამონარიდს მიხეილ ჯავახიშვილის „ეშმაკის ქვიდან“ და იმსჯელეთ:

- რატომ გაუჩინდათ გლეხებს განცდა, რომ მთავრობა დამნაშავეებს მფარველობდა?
- გაიხსნეთ, რა შედეგი მოჰყვა სამართლის აღუსრულებლობას, როგორც საზოგადოებისთვის, ისე კანონდამრღვევებისთვის?

- რა უნდა იყოს სასჯელის მიზანი?
- რატომ არის აუცილებელი მართლმსაჯულების ობიექტურად აღსრულება მთელი საზოგადოებისთვის?

იმ ზაფხულს ჩვენს სოფელში ახლო-მახლო ქურდობა გავრცელდა. ჯერკვერცხიდანდაქათმებიდანდაიწყეს, მერმე ცხვარსა და ღორზე გადავიდნენ, შემდეგ რამდენიმე გლეხს ხარ-კამეჩი გაურეკეს და ბოლოს სახლების მტვრევასაც შეუდგნენ. გლეხები ხშირად შემომჩიოდნენ ხოლმე:


— აგვიკლეს ამ ჰარამზადებმა, შენი ჭირიმე, აგვიკლეს. არაფერი აღარ შეგვარჩინეს: არც ქათამი, არც ცხენი და არც ხარი, სულ აგვანიავეს. ღმერთმანი, აღარ ვიცით, რა ვქნათ.

— ვიცით, ვინც არიან, — დაბალი ხმით დაუმატებდა მეორე, — ბარემ ვიცით, მაგრამ რა ვქნათ, რომ ვერსად მოვასწარით და ხელი ვერ ვტაცეთ.

— რაღა დასამალავია, შენი ჭირიმე, ქვეყანამ იცის, მაგრამ ხმას არავინ არ იღებს, ეშინიათ, რადგან „მგლის ლეკვი“ თავზე ხელალებული ბიჭია და თავის დაჭერას არავის არ შეარჩინს.

ერთხელ ბაკიდან მეც ორი ხარი და ერთი ძროხა გამირეკეს. მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ქურდებს კვალდაკვალ მიჰყვნენ და იმავე დღეს, ათი ვერსის მანძილზე, ტყეში დაბმულ საქონელს წააწყდნენ. დათას და სოლოს იქვე მახლობლად ეძინათ: ორივენი შეპბოჭეს და ციხეში ჩასვეს, მაგრამ ერთი თვის შემდეგ ისევ გამოუშვეს, რადგან ქურდობა ვერ დაუმტკიცეს, ორივენი დაბრუნდნენ და სოფელს უარესი დღე დააყენეს. იმ გლეხებს კი, ვინც ყველაზე ბეჯითად ცდილობდნენ მათი დაჭერის დროს, არაფერი აღარ შეარჩინეს, მათი ოჯახი წყალს მისცეს და ერთს თავიც კი გაუტეხეს.

ორი კვირის შემდეგ ხელმეორედ დაიჭირეს. სასამართლომ ხელმეორედ გაამართლა. სოფელმა სთქვა: ისევ ჩვენ თუ მოვიშორებთ თავიდან, თორემ მთავრობას მაგათი მხარე უჭირავსო...



მიხეილ ჯავახიშვილი

ეს საინტერესოა

სახელმწიფოს მიერ დადგენილ ან სანქცირებულ ქცევის წესს, რომლის დაცვა და შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით სამართლის ნორმა ეწოდება. იგი სამი ელემენტისგან შედგება. ესენია ჰიპოთეზა, დისპოზიცია, სანქცია. ამ ნაწილების ერთობლიობას სამართლის ნორმის სტრუქტურა ეწოდება. სამართლის ნორმის იმ ნაწილს, რომელიც მიუთითებს იმ ჰიპოთეზსა და გარემოებებზე, რომელთა არსებობა ან დადგომა აუცილებელია ამ ნორმით დადგენილი წესის განხორციელებისათვის, ეწოდება ჰიპოთეზა, ხოლო ის ნაწილი, რომელიც უმუალოდ ქცევის წესს განსაზღვრავს, არის დისპოზიცია. სამართლის ნორმის ნაწილს, რომელიც ადგენს იძულებითი ხასიათის ღონისძიებას დისპოზიციით გათვალისწინებული ქცევის წესის დარღვევისათვის, სანქცია ეწოდება.

წყარო: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=23584>

გაიხსენეთ, რა განსხვავებაა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასა და სისხლის სამართლის დანაშაულს შორის და რომელი ასაკიდან აგებს ადამიანი თითოეულ მათგანზე პასუხს.

| ადმინისტრაციული სამართალდარღვევა | სისხლის სამართლის დანაშაული |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> ▪ მოქალაქეს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და ნარჩენების მართვის კოდექსისთვის გათვალისწინებული წესის დარღვევისთვის; ▪ მოქალაქეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისა და ნარჩენების მართვის კოდექსის მიხედვით გათვალისწინებულ სახდელს აკისრებს როგორც საპატრულო პოლიცია, ასევე სასამართლო; ▪ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მოქალაქეს ეკისრება 16 წლის ასაკიდან. | <ul style="list-style-type: none"> ▪ მოქალაქეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება, მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსში ასახული დანაშაულის ჩადენისთვის; ▪ ადამიანის დამნაშავედ ცნობა მხოლოდ სასამართლოს შეუძლია, რაც თავის მხრივ იწვევს ნასამართლობას; ▪ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება 14 წლის ასაკიდან. |

სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელად გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადის მიხედვით დანაშაული სამი კატეგორიისაა: ნაკლებად მძიმე; მძიმე და განსაკუთრებით მძიმე. რაც უფრო დიდია ზიანი, რომელიც მოჰყვა დანაშაულის ჩადენას, მით უფრო მძიმედ ითვლება იგი და შესაბამისად უფრო დიდ სასჯელს ითვალისწინებს. შესაძლოა ერთი და იგივე ტიპის დანაშაული, იმის მიხედვით თუ რა გარემოებებში და მერამდენჯერ ჩაიდინა ის კონკრეტულმა პირმა ჩაითვალოს ნაკლებად მძიმე, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად. მაგალითად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3-დან 5-წლამდე. იგივე დანაშაული, თუკი ის არაერთგზისაა ჩადენილი ან ჩადენილია წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, ან სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით ისჯება 5-დან 7-წალმდე. ხოლო თუკი აღნიშნულ დანაშაულს ადამიანი რამდენიმე პირის მიმართ ან ჯგუფურად ჩაიდენს, ან გამოიყენებს სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიშ ძალადობას ან მსგავსი ძალადობის მუქარას მას თავისუფლების 7-დან 12 წლამდე აღკვეთა ემუქრება.



| ნაკლებად მძიმე დანაშაული; | მძიმე დანაშაული; | განსაკუთრებით მძიმე დანაშაული |
|---|---|--|
| ნაკლებად მძიმეა ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით. | მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით. | განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა |

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი –
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=242>

დანაშაულებზე საუბრისას შეგვიძლია გამოყოფა ასევე განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული.

| განზრახ დანაშაული | გაუფრთხილებლობით დანაშაული |
|---|--|
| <ol style="list-style-type: none"> 1. განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახით. 2. ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. 3. ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუკალობას. 4. ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ. 5. გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. | <ol style="list-style-type: none"> 1. გაუფრთხილებლობით დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით. 2. ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. 3. ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდევ. 4. გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. |

სასჯელის სახეები და მისი მიზნები

| სასჯელის მიზანი | სასჯელის სახეები |
|--|--|
| <p>1. სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა;</p> <p>2. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება;</p> <p>3. დამნაშავის რესოციალიზაცია.</p> <p>სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ლირსების დამცირება.</p> | <p>ა) ჯარიმა;</p> <p>ბ) თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;</p> <p>გ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;</p> <p>დ) გამასწორებელი სამუშაო;</p> <p>ე) სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა;</p> <p>ვ) შინაპატიმრობა;</p> <p>ზ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა;</p> <p>თ) უვადო თავისუფლების აღკვეთა;</p> <p>ი) ქონების ჩამორთმევა;</p> <p>კ) იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვა.</p> |



აქტივობა № 2

გაეცანით სტატიას სახელწოდებით “ამნისტია, როგორც სამართლიანობისა და საზოგადოებრივი თანხმობის მექანიზმი” (<https://bit.ly/3E4DUaa>) და კლასში მოაწყვეთ დისკუსია ამნისტიის მნიშვნელობის შესახებ. ამნისტიის შემთხვევების დროს ხშირად ვაწყდებით აზრთა სხვადასხვაობას, დაფიქრდით, რა არგუმენტები შეიძლება ჰქონდეთ ამნისტიის მომხრებს ან მონინაალმდეგებს? როგორია პირადად თქვენი პოზიცია? თქვენი აზრით, ვის უნდა ეხებოდეს ამნისტია? უნდა მოიცავდეს თუ არა ის ყველა კატეგორიის დანაშაულს, რეციდივს? როგორ უნდა იქნას მიღებული ამნისტიის გადაწყვეტილება, იმისთვის, რომ ის ასახავდეს მოსახლეობის ინტერესებს?



ამნისტია – (ბერძ. Amnestia დავინწყება /დანაშაულისა, წყენისა/, პატიება) დამნაშავის გათავისუფლება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, აგრეთვე, მსჯავრდადებულის გათავისუფლება სასჯელისგან. ანდა მისთვის დანაშნული სასჯელის შემცირება, ან შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით. ამნისტიის აქტით სასჯელმოხდილს შეიძლება მოეხსნას ნასამართლეობაც. ამნისტიას აცხადებს საქართველოს პარლამენტი.

დანაშაულის რეციდივი – წინათ განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ ~~განაწილები~~ დანაშაულის ჩადენა

მსჯავრდებული – პირი, რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი

ბრალდებული – პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.



აქტივობა №3

ჩაატარეთ კვლევა თემში და გამოიკვლეოთ რამდენად ხშირად მიმართავენ მოქალაქეები სამართალდამცავ ან მართლმსაჯულების ორგანოებს სამართლებრივი დავის მოსაგვარებლად? კვლევის შედეგების პრეზენტაციისას აუდიტორიაში იმსჯელეთ, რატომ უნდა მივმართოთ სასამართლოს, როცა ვინმესთან რაიმე სამართლებრივი პრობლემა გვაქვს? რატომ არის თვითნებურად სამართლიანობის აღდგენის მცდელობა დანაშაული და რა ტიპის სასჯელი ეკისრება მოქალაქეს, ვინც მართლმსაჯულების გვერდის ავლით ცდილობს პრობლემის მოგვარებას?



აქტივობა №4

საჯარო სამსახურში (და არა მხოლოდ) მუშაობის დაწყებისთვის ადამიანმა უნდა წარადგინოს ცნობა ნასამართლების შესახებ. მაგალითად, საქართველოს კანონში საჯარო სამსახურის შესახებ ვკითხულობთ „საჯარო სამსახურში არ მიიღება პირი, თუ იგი ნასამართლევია განზრას ჩადენილი დანაშაულისათვეს და მოხსნილი არა აქვს ნასამართლეობა“. იმსჯელეთ, რატომ ითხოვენ სამსახურები მსგავს ცნობას? რატომ ეუბნებიან სამსახურის აყვანაზე უარს ნასამართლეობის მქონე პირს? რამდენად ეთანხმებით მსგავს მიდგომას? დაფიქრდით, როგორ აისახება ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაული მის სამომავლო ცხოვრებაზე? რა არის საჭირო იმსთვის, რომ ადამიანი სასჯელის მოხდის შემდეგ სრულფასოვნად დაუბრუნდეს საზოგადოებას?



ნასამართლევი პირი — — პირი ნასამართლევად ითვლება მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებისდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე



აქტივობა №5

უყურეთ ვიდეოს სახელწოდებით „„რე-მარკეტი“ — მსჯავრდებულთა, პრობაციონერთა და ყოფილ პატიმართა ხელნაკეთი ნივთების მაღაზია“ <https://www.youtube.com/watch?v=QQrt-OZeh8Y> იმსჯელეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი მსჯავრმდებული და ნასამართლევი პირების რესოციალიზაცია როგორც მათთვის ისევე მთლიანად საზოგადოებისთვის, როგორ შეუძლია საზოგადოებას ხელი შეუწყოს ამ პროცესს?



რესოციალიზაცია — ადამიანების სოციალურ ცხოვრებაში — საზოგადოებაში კვლავ ინტეგრირება.



აქტივობა №6

გაეცანი შემოთავაზებულ შეკითხვებს, გაიხსენეთ განვლილი მასალა (მათ შორის მე-9 კლასში ნასწავლი თემები) და კლასთან ერთად იმსჯელეთ თითოეულ მათგანზე:

- როდის ხდება სასამართლო პროცესების ნარმართვა ნაფიც მსაჯულთა კოლეგის მიერ? თქვენი აზრით, რატომ არის მოქალაქეთა ჩართულობა მართლმსაჯულების პროცესში მნიშვნელოვანი?
- თქვენი აზრით, რატომ არ შეიძლება საქალაქო სასამართლოს განაჩენი პირდაპის უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდეს?



კანონის აღსრულების მნიშვნელობა

მოქალაქეების მიერ არჩეული პარლამენტი უნდა იღებდეს კანონებს, ხოლო აქტიური მოქალაქეები ადვოკატიორებას უნდა უწევდნენ კანონების მიღებას. თუმცა იმისთვის, რომ კანონმა იმუშაოს და მოქალაქეებს ჰქონდეთ განცდა, რომ ეს კანონი მათ იცავს, აუცილებელია, მისი აღსრულება თანმიმდევრული და ობიექტური იყოს. კანონის აღსრულების შედეგების კარგი მაგალითია საქართველოში უსაფრთხოების ღვედის გამოყენებასთან დაკავშირებული ისტორია. დღეს ყველა თანხმდება, რომ უსაფრთხოების ღვედის შეკვრას ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია და ღვედის გამოყენება ამისთვისაა საჭირო. რაც მთავარია, აღარავის უკვირს ან ეხამუშება ღვედის შეკვრა, 2010 წელს კი, როდესაც საკანონმდებლო დონეზე უნდა დადგენილიყო მისი გამოყენების აუცილებლობის საკითხი, მძღოლების უმეტესობა უარყოფითად იყო განწყობილი, ლაპარაკობდნენ დისკონფირტზე, შეზღუდვაზე, ნაკლებად ფიქრობდნენ უსაფრთხოებაზე და მხოლოდ ჯარიმის თავიდან აცილების გამო აპირებდნენ კანონის დაცვას. ხშირად გაიგონებდით: „რა უნდა ქნა, კანონი კანონია, უნდა დაემორჩილო“.




აქტივობა № 7

გაეცანით უსაფრთხოების ღვედის გამოყენებლობის გამო გამოწერილი ჯარიმების სტატისტიკას და იმსჯელეთ:

- რაზე შეიძლება მიანიშნებდეს მონაცემების ცვალებადობა?
- რატომ იყო 2010-2011 წლებში ყველაზე ნაკლები დაჯარიმება? რატომ იკლებს 2013 და 2020 წლიდან დაჯარიმებულთა რიცხვი?

საქართველოში უსაფრთხოების ღვედის გამოყენებლობა



აქტივობა № 8

წაიკითხეთ ამონარიდი „ტაბულას“ 2010 წლის სტატიიდან „ღვედი ჩვენი არსებობისა“ (<https://tabula.ge/ge/news/540308-ghvedi-chveni-arsebobisa>)

და იმსჯელეთ:

- რამდენად არის დღეს შეცვლილი უსაფრთხოების ღვედის გამოყენებასთან დაკავშირებით დამოკიდებულება მძღოლებში? საზოგადოებაში? სამართალდამცველებში?
- რატომ იყო ამ კანონის მიღება და ალსრულება მნიშვნელოვანი?
- ჩაატარეთ 2 ან 3 თაობის 5-5 წარმომადგენლის გამოკითხვა და დაადგინეთ, რამდენად არის დამკვიდრებული მოქალაქეებში ღვედის ტარების სამართლებრივი კულტურა?

„მძღოლები, რომლებიც საკუთარი უსაფრთხოებისთვის ღვედებს ქალაქშიც იყენებენ საზოგადოებისა და პატრულის თანამშრომლებში გაოცებას იწვევენ (შენიშვნა – 2010 წლამდე ღვედის გამოყენება მხოლოდ 80 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარით მოძრაობის დროს იყო სავალდებულო, დასახლებულ პუნქტში სწრაფად სიარული აკრძალულია, შესაბამისად, ქალაქში არ იყენებდნენ). უდიდესი ქართული ინტერნეტფორმუმის, forum.ge-ს ერთ-ერთი მომხმარებელი წერს, რომ საეჭვოდ მიიჩნიეს და გააჩერეს მხოლოდ იმიტომ, რომ ღვედი ჰქონდა შეკრული. forum.ge-ზე ასეთ ირონიულ გამონათქვამებსაც წააწყდებით: „ღვედი მხოლოდ იმისთვისაა, რომ ლუდის ბოთლი გავხსნათ რკინის დაბოლოებით“. შესაძლოა, ფრაზა ნაწილობრივ ასახავს მძღოლების დამოკიდებულებას ქალაქში ღვედების გამოყენებასთან, მაგრამ პრაქტიკაში აჩვენა, რომ მსგავსი წინააღმდეგობის გადალახვა შესაძლებელია. გადამწყვეტი ეფექტიანი კონტროლის არსებობაა“.

ეს საინტერესოა

იცოდით, რომ თანამედროვე სახის უსაფრთხოების ქამარი 1959 წელს კომპანია „ვოლვოში“ შეიქმნა? თუმცა ამ ისტორიაში განსაკუთრებით საინტერესო ის ფაქტია, რომ „ვოლვომ“ კონკურენცია გვერდზე გადადო და უსაფრთხოების ქამრის დიზაინის პატენტი გაასაჯაროვა. კომპანიამ ჩათვალა, რომ რომელი ფირმის მანქანასაც არ უნდა ატარებდნენ ადამიანები, მათი სიცოცხლე დაცული უნდა იყოს.





აქტივობა № 9

თავდაპირველად საზოგადოების მსგავსი უარყოფითი დამოკიდებულება ღვედის მიმართ მხოლოდ საქართველოში როდი იყო. თანამედროვე უსაფრთხოების ღვედის გამოგონებას საზოგადოების დიდი ნაწილი მსოფლიოშიც უარყოფითად შეხვდა. ღვედის გაკეთებას აფასებდნენ, როგორც უფლებების დარღვევას. უყურეთ ვიდეოს და იმსჯელეთ, რატომ არის აუცილებელი უსაფრთხოების ღვედის (<https://www.facebook.com/VolvoCarSakartvelo/videos/774835243309878>) გამოყენება?



კანონშემოქმედებით პროცესში მოქალაქეების მონაწილეობის უფლება

მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების ღვედების გამოუყენებლობის გამო ჯარიმების ოდენობა ძალიან დაბალი არ არის და ადამიანების ნაწილი ღვედს ამ დრომდე დაჯარიმების თავიდან არიდებისთვის იყენებს, ფაქტია, რომ საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც საზოგადოების დამოკიდებულება უსაფრთხოების ღვედის გამოყენებისადმი მაინც პოზიტიურად შეიცვალა და მას უფლებების დარღვევად ალარ აღიქვამენ. მაგრამ რა ხდება მაშინ, თუ კანონი ან სამართლებრივი აქტი მართლაც არღვევს ადამიანის უფლებებს? როგორ უნდა მოიქცეს სამართლებრივი კულტურის მქონე მოქალაქე? დაემორჩილოს თუ არა კანონს, რომელიც ენინაალმდეგება ადამიანის უფლებებს? უნდა გვახსოვდეს, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში მოქალაქეებს შეგვიძლია კანონშემოქმედებით პროცესებში მონაწილეობა, მაგ., მოვითხოვოთ კანონის გაუქმება, შეცვლა ან, სულაც, ახალი კანონის მიღება.

თუკი სამართლებრივი აქტი, მათ შორის კანონი, არღვევს კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებებს, მოქალაქეს შეუძლია, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვოს კანონის გაუქმება.



მოქალაქეს შეუძლია, კანონის ცვლილების ან მიღების თაობაზე პარლამენტს წარუდგინოს საკანონმდებლო წინადადება ან საკანონმდებლო ინიციატივა.

სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში



აქტივობა № 10

გაიხსენეთ სამართლებრივი დოკუმენტების იერარქია, გაეცანით მოცემულ წყაროებს და იმსჯელეთ:

- თქვენი აზრით, როგორ აისახება შეტანილი ცვლილება კანონის სამართლიანად აღსრულებაზე?
- ვის, რომელ უწყებებს შეეხო ამ კანონის ცვლილება? (ვინ შეიტანა ცვლილება? ვინ უნდა აღასრულოს და ვინ უნდა გამოიტანოს გადაწყვეტილება შეცვლილი კანონმდებლობით?).
- თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია, მოქალაქეს პქონდეს უფლება, მოითხოვოს კანონის გაუქმება (თუ ის ადამიანის უფლებებს არღვევს)?
- როგორ გავლენას ახდენს ასეთი უფლება და მისი გამოყენება დემოკრატიის განვითარებაზე?
- როგორ ესადაგება ეს უფლება და, ზოგადად, საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობა

დემოკრატიის პრინციპებს?

წყარო № 1

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი გვამცნობს, რომ:

დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისმგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი - უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.



წყარო № 2

„სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ მიერ მოქალაქე გიორგი ქებურიას ჩერეკასთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ საკონსტიტუციო სასამართლოში წამოწყებული დაგის ერთ-ერთი საგანი იყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის გარკვეული მონაკვეთის შეუსაბამობა კონსტიტუციის ზე-მოთ მოყვანილი (31-ე) მუხლის მე-7-ე პუნქტთან. „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ ვებგვერდზე ვკითხულობთ: „2020 წლის 25 დეკემბერს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა გიორგი ქებურიას სარჩელი ჩერეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების უტყუარობასთან დაკავშირებით. სასამართლოს თანახმად, ის ფაქტი, რომ ჩერეკის შედეგად ნამდვილად მოხდა ბრალდებულის მფლობელობიდან ნივთის ამოღება, პოლიციელთა ჩვენებებთან ერთად, უნდა დასტურდებოდეს სხვა, ნეიტრალური მტკიცებულებით.“

ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების მიზანია პოლიციელთა მხრიდან ნივთის „ჩადებასთან“ დაკავშირებით შესაძლო ეჭვების გამორიცხვა. ამიტომ ჩერეკის შედეგად ამოღებული ნივთი ვერ მიიჩნევა სანდო მტკიცებულებად, იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიციელებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ნეიტრალური მტკიცებულების მოსაპოვებლად. საკონსტიტუციო სასამართლო ნეიტრალური მტკიცებულების მაგალითად მოიაზრებს ჩერეკის პროცესის ვიდეოგადაღებას ან/და მასზე ნეიტრალური მოწმის დასწრებას (სოციალური სამართლიანობის ცენტრი).



წყარო № 3

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა. თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს შეამოწმებთ, დარწმუნდებით, რომ აღნიშნული საქმიდან გამომდინარე, კანონში ცვლილება შევიდა. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034?publication=146>

(მალადაკარგულად იქნა ცნობილი მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშენებს ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას, იმ პირობებში, როდესაც ამოღებული ნივთის ბრალდებულის მფლობელობაში ყოფნა დასტურდება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს შეეძლოთ, თუმცა არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად) - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/1276 – ვებგვერდი, 30.12.2020წ.

(მალადაკარგულად იქნა ცნობილი მე-13 მუხლის მე-2 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს განაჩენის გამოტანისას სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის იმ ჩვენების მტკიცებულებად გამოყენებას, რომელიც ეფუძნება ოპერატიული წყაროს (კონფიდენციალური, „ინფორმაციური“) ან ანონიმური პირის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას) - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/1276 – ვებგვერდი, 30.12.2020წ.

შეგიძლიათ ეწვიოთ საკონსტიტუციო სასამართლოს გვერდს და გაეცნოთ სხვა საჩივრებსა და გადაწყვეტილებებს. <https://www.constcourt.ge/ka/home> ნახეთ, რამდენად ხშირად მიმართავენ მოქალაქეები საკონსტიტუციო სასამართლოს, კიდევ ვის შეუძლია, მიმართოს მას.

საკანონმდებლო ინიციატივა და საკანონმდებლო წინადადება

მოქალაქეებს შეუძლიათ, პარლამენტს წარუდგინონ საკანონმდებლო წინადადება ან ინიციატივა, ასევე მიმართონ უშუალოდ პარლამენტის წევრს და გააცნონ მას კანონპროექტის იდეა. იდეის მონიტორინგის შემთხვევაში პარლამენტის წევრი უფლებამოსილია, საკანონმდებლო ინიციატივით მიმართოს პარლამენტს. ახალი საკანონმდებლო იდეის ადვოკატირების პროცესში ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის საკუთარი იდეის მისაწოდებლად ხშირად იყენებენ ელექტრონულ პეტიციებსაც. ელექტრონული პეტიციების შექმნა შეგიძლიათ საიტზე ichange.gov.ge. სახელმწიფო სტრუქტურებს ევალებათ, განიხილონ ამ საიტზე შექმნილი პეტიციები, რომლებიც შესაბამისი რაოდენობის ხმებს შეაგროვებს.



რა განსხვავება საკანონმდებლო ინიციატივასა და საკანონმდებლო წინადადებას შორის?

| ფორმა | საკანონმდებლო ინიციატივა | საკანონმდებლო წინადადება |
|-------------------------|--|--|
| კანონპროექტის ფორმა | კანონპროექტის ფორმა | საკანონმდებლო ინიციატივის არმქონების პირის მიერ პარლამენტისთვის წარდგენილი მიმართვა ახალი კანონის მიღების, კანონში ცვლილებების შეტანის ან კანონის ძალადაკარგულად ცნობის თაობაზე. |
| ნარდ-გენის უფლება აქვთ: | საქართველოს მთავრობას; პარლამენტის წევრს; პარლამენტის კომიტეტს; პარლამენტის ფრაქციას; აფხაზეთისა და აჭარის უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოებს; საინიციატივო ჯგუფს, რისთვისაც მას სტირდება არანაკლებ 25000 ამომრჩევლის ხელმოწერა. | საკანონმდებლო ინიციატივის არმქონების პირი |

საკანონმდებლო წინადადებები



აქტივობა № 11

გაეცანით რამდენიმე საკანონმდებლო წინადადებას, რომლებიც 2022 წელს საქართველოს მოქალაქემ ან არასამთავრობო ორგანიზაციამ წარუდგინა საქართველოს პარლამენტს და იმსჯელეთ

- რამდენად მნიშვნელოვანია ამ იდეების განხორციელება საზოგადოებისთვის? რატომ?
- როგორ მეტყველებს ასეთი უფლების არსებობა და მისი გამოყენება სამართლებრივ კულტურაზე?



NGO – „Happy Kids“-ის (იადუდაშვილი) მიერ წარმოდგენილი საქართველოს 1152 მოქალაქის ხელმოწერილი პეტიცია „აღდგეს საზაფხულო ბალები“.



<https://parliament.ge/legislation/24303>

საქართველოს მოქალაქე ზურაბ მუშკუდიანის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება ქვეყანაში ბრაკონიერული ფაქტების აღკვეთისა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასთან დაკავშირებით.



<https://parliament.ge/legislation/24349>

საქართველოს მოქალაქე თამარ ცანავას მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება პედაგოგთა დეკრეტული შვებულების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.



<https://parliament.ge/en/legislation/23777>

არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავლობითი სკლეროზი საქართველოს ფონდის“ (ქეთევან ვარსიმაშვილი) მიერ წარმოდგენილი 7580 მოქალაქის ხელმოწერილი პეტიცია „საქართველოში გაფანტული სკლეროზით დაავადებული პაციენტებისათვის მეურნალობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის შესახებ“.



<https://parliament.ge/legislation/24403>



აქტივობა № 12

გაეცანით წყაროებს და იმსჯელეთ:

- როგორ უკავშირდება ეს ისტორია კონსტიტუციის შესაბამის მუხლებს? ხომ არ გახსენდებათ კიდევ რომელი უფლება ირლვევა ამ შემთხვევაში?
- რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოების ჩართულობა და პოზიციის აღნიშვნა ამა თუ იმ საზოგადოებრივი პრობლემის მოსაგვარებლად?

- რა როლი აქვს სამოქალაქო საზოგადოებას (არასამთავრობო ორგანიზაციებს, საინიციატივო ჯგუფებს, სათემო ორგანიზაციებს, მედიას) ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვასა და განხორციელებაში?
- როგორ უწყობს ეს ისტორია ხელს სამართლებრივი კულტურის დამკვიდრებას?

წყარო № 1

2021 წლის ნოემბერში ზემო სვანეთში, დიალიზის ცენტრის გახსნის მოთხოვნით, „მთის ამბებმა“, სვანეთის სათემო ორგანიზაციასთან ერთად, ადვოკატირების კამპანია წამოიწყო. „მთის ამბებმა“ პეტიცია შექმნა, 10 ათასზე მეტი ხელმოწერა შეაგროვა და ერთდროულად სამ უწყებაში შეიტანა: მთავრობის ადმინისტრაციაში, პარლამენტში და სახალხო დამცველის აპარატში. საზოგადოების ასეთ ჩართულობაზე განსაკუთრებული გავლენა „მთის ამბების“ სპეციალურმა რეპორტაჟმა „აყრა ან სიკვდილი“ მოახდინა. რეპორტაჟი სამი ადამიანისა და მათი ოჯახების მაგალითზე ჰქონდა იმ პრობლემაზე, რომელიც ზემო სვანეთში წლების განმავლობაში იდგა. მიუხედავად იმისა, რომ სვანეთში იყო დიალიზის აპარატი, ამ განხორით შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმის არარსებობის გამო დიალიზე დამოკიდებულ პაციენტებს არ შეეძლოთ საჭირო პროცედურის სვანეთში ჩატარება. სვანეთში მცხოვრებ ჰემოდიალიზზე დამოკიდებულ პაციენტებს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად (4-საათიანი პროცედურა) კვირაში სამჯერ ზუგდიდში ჩასვლა უწევდათ, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებასთან, დამატებით დროსთან და ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ხშირად პაციენტებს დიალიზის თერაპიის ჩასატარებლად საკუთარი სახლ-კარის დატოვებაც უწევდათ.



„მთის ამბებისა“ და სვანეთის სათემო ორგანიზაციის ადვოკატირების კამპანიამ დიდი როლი ითამაშა მიღებულ გადაწყვეტილებაში. 2022 წლის მაისიდან ზემო სვანეთში მცხოვრებ პაციენტებს შეუძლიათ, ჰემოდიალიზური თერაპია მესტიის ორ საავადმყოფოში ჩაიტარონ.

წყარო № 2

საქართველოს კონსტიტუციის

მუხლი 5. სოციალური სახელმწიფო

3. სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე. მაღალმთიანი რეგიონების განვითარებისათვის კანონი ქმნის განსაკუთრებულ პირობებს.

მუხლი 28. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

1. მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებაზე უზრუნველყოფილია კანონით.



საკანონმდებლო ინიციატივა

2019 წელს ეთნიკურად აზერბაიჯანელმა ახალგაზრდა აქტივისტებმა, პლატფორმა „სალამის“ წევრებმა, წამოიწყეს ადვოკატირების კამპანია „გვარი დამიბრუნება“. მათ სოფელ-სოფელ, კარდაკარ იარეს ხელმოწერების შესაგროვებლად. ეს როული პროცესი იყო, თუმცა მაინც მოახერხეს და 2021 წელს 27 ათასი ხელმოწერით პარლამენტს საკანონმდებლო ინიციატივით მიმართეს – მოითხოვეს გვარების რუსიფიცირებული დაბოლოებების მოშორება და ძველი ფორმით აღდგენა.



პრობლემის შესახებ

„1930-1940-იან წლებში, საბჭოთა კავშირში პასპორტიზაციის დროს, ჩვენი თემის ავთენტურ გვარებს დაამატეს რუსული „ოვ“ და „ევ“ სუფიქსები. დღევანდელი კანონმდებლობით, გვარის შეცვლის რამდენიმე მეთოდი არსებობს, თუმცა, სამწესაროდ, გვარის დაბოლოების შეცვლა თითქმის შეუძლებელია. პლატფორმა „სალამის“ ამ პრობლემის ირგვლივ 2019 წლიდან დაიწყო აქტიური კამპანია „გვარი დამიბრუნება“. ბენიამინ კასიმოლლუ (ამონარიდი მულტიმედიური პლატფორმა, WE'TALK-ის პოსტიდან).



აქტივობა № 13

გაეცანით ამონარიდს უურნალ „ინდიგოს“ სტატიიდან „რატომ ვიპრუნებთ გვარს? – ეთნიკურად აზერბაიჯანელი ახალგაზრდების კამპანია“. დაფიქრდით 14 წლის ბიჭის სიტყვებზე და იმსჯელეთ, რა ძალა აქვს მაგალითს? როგორ აისახება ასეთი ინიციატივები საზოგადოებაზე? რამდენად ჩანს ამ ისტორიაში სამართლებრივი კულტურა?

„27 ათასი ხელმოწერიდან 3370 გაგვიძათილეს ტექნიკური ხარვეზების გამო, ზოგან წელი აკლდა, ზოგან რაიონი იყო აღნიშნული და სოფელი აკლდა. ეს გადაწყვეტილება სასამართლოში გავასაჩივრეთ და ველოდებით. ეს კამპანია ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანი პროცესი იყო, ვიდრე მხოლოდ ხელმოწერების გროვება. ყველაზე კარგად მახსოვს 14 წლის ბავშვი, ჩემთან მოვიდა და მკითხა, ეს ყველაფერი რაში გჭირდებათო. დიდხანს ვუხსნიდი. ცოტა ხანში კი გავიგე, როგორ უყვებოდა სხვებს ჩვენს კამპანიაზე: ამ ქვეყანაში თურმე კანონის შეცვლა შეგვიძლიაო“. აითაჯ ხალილი



მართალია, პარლამენტმა შეგროვებული ხელმოწერების ნაწილი დაახარვება, მაგრამ მათმა ინიციატივამ შედეგი გამოიღო და ამავე თემაზე თავად პარლამენტმა მოამზადა კანონპროექტი – „ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებთან შეუსაბამო გვარის შეცვლის უფლების შესახებ“. უყურეთ ევრონიუსის სიუჟეტს „საქართველოს მოქალაქეების მოთხოვნა და ახალი კანონპროექტი“ და გაიგეთ მეტი ამის შესახებ.


<https://www.youtube.com/watch?v=CQLNUNGPpv4>



აქტივობა № 14

იმუშავეთ ჯგუფებად და ჩამოწერეთ იდეები თუ როგორ შეიძლება მოსწავლემ წვლილი შეიტანოს სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა-განვითარებაში. იდეები გააფორმეთ ვიზუალურად და გამოფინეთ სკოლაში.

შეაფასეთ საკითხთან დაკავშირებული თქვენი ამჟამინდელი ცოდნა. დაფიქრდით, რა დაგეხმარათ ან რამ შეგიშალათ ხელი ცოდნის გაღრმავებაში, სამომავლოდ რას გაითვალისწინებთ?




5. საზოგადოების დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ

განვლილ პარაგრაფში ჩვენ ვისაუბრეთ კანონალსრულების მნიშვნელობასა და მოქალაქის კანონშემოქმედებით პროცესში მონაწილეობაზე. ამ პარაგრაფში კი ყურადღებას გავამახვილებთ სამართლებრივი კულტურის კიდევ ერთ შემადგენელ ნაწილზე – დანაშაულის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულებაზე.



შეაფასეთ თქვენი წინარე ცოდნა. დაფიქრდით, რა სახის ინფორმაცია და აქტივობები დაგჭირდებათ, რომ დავალების შესრულების შემდეგ უკეთესი შედეგი მიიღოთ.



კომპლექსური დავალება

გაეცანით მოცემულ პარაგრაფს, აირჩიეთ რომელიმე დანაშაული (მაგალითად, ოჯახში ძალადობა, კიბერ-დანაშაული, ქურდობა, ტრეფიკინგი და ა.შ.) და შექმნით ვიდეოსიუჟეტი თემაზე „საზოგადოების როლი დანაშაულის შემცირებაში“.



ვიდეოსიუჟეტში თვალნათლივ წარმოადგინეთ:

- როგორ აისახება ეს დანაშაული როგორც ცალკეული პიროვნების ცხოვრებაზე, მის განვითარებასა თუ უსაფრთხოებაზე, ასევე, საზოგადოების ჰარმონიულ თანაცხოვრებაზე? სახელმწიფოზე?
- ადამიანის რომელი უფლებები ირღვევა მსგავსი დანაშაულის შემთხვევაში? ვინ და როგორ უნდა დაიცვას ეს უფლებები?
- როგორია საზოგადოების დამოკიდებულება აღნიშნულ დანაშაულთან მიმართებით?

რეკომენდაცია:

დავალების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაციას იპოვით სახელმძღვანელოს მოცემულ პარაგრაფში. ყურადღებით დაამუშავეთ მასალა და რვეულები მოინიშნეთ ყველა მონაკვეთი, რომლებიც ზემოთ მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგეხმარებათ.

დავალებაში ყურადღება გაამახვილეთ შერჩეულ დანაშაულსა და მის შედეგებზე, გამოიკითხეთ საზოგადოებრივი აზრი, გაეცანით დამატებით მასალას, კვლევებსა თუ სტატისტიკას. ყურადღება გაამახვილეთ მოქალაქეების როლზე. რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა ასეთი დანაშაულისა და მისი შედეგებისგან თავის დასაცავად, ვის მიმართოს, რა სერვისებით შეუძლია ისარგებლოს და ა. შ.



ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა

ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც. ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები სხვადასხვა პრევენციულ თუ დამცავ მექანიზმს ადგენს, რომლებმაც უნდა დაიცვას ადამიანები ძალადობისგან ან მოახდინონ შესაბამისი რეაგირება ძალადობაზე.

ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია. კონვენცია 2011 წელს მიიღეს, საქართველომ კი მისი რატიფიცირება 2017 წელს მოახდინა, რასაც ადგილობრივ კანონმდებლობაში ბევრი პიზიტიური ცვლილება მოჰყვა.

სამართლებრივი კულტურის განმარტებისას აღვნიშნეთ, რამდენად მნიშვნელოვანია თავად ადამიანების დამოკიდებულება დანაშაულისა თუ კანონის მიმართ. გამონაკლისი არც ოჯახში ძალადობაა. მართალია, პროგრესი არსებობს, დაიხვეწა სამართლებრივი ჩარჩო, იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება ძალადობის მიმართ, უფრო ნაკლები ადამიანი ამართლებს ძალადობას, მაგრამ მის აღმოსაფხვრელად კიდევ საჭიროა ნაბიჯების გადადგმა, როგორც კანონის აღსრულების, ისე საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდის კუთხით.

რას ნიშნავს ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა?

საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ განმარტავს:

| მუხლი 3. ოჯახში ძალადობა | მუხლი 3 ¹ . ქალთა მიმართ ძალადობა |
|---|---|
| ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. | <ol style="list-style-type: none">ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება, ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.ამ კანონის მიზნებისთვის ქალად მიიჩნევა აგრეთვე 18 წელს მიუღწეველი მდედრობითი სქესის არასრულწლოვანი. |

ძალადობის სახეები

ძალადობის შემთხვევების პრევენციის ან მასზე დროულად რეაგირებისათვის აუცილებელია, საზოგადოება იცნობდეს ძალადობის ფორმებსა და მის შედეგებს.

| | | |
|---|---|---|
| ფიზიკური ძალადობა | ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვებს; ჯანმრთელობის მდგომარეობას-თან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს მსხვერპლის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს; | |
| ფსიქოლოგიური ძალადობა | შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას; | |
| იძულება | ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება; | |
| სექსუალური ძალადობა | სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ; | |
| ეკონომიკური ძალადობა | ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი ნილის განკარგვის უფლების შეზღუდვას; | |
| არასრულწლო- ვანის კანონიერი ინტერესების უგულებელყოფა | მშობლის (მშობლების), სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/ და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ არასრულწლოვნის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საფრთხისაგან დაუცველობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია და შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე; | კუთვნილი ნილის განკარგვის უფლების შეზღუდვა. |



აქტივობა № 1

უყურეთ სოციალურ რეკლამებს და იმს-
ჯელეთ მათ სლოგანზე:

„ოჯახში ძალადობა ფილმი არ არის – ნუ იქნები მა-
ყურებელი – იმოქმედე!“ „დაეხმარე, სანამ გვიან არ არის“. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავ-
შირებით?



<https://www.youtube.com/watch?v=-Hu1DwXEv0w>

<https://www.youtube.com/watch?v=H-n5JO40AcM>



აქტივობა № 2

გაეცანით მოცემულ წყაროებს და იმსჯელეთ:

- რას ფიქრობთ მსხვერპლის, ბრალდებულისა და ადვოკატის პოზიციებზე?
- თქვენი აზრით, რატომ არ მიმართავს მსხვერპლი სამართალდამცავ უწყებებს დროულად? ან რატომ მიაქვს საკუთარი ჩვენება უკან?
- რატომ არის მნიშვნელოვანი დანაშაულის დროულად შეტყობინება?

წყარო № 1

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე მუშაობისას პრობლემად რჩება დანაშაულის ლატენტური ხასიათი, დაზარალებულთა მხრიდან დაგვიანებით მომართვა (რაც ხშირ შემთხვევაში ართულებს დევნის დაწყებისათვის საქართვის მტკიცებულებათა მოპოვებას, განსაკუთრებით, ოჯახური ნიშნით ჩადენილ სქესობრივ დანაშაულებზე), ქალთა და ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოებაში



არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები, საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე დაზარალებულის მიერ მოძალადის მამხილებელი ჩვენების მიცემაზე უარი (ამონარიდი „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ეკროპის საბჭოს კონვენციის (სტამბულის კონვენცია) ვალდებულებების კანონმდებლობაში ასახვის და მათი აღსრულების ეფექტიანობის შესახებ თემატური ანგარიშიდან).

პირს ბრალი ედებოდა შვილის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. თუმცა, მოძალადე მის მიერ ჩადენილ ქმედებას დანაშაულად არ აღიქვამდა. „ვისი რა საქმეა ჩემს შვილს ვცემ თუ არა. რა-საც მინდა, იმას ვიზამ.“

ასევე, ბრალდებული აგრესიულად იყო განწყობილი დაზარალებულის მიმართ და საყვედურობდა, რომ გამოძიების დაწყება მისი მიზეზით მოხდა.

წყარო № 2

ამონარიდები ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2016-2017 წლის მონიტორინგის ანგარიშიდან:

ოჯახში ძალადობის ერთ-ერთ საქმეზე ადვოკატმა შესავალი სიტყვის წარმოთქმისას აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობის საქმებზე პირის პასუხისმგებაში მიცემა არ უნდა ხდებოდეს: „ოჯახი ისეთი რამ არის, რა კონფლიქტიც არ უნდა მოხდეს, ის სახლის კედლებს არ უნდა გასცდეს. არ არის აუცილებელი მსგავსი მკაფიო მიდგომა პროფურატურის მხრიდან აღნიშნულ დანაშაულებზე.“

სამწუხაროდ, არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მსხვერპლმა არაერთხელ მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, თუმცა იმის გამო, რომ მათი მხრიდან არ იყო სათანადო რეაგირება, შემთხვევა ტრაგიკულად დასრულდა. ერთ-ერთ ასეთ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასკვნაში ვკითხულობთ: „ოჯახში ძალადობის განცხადებებთან მიმართებით სამართალდამცავი ორგანოების ზოგადმა და დისკრიმინაციულმა პასიურობამ, რომლის სრულყოფილი ილუსტრაციაა მოცემული საქმე, შექმნა კლიმატი ქალთა მიმართ ძალადობის შემდგომი გავრცელებისთვის“.

პირს ბრალი ედებოდა არასრულწლოვნის თანდასწრებით მეუღლის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. მოსამართლემ დაზარალებულს პოზიციის დაფიქსირება სთხოვა. მსხვერპლმა განაცხადა, რომ ეკონომიკურად დამოკიდებული იყო მოძალადებზე და არ უნდოდა ქმრის დასჯა.

„რაც შეუძლია, თავისი შრომით, ყველაფერს აკეთებს და არაფერს გვაკლებს. ის არის ჩემი მარჩენალი, მასზე ვართ დამოკიდებული მე და ჩემი შვილები, მის გარეშე ცხოვრების გაგრძელების მიედი არ მაქვს, ის გვარჩენს ყველას. მე არ ვაპირებ ოჯახის დანგრევას და არც არასდროს მიფიქრია ეგ. აპატიეთ და შედავათები გამოიყენეთ მის მიმართ.“

სამართლოს დასკვნაში ვკითხულობთ: „ოჯახში ძალადობის განცხადებებთან მიმართებით სამართალდამცავი ორგანოების ზოგადმა და დისკრიმინაციულმა პასიურობამ, რომლის სრულყოფილი ილუსტრაციაა მოცემული საქმე, შექმნა კლიმატი ქალთა მიმართ ძალადობის შემდგომი გავრცელებისთვის“.

ვიქტიმიზაცია (victimization) – ტერმინი „ვიქტიმიზაცია“ ეხება ქმედებას, რის შედეგადაც სხვა ადამიანი ხდება მსხვერპლი.

მეორეული ვიქტიმიზაცია (Secondary Victimization) – დაზარალებულისათვის/ მოწმისათვის შესაძლო ზიანის მიყენება მართლმსაჯულების პროცესში მისი მონაწილეობის შედეგად.



აქტივობა № 3

იმსჯელეთ, როგორ უწყობს ხელს დანაშაულზე არასათანადო რეაგირება მის გავრცელებაზე ნიადაგის შექმნას?



აქტივობა № 4

დააკვირდით დიაგრამებს და იმს-


კელეთ:

– რაზე მიანიშნებს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე დაწყებული გამოძიებისა და სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლებისა თუ გამოტანილი განაჩენების მატება?


ძალადობის პრევენციის ერთერთი გზა საზოგადოების ცნობიერების ზრდაა, ერთი მხრივ, საკუთარი უფლებების, ძალადობის სახეებისა და მათი შედეგების შესახებ, მეორე მხრივ კი, არსებულ საკანონმდებლო მექანიზმებთან დაკავშირებით, რომლებიც გვიცავს ძალადობისგან. როგორც ვხედავთ, წლებთან ერთად იზრდება მიმართვიანობა, რის ერთ-ერთი მიზეზიც შეიძლება სწორედ დაცვის მექანიზმებისა და ძალადობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ზრდა იყოს.




ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულებზე სისხლისამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები



■ განილული საქმეები განაჩენის გამოტანით
■ გამამტურებელი
■ გამამართლებელი



აქტივობა № 5

დაიყავით ჯგუფებად, ჩაატარეთ კვლევა, მოიძიეთ ინფორმაცია ძალადობისგან დაცვის მექანიზმების შესახებ და მოამზადეთ სოციალური რეკლამა: ძალადობისგან დაცვის მექანიზმები. მაყურებელს გააცანით, რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა ძალადობისგან თავის დასაცავად, ვის მიმართოს, რა სერვისებით შეუძლია ისარგებლოს და ა. შ. (სოციალური რეკლამა შეგიძლიათ, გამოიყენოთ კომპლექსური დავალების პროდუქტებიც – ვიდეოსიუჟეტში).

შეგიძლიათ, ეწვიოთ ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის საიტს <http://avng.ge/>

ეს საინტერესოა

იცოდით, რომ 112 აქვს სპეციალური აპლიკაცია, რომლითაც შესაძლებელია SOS ლილაკზე დაჭერით პოლიციის გამოძახება და ზუსტი ადგილმდებარეობის გაგზავნა?



აქტივობა № 6

ბუნებრივია, ოჯახში ძალადობის გარდა, სხვა ტიპის დანაშაულებიც არსებობს. ზოგიერთი მათგანი ადამიანებს შორის დაპირისპირებას და კონფლიქტის გამწვავებას მოსდევს, ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, როგორ მოვაგვაროთ კონფლიქტები მშვიდობიანად. კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები თქვენ უკვე ნასწავლი გაქვთ, ახლა კი დროა, ის დილემური სიტუაციის გადაჭრისთვის გამოიყენოთ.

წაიკითხეთ გამოგონილი ტიპური ისტორია, თითოეული მონაწილის ადგილზე წარმოიდგინეთ თავი და ეს ამბავი ისე დაასრულეთ, როგორც უველასთვის უკეთესი იქნებოდა. შემდეგ კი მიეცით რჩევები ისტორიის მონაწილეებს.

- რა საფრთხეები ან რისკები შეიძლება მოჰყვეს კონფლიქტის გაგრძელებას?
- დაფიქრდით და იმსჯელეთ, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ დაპირისპირებული მხარეები?
- როგორ უნდა მოქცეულიყვნენ სტუმრები ასეთ შემთხვევაში?
- რა რისკის შემცველია კონფლიქტურ სიტუაციებში იარაღის გამოყენება?
- როგორ უნდა მოქცეულიყო მასპინძელი?
- თქვენი აზრით, რატომ გადაწყვიტა მან 112-ში დარეკვა?
- რა მოხდებოდა, ასე რომ არ მოქცეულიყო?
- თქვენ როგორ მოიქცეოდით მათ ადგილას?
- როგორ უნდა მოგვარდეს ორ მხარეს შორის კონფლიქტი მშვიდობიანად?
- რა გავლენას ახდენს მოქალაქეთა შორის კონფლიქტი საზოგადოებაზე? სახელმწიფოზე?



მარიამმა გადაწყვიტა, უნივერსიტეტის დასრულების აღსანიშნავად სახლი ქალაქებით ექირავებინა და მეგობრებთან ერთად დაუვიწყარი საღამო გაეტარებინა. საკუთარი ბავშვობის მეგობრებიც დაპატიჟა და თანაკურსელებიც, მათი უმეტესობა ერთმანეთს არ იცნობდა, მარიამის აზრით, ეს კარგი დრო იყო ერთმანეთთან დასახლოებლად. საბოლოოდ, ქალაქებით მდებარე ლამაზ, მყუდრო სახლში 30-მდე ახალგაზრდა შეიკრიბა. მშვენიერი ამინდი იყო, ეზოში გაბმული ნათურები და მშვიდი მუსიკა გარემოს კიდევ უფრო ზღაპრულ იერს აძლევდა. ახალგაზრდები ეზოში ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, ალკოჰოლურ სასმელებს მიირთმევდნენ და საუბრობდნენ, სიცილისა და მხიარულების ხმა ისმოდა. უცებ ერთ-ერთ ჯგუფში ჩოჩქოლი ატყდა. მარიამის ბავშვობის მეგობარი და თანაკურსელი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. მხიარულება მყისიერად შეწყდა და ჰაერში მჭახედ გაისმა ერთმანეთისთვის ნათქვამი უცენზურო სიტყვები. დაპირისპირების ზუსტი მიზეზი ვერავინ გაიგო. გინებასთან ერთად, მხოლოდ ეს ფრაზები ისმოდა:

- ეს როგორ გამიბედე, ჩემი ჭიქა იყო, რატომ გადაასხი? ამას არ შეგარჩენ!
- ვის ემუქრები! შენ ვინმეში ხომ არ გეშლები?

ყველა დაპირისპირებული სტუმრებისკენ გაემართა, ზოგი გაშველებას ცდილობდა, ზოგიც საკუთარი მეგობრის დაცვას. მარიამმა 112-ში დარეკა.

ცალკეული მოქალაქის როლი

როგორც ვნახეთ, სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია გამართული და ობიექტური სამართლებრივი მექანიზმები, რაც ზრდის საზოგადოებაში კანონების პარტივისცემას. საზოგადოების მზაობის გარეშე, დაიცვას კანონი და წინ აღუდგეს დანაშაულს, სამართლებრივი კულტურის განვითარება წარმოუდგენელია. უნდა გვახსოვდეს, რომ სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებაში წვლილის შეტანა ყველას შეგვიძლია. ამას იოლად მოვახერხებთ უფლებების დაცვითა და მათი გამოყენებით.



აქტივობა № 7

გაეცანით ქართველი ემიგრანტის, ჯორჯ პაპაშვილისა და მისი მეუღლის, ჰელენ პაპაშვილის, წიგნის – „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ადაპტირებულ ამონარიდს და იმსჯელეთ:

- რატომ იყო ნაწარმოების მთავარი გმირისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი, დაეცვა საკუთარი უფლება და თავი დამნაშავედ არ ელიარებინა? რატომ არჩია მან მცირე ჯარიმის გადადას ბევრად რთული და ძვირი გზა იმისთვის, რომ საკუთარი უდანაშაულობა დაემტკიცებინა? როგორ აისახება ასეთი მოქალაქეობრივი პოზიციის არსებობა სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებაზე?
- იმსჯელეთ მისტერ კოენის ნათქვამზე, როგორ ალიქვამს ის საკუთარ მოქალაქეობრივ უფლებას? როგორ აისახება მოქალაქის ასეთი



ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილები

დამოკიდებულება დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამართლებრივი კულტურის განვითარებაზე?

- შეაფასეთ სერგეისა და სხვა მეგობრების საქციელი, იმსჯელეთ, თავად როგორ მოიქცეოდით?

„ექვსი თვის ჩასულიც არ ვიყავი ამერიკაში, რომ კინალამ ციხეში ამოვყავი თავი. ეს ამბავი ასე მოხდა:

ხუთ-ექვს ახალგაზრდასთან ერთად პარკში ვსეირნობდი... გზად ლამაზი ხე შემოგვხვდა. თეთრად გადაპენტილიყო, გეგონებოდა, აქაფებულიაო.

— ყვავილები, ყვავილები, — აღრიალდა ერთი რუსი, სახელად კირილე, — დავგლევ, თაიგულს გავაკეთებ და ჩემ მეგობარ ქალს მივართმევ.

ამ კირილეს არ ვიცნობდი, სადღაც გზაში მოგვეტმასნა.

კირილეს სხვებმაც აუბეს მხარი.

— დავგლიჯოთ! დავგლიჯოთ ყვავილები, თაიგულებად შევკრათ და მეგობარ ქალებს მივართვათ.

— ხე რატომ უნდა გავაფუჭოთ, — ვუთხარი მე, — ცოტა ტვინი გაანძრიეთ, თუ გინდათ, ლამაზ ქალს დაუმეგობრდეთ, სთხოვეთ, სასეირნოდ გამოგყვეთ, უთხარით, შესანიშნავ რაღაცას გაჩვენებთ, სახლისოდენა თაიგულს, რომელიც პირდაპირ მინიდან იზრდება-თქო. იშვიათი სანახავია-თქო.

არა, არავინ გამიგონა. მაინცდამაინც ხე უნდა დაემტვრიათ. მგლებივით მიესივნენ და ნანილ-ნანილ დაუწყეს გლეჯა. ხტოდნენ, კონწიალობდნენ, ვინ უფრო მეტ ტოტს მოტეხსო! ლამის ცუდად გავხდი...

უცებ კირილე, რომელსაც უკვე ყველაზე დიდი თაიგული შეეკრა, ხის კენწეროდან ძირს ჩამოცოცდა და მითხრა:

— ფეხსაცმლის ზონარი უნდა შევიკრა, ეს თაიგული ერთი წუთით დამიჭირე, მალე დავბრუნდები.

მეც დავუჭირე და იმავე წუთას გვერდით პოლისმენი გაჩნდა.

— კარგია, კარგი! — თქვა მან. — ეს ხომ საზოგადო ქონების განადგურებაა.

გვარები გამოგვითხა და პატარ-პატარა ქალალდებზე ჩამოწერა.

— რასა შვრება? — ვკითხე სერგეის.

— უწყებებს გვაძლევს!


— უწყებებს?

— ჰო, სასამართლოში უნდა წარვდგეთ.

— დაპატიმრებულები ვართ?

— თითქმის, თუ ჯარიმას გადავიხდით საქმე მიჩუმდება, მაგრამ თუ თავის არიდებას მოვინდომებთ და უწყებებს გადავყრით, მოგვნახავენ და ციხეში გამოგვამწყვდევენ.

— რა გვარი ხარ, ძმობილო? — მკითხა პოლისმენმა.



შევეცადე, დამიჯერებინა, რომ ტოტები მე არ დამიმტვრევია, მაგრამ არ დამიჯერა. მითხრა – ნუ მედავები, თორებ აქვე დაგაპატიმრებო.

ასე რომ, ჩემთვისაც გამოწერა უწყება და წავიდა. ის ახალგაზრდა კი, ის კირილე, აღარ გამოჩნდა.

– საშინელი საქმე დაგვემართა, – ვთქვი მე.

– არაფერია, – გაიცინა სერგეიმ.

– არაფერი?..

– მომხედე, – მითხრა სერგეიმ, შენ არც კი დაგჭირდება სასამართლოში წასვლა, ფული გაგზავნე და თავი დამნაშავედ სცანი.

– კი მაგრამ, რომ არა ვარ?

– თქვი, ვარ-თქო, დროს მოიგებ!

– მაშ პოლისმენი სწორი ყოფილა, რომ არავის უჯერებს, თუკი ჯერ იტყვიან, არაფერი დამიშავებიაო და მერე უკულმა შეაბრუნებენ, დავაშავეო.

– თუ თავს დამნაშავედ არ სცნობ, სასამართლოს წინაშე უნდა წარდგე, საქმე უნდა გაიჩინო.

– ჰოდა, წარვდგები კიდეც!

– ერთი დღის ხელფასს დაკარგავ!

– დაგვარგო!.. თუნდაც ბორკილების მოუხსნელად ჩამომახრჩონ, იმას ვერ დავიბრალებ, რაც არ ჩამიდენია.

სერგეიმ თქვა:

– რა იქნება, მოხუცი კოენი გვენახა, რა ხანია, ამერიკაში ცხოვრობს და იქნებ რამე მოიფიქროს.

– აი, რა, – მიუგო მისტერ კოენმა, როცა ჩვენი ნაამბობი მოისმინა, – უკვე 47 წელია, რაც ამერიკის სრულუფლებიანი მოქალაქე ვარ. თვით პრეზიდენტმა ჰეისმა მომიწერა ხელი. წადი სასამართლოში. როცა პირველ კითხვას მოგცემენ, უთხარი – არა ვარ დამნაშავე, თქვენო ლირსებავ-თქო. მერე ადექი და შენი ამბავი მოუყევი. რა თქმა უნდა, შეიძლება, უხეირო მოსამართლე შეგხვდეს, ან ძალიან დაღლილი იყოს და ყურადღებით არ მოგექცეს, ანდა უცხოელებს არ თანაუგრძნობდეს, მაგრამ ასეთები ჩვენში თითზე ჩამოსათვლელია. თუ მაინცდამაინც ცუდი მოსამართლე შეგხვდა, გადაიხადე ჯარიმა, დავას ნუ დაიწყებ, ოლონდ ამერიკას ნუ შეიძულებ, მაშინვე მოდი და შემატყობინე.

– რას გააკეთებ?

– როგორ თუ რას, რა თქმა უნდა, შავ კენჭს ჩავუგდებ მომავალ არჩევნებზე. თუ წესიერად არ მოიქცევა, მეტს აღარ ავირჩევთ.

მეორე დილას სასამართლოში მივედი. ჯერ სხვების სახელები წაიკითხეს, ყველამ აღიარა დანაშაული, ჯარიმის ფული ყველას გამოეგზავნა.

აი, მეც გამომიძახეს, მხნეობა მოვიკრიბე და დავიყვირე: – დამნაშავე არა ვარ, თქვენო უმნიკვლოებავ!..

– ეს ოფიცერი კი ამბობს, რომ თქვენმა მეგობრებმა დაარღვიეს მუნიციპალიტეტის ბრძანებულება, თურმე ხეს აფუჭებდით, ტოტებს ამტვრევდით.

– დიახ, სერ, სხვები ამტვრევდნენ, მე არა!

– რამე დამამტკიცებელი საბუთი გაქვთ?

– არა, სერ. ჩემთან მეგობრები იყვნენ, მაგრამ დღეს ვერ შეძლეს მოსვლა, ყველამ დამნაშავედ ცნო თავი და ჯარიმა გამოაგზავნა. ასე უფრო იოლად გამოვიდნენ

– ერთი დღის ხელფასი შეინარჩუნეს.

– რატომ შენც ეგრე არ მოიქცეცი?

– იმიტომ, რომ, თუ დამნაშავე ვარ, ვაღიარებ ხოლმე, მაგრამ როცა არა ვარ,

ვერავინ მაიძულებს, დავისრალო. გინდა გითქვამს, დამნაშავე ვარო, როცა არ ხარ და გინდა გითქვამს, არა ვარო, როცა ხარ! სულ ერთია. ორივეჯერ სტყუიხარ...

– დიახ, ასეა... თქვენ ნამდვილად დაინახეთ, რომ ეს კაცი ხეს ამტვრევდა? – ჰკითხა მისმა უმწიკვლოებამ პოლისმენს.


– არა, სერ. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, მაგრამ დანარჩენები გამოტყდნენ. ეგეც იმათთან იყო და ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა.

– ოფიცერო, მე მწამს, რომ ეს კაცი გულწრფელი ადამიანია. თქვენ ალბათ, შეცდით. საქმე წარმოებით ისპობა!

და მისი უმწიკვლობა, დიდი ამერიკელი მოსამართლე, ჩემკენ გადმოიხარა და იცით, რა მითხრა მე უბირს, უენოს, ექვსი თვის ჩამოსულ გამოუცდელ უცხოელს? ახალგაზრდავ, მე მსურს, ხელი ჩამოგართვათო და მართლაც ჩამომართვა. მთელი დარბაზი გვიყურებდა.



მთარგმნელი – ანდუყაფარ ჭეიშვილი



შეაფასეთ საკითხთან დაკავშირებული თქვენი ამჟამინდელი ცოდნა. დაფიქრდით, რა დაგეხმარათ ან რამ შევიშალათ ხელი ცოდნის გაღრმავებაში, სამომავლოდ რას გაითვალისწინებთ?

ლექსიკონი

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია – მიიღეს რომში 1950 წლის 4 ნოემბერს. მომდევნო წლებში მასში შევიდა ცვლილებები, რამაც გააფართოვა მისი უფლებამოსილებები. კონვენცია შესასრულებლად სავალ-დებულოა ხელმომწერი (ევროპული) ქვეყნებისათვის. საქართველო კონვენციას 1999 წლის 27 აპრილს შეუერთდა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია – მიღებულია გაერთიანებული ერების მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს. საქართველომ დეკლარაციის რატიფიცირება 1991 წლის 15 სექტემბერს, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მაღევე მოახდინა.

ადამიანის უფლებები (human rights) – მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული უფლებებია. შესაბამისად, სახელმწიფოები აღიარებენ ადამიანის ძირითად თავისუფლებებს (fundamental freedoms) და ქმნიან მათი აღსრულების გარანტიებს.

ავტორიტარული რეჟიმი – როცა ქვეყანას მართავს ერთი პირი ან ადამიანთა მცირე ჯგუფი, ხოლო მოქალაქეები ამ პროცესში არ მონაწილეობენ. უფრო მეტიც, მათ აკრძალული აქვთ მონაწილეობა. მთავრობა თვლის, რომ მან „იცის თავისი საქმე“ და სხვა პირთა დაუხმარებლადაც მოახერხებს მიზნის მიღწევას.

აიხმანი ოტო (1906-1962), ნაცისტური გერმანიის მაღალჩინოსანი, სამხედრო დამნაშავე, მონაწილეობდა ებრაელი ერის გენოციდში, რომლის დროსაც ნაცისტებმა 6 მილიონი ებრაელი გაანადგურეს. შეიძყრეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს ისრაელში.

გულაგ – (რუს. ГУЛАГ – Главное управление лагерей – ბანაკების მთავარი სამმართველო), საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკების ქსელი, რომლის შექმნაც 1919 წლიდან იწყება. ბანაკებში მოთავსებული მილიონობით ადამიანი (ოფიციალური შეფასებით, 14 მილიონი, ალტერნატიული წყაროების მიხედვით – 18 მილიონზე მეტი) გამოიყენებოდა მონური შრომისათვის საბჭოთა კავშირის განსაკუთრებით აუთვისებელ ტერიტორიებზე. 1959 წლისთვის, ოფიციალური მონაცემების თანახმად, ბანაკებში ცოცხლად დარჩენილთა რიცხვი 2.5 მილიონს არ აღემატებოდა.

დემოკრატიული მმართველობა (დემოკრატიული სახელმწიფო) – როცა სახელმწიფოს მართვაში ჩართულია მთელი საზოგადოება. მართალია, უშუალოდ პროცესს მთავრობა ახორციელებს, მაგრამ მიზნებს მოქალაქეები განსაზღვრავენ. თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით და საზოგადოებრივი ჯგუფების ჩართულობით, ისინი არა მარტო მონაწილეობენ პროცესში, არამედ თავად განსაზღვრავენ მის შედეგებს.

დისიდენტები (ლათინური dissideo – არ ვეთანხმები) – ადამიანები (ძირითადად, სოციალისტური ბლოკის ქვეყნების მოქალაქეები), რომლებიც ხმამაღლა აფიქსირებდნენ ტოტალიტარული რეჟიმისადმი პროტესტს. ასეთ ადამიანებს ან ხანგრძლივი ვაჭით აპატიმრებდნენ, ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში ათავსებდნენ.

დისკრიმინაცია – ლათინურად განსხვავებას ნიშნავს და გულისხმობს ადამიანის უფლებათა შეზღუდვას ან შელახვას სოციალური, რასობრივი, ეროვნული, ენობრივი, პოლიტიკური, რელიგიური ან სხვაგვარი მდგომარეობის მიხედვით.

ერი – ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთობა, რომელთა წევრები თავს აღიქვამენ ერთიანი ისტორიული, ტრადიციული კულტურული ჯგუფის ნარმომადგენლებად. ტერმინ „ერის“ საყოველთაოდ აღიარებული განმარტება არ არსებობს.

ვებერი მაქსიმილიან კარლ ემილ (1864-1920) – გერმანელი სოციოლოგი და ფილოსოფოსი. ითვლება თანამედროვე სოციოლოგის ერთ-ერთ უმთავრეს ფუძემდებლად.

თავისუფლების დიდი ქარტია (Magna Carta Libertatum) – ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ინგლისის მეფესა და მის წინააღმდეგ აჯანყებულ ინგლისელ ბარონთა შორის 1215 წელს. ხელშეკრულებით შეიზღუდა მეფის ძალაუფლება და საფუძვლად დაედო ინგლისში საპარლამენტო სისტემის შექმნას. ხელშეკრულება მიიჩნევა სამართლებრივი სახელმწიფოსა და პიროვნების უფლებების დასაცავად შექმნილ ერთ-ერთ უპირველეს დოკუმენტად.

ისნის „კარავი“ – დაწესებულება, რომლის დარსებაც მოითხოვა ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილმა XII საუკუნის ბოლოს, თამარის მეფობის პერიოდში. მას უნდა ჰქონდა საკანონმდებლო უფლებები და დაკომპლექტებული ყოფილიყო დიდგვაროვნებისა და ქალაქების ზედაფენის წარმომადგენლებისგან. ბევრი მკვლევარი „კარვის“ დაარსებას საქართველოში პარლამენტარიზმის დამკვიდრების პირველ მცდელობად მიიჩნევს.

იურიდიული პირი – განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი ორგანიზებული წარმონაქმნი. იურიდიული პირი შეიძლება იყოს საჯარო (სახელმწიფო სტრუქტურა ან ადგილობრივი მმართველობის ორგანო) ან კერძო (არასამენარმეო ან სამენარმეო/კომერციული) სამართლის სუბიექტი.

კანონი – სოციალური ქცევის დადგენილი და საზოგადო წესები, რომლებსაც ზურგს უმაგრებს სახელმწიფოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტი.

კანონმორჩილება – მოქალაქეთა გააზრებული არჩევანი, მხარი დაუჭირონ საერთო გადაწყვეტილებით მიღებული წესების შესრულებას.

კანტი იმანუელ (1724-1804) – გერმანელი ფილოსოფოსი, თანამედროვე გერმანული და მსოფლიო ფილოსოფიის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი. გერმანული იდეალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

კონვენცია – სახელმწიფოთა მიერ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დადებული საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის შესრულება სავალდებულოა მისი ხელმომწერი ქვეყნისათვის.

კონსოლიდაცია – განმტკიცება, გაერთიანება, შემჭიდროება (პირთა, ორგანიზაციათა და სხვ.).

კონსტიტუცია – ლათინური სიტყვაა და დადგენას, დაწესებას ნიშნავს.

კონცენტრაცია (ლათინ. concentratio) – რაიმეს (ამ შემთხვევაში – ძალაუფლების) მოგროვება, თავმოყრა, ერთად დაჯგუფება.

ლინკოლნი აპრამ (1809-1865) – აშშ-ის მე-16 პრეზიდენტი (1861-1865). შეინარჩუნა აშშ-ის სახელმწიფო მთლიანობა აშშ-ში ჩრდილოეთსა (ქვეყნის ერთიანობის მომხრები) და სამხრეთს (აშშ-გან გამოყოფის მომხრები) შორის მიმდინარე სამოქალაქო ომის პერიოდში (1861-1865). მოკლეს სამხრეთელებმა.

მარქსი კარლ ჰაინრიხ (1818-1883) – გერმანელი ფილოსოფოსი და პოლიტიკური თეორეტიკოსი. ითვლება სოციალიზმის ერთ-ერთ და კომუნიზმის უმთავრეს შემქმნელად.

მირანდას უფლებები – მოქალაქის უფლება, პოლიციის მიერ მისი დაკავებისას არ მისცეს ჩვენება (შეინარჩუნოს „დუმილის უფლება“) და მოითხოვოს დამკველი (ადვოკატი). თავის მხრივ, სამართალდამცველ ორგანოებს აქვთ ვალდებულება, დაკავებისას დაკავებულს განუმარტონ მისი უფლებები.

მონტესკიე შარლ დე (1689-1755) – ფრანგი მოაზროვნე და ფილოსოფოსი. მისი ნაშ-

რომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „კანონთა გონი“ (1748), სადაც ავტორმა წამოაყენა ძალაუფლების დანაწილების იდეა.

მოსაფი – ისრაელის სახელმწიფოს საგარეო დაზვერვის სააგენტო, ისრაელის უშიშროების სამსახური.

მოქალაქეთა მონაწილეობითი მექანიზმები – ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის კანონმდებლობითა და სხვა ნორმატული აქტებით განსაზღვრული ფორმები.

მოქალაქეობა – იურიდიულად გაფორმებული კავშირი ინდივიდსა და სახელმწიფოს შორის, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქისა და სახელმწიფოს უფლებებსა და მოვალეობებს ერთმანეთის მიმართ.

მუსოლინი ბენიტო ამილკარე ანდრეა (1883-1945) – ფაშიზმის, როგორც იდეოლოგიის, შემქმნელი, იტალიის დიქტატორი 1922-1945 წლებში. დიდი გავლენა მოახდინა სხვა დიქტატორების (ჰიტლერი, სტალინი, ფრანკო) პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე. სიკვდილით დასაჯეს პარტიზანებმა.

ნორმატული აქტი – ხელისუფლების ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მიღებული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი გამოყენების წესს.

ორგანული კანონი – კანონი, რომლის მიღების ვალდებულებაც არსებობს კონსტიტუციის შემსრულებელი (მაგალითად, თუ კონსტიტუციაში წერია, რომ რაიმე სფერო შესაბამისი კანონით უნდა დარეგულირდეს, ასეთი კანონი ორგანულად ითვლება). ორგანული კანონი იერარქიულად უფრო მაღლა დგას, ვიდრე ჩვეულებრივი კანონი.

პოლიტიკური უფლებები – ადამიანის უფლებები, რომლებიც გულისხმობს ქვეყნის მმართველობის პროცესში საზოგადოების მონაწილეობას (მაგალითად, მონაწილეობას არჩევნებში, ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში). განსაკუთრებით ძლიერდება ბოლო 2-3 საუკუნის მანძილზე და XX საუკუნეში შეუქცევადი ხდება.

პროგრესული საშემოსავლო გადასახადი – სისტემა, როდესაც მინიმალური საშემოსავლო გადასახადი საერთოდ არ იძეგრება, ხოლო რაც უფრო მაღალია შემოსავალი, იზრდება გადასახადის განაკვეთიც.

პროტესტანტიზმი – ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, კათოლიკიზმსა და მართლმადიდებლობასთან ერთად. საბოლოოდ ჩამოყალიბდა რეფორმაციის პერიოდში – (XVI-XVII საუკუნეებში).

პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული – მაქს ვებერის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი ნაშრომი, რომელშიც გაანალიზებულია კავშირი რელიგიურ იდეებსა და ეკონომიკურ ქცევას შორის. კვლევის თანახმად, ქრისტიანობაში პროტესტანტული მიმართულების გაჩერამ დიდი გავლენა მოახდინა კაპიტალიზმის განვითარებაზე.

რეცესია (ინგლ. Recession) – ეკონომიკის (მთლიანი შიდა პროდუქტის) ზრდის ტემპების შენელება ან მკვეთრი კლება, როცა ხდება მოსახლეობის შემოსავლებისა და ვაჭრობის შემცირება, ეცემა უძრავი ქონების ფასები. რეცესიას იწვევს ომები, ეპიდემიები, სავალო კრიზისები, დეფიციტი პროდუქტის მიწოდებაში, მაღალი ინფლაცია და ა. შ. თუ რეცესია წლების განმავლობაში გრძელდება, მას დეპრესიას უწოდებენ. თუ ვარდნა ხანძოება – სტაგნაციას.

საზოგადოება – საერთო ინტერესების, ფასეულობებისა და მიზნების მქონე ადამიანთა მყარად მოწესრიგებული ერთობა, რომელსაც თანაცხოვრების სტრუქტურირებული მთლიანობის სახე აქვს. საზოგადოებაში ურთიერთთანამშრომლობა აუცილებელია

ინდივიდუალური და საზოგადოებრივი მიზნების მისაღწევად.

საზოგადოებრივი ხელშეკრულება – საზოგადოების სხვადასხვა მხარეს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ადამიანები მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საკუთარი უფლებების ნაწილობრივი დათმობით საზოგადოებისაგან იღებენ დაცვის მეტ გარანტიებს. ამ თეორიის შემქმნელთაგან განსაკუთრებით ცნობილი არიან თომას პობსი და უან-უაკ რუსო.

საკონსტიტუციო სასამართლო – ორგანო, რომელიც განიხილავს კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხებს. თუ მოქალაქე მიიჩნევს, რომ ის არა სხვა ადამიანმა, არამედ თავად არასწორად შედგენილმა კანონმა დაჩაგრა, ის მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით. თუ დადგინდა, რომ რომელიმე კანონი ეწინააღმდეგება ქვეყნის კონსტიტუციით აღიარებულ სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპს, მაშინ სახელმწიფომ ყველა მოქალაქის სასარგებლოდ უნდა შეცვალოს კანონი.

სამართლებრივი კულტურა – საზოგადოების მხრიდან კანონის იურიდიული და მორალური მხარდაჭერა.

სამართლებრივი სახელმწიფო – დემოკრატიული სახელმწიფო, რომლისთვისაც დამახასიათებელი და ნიშანდობლივია: კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება, ადამიანის უფლებების დაცვა.

სამოქალაქო ბიუჯეტი (თანამონაწილეობითი ბიუჯეტირება) – მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში ცალკე პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი თანხები, რომლებიც უშუალოდ მოქალაქეთა წარმოდგენილი იდეების შესაბამისად იხარჯება. ხედვები/პროექტები, რომლებიც საზოგადოების ყველაზე მეტ მხარდაჭერას მოიპოვებს, ფინანსდება თვითმმართველობის ბიუჯეტიდან და ხორციელდება თავად თვითმმართველობების მიერ.

სამოქალაქო უფლებები – ადამიანის უფლებები, რომლებიც გულისხმობს ადამიანის ისეთ ძირეულ უფლებებს, როგორებიცაა პირადი თავისუფლება, ოჯახისა შექმნისა და კერძო საკუთრების უფლება და ა. შ. ადამიანის უფლებებიდან სამოქალაქო უფლებები სხვა უფლებებზე ადრე ვითარდება და, ფაქტობრივად, მისი ისტორია თითქმის კაცობრიობის ცივილიზაციის ისტორიის მანძილზე გრძელდება.

საშემოსავლო გადასახადი – საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი – შემოსავლის განსაზღვრული პროცენტი, რომელსაც იხდიან ფიზიკური პირები.

სოციალურ-ეკონომიკური უფლებები – ადამიანის უფლებები, რომლებიც გულისხმობს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობის, განათლების, სოციალური მინიმუმის მიღების (პენსიები, უმუშევართა დახმარება) უფლებები. შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებული არიან, სათანადო ღონისძიებები გაატარონ ამ მიმართულებით, შექმნან შესატყვისი სისტემები (განათლების, ჯანდაცვის და ა. შ.). სხვა უფლებებისაგან განსხვავებით, ეს უფლებები ყველაზე გვიან ვითარდება (XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან და, განსაკუთრებით, XX საუკუნეში).

სტიგმატიზაცია – (სტიგმა – ძველ საბერძნეთში დამღა, რომელსაც პატრონი მონას სხეულზე ადგებდა). საზოგადოების მიერ ადამიანის/ადამიანთა ჯენუფის გარიყვა იმიტომ, რომ ის ჩვენ არ გვგავს, ან მისი რატომლაც გვეშინია, ან მას არ ვთვლით საზოგადოების ღირსეულ წევრად.

სუვერენიტეტი – უმაღლესი ძალაუფლების ქონა. სუვერენული სახელმწიფო სხვების ჩაურევლად ახორციელებს ძალაუფლებას თავის სამმართველო ტერიტორიაზე. ეს არის სახელმწიფოს უზენაესობა თავის საშინაო საქმეებში და დამოუკიდებლობა საგარეო ურთიერთობებში.

ტოტალიტარიზმი – ანტიდემოკრატიული პოლიტიკური წყობა, რეჟიმი, რომლის დრო-საც სახელმწიფო სრულად არის გაბატონებული საზოგადოებასა და პიროვნებაზე.

ტროიკები – საბჭოთა „დიდი ტერორის“ ეპოქაში ძალოვანი უწყებების წარმომადგენ-ლებისა და კომუნისტური პარტიული აქტივისტებისგან ჩამოყალიბებული სამკაციანი ჯგუფები, რომლებიც ყოველგვარი კანონის გვერდის ავლით, ერთპიროვნულად ასამართლებდნენ ე. წ. „ხალხის მტრებს“. ტროიკები არ იყვნენ ვალდებული, წარ-მოედგინათ დანაშაულის მტკიცებულება. ბრალდებულს არ ჰქონდა დაცვის საშუალე-ბა. როგორც წესი, განაჩენი სიკვდილით დასჯა (დახვრეტა) იყო.

ტროცისტები – ბოლშევიკი რევოლუციონერის, ვლადიმერ ლენინის პოლიტიკური მემ-კვიდრის, ლევ ტროცკის (1879-1940) მომხრეთა სახელწოდება. ტროცკისა და სტალინის დაპირისპირება ძალაუფლებისათვის ბრძოლისას სტალინის გამარჯვებით დასრულდა. ამის შემდეგ დაიწყო ტროცკის მომხრეთა (და მათი ოჯახების წევრთა) ფიზიკური გა-ნადგურება. საბჭოთა ტერორის პერიოდში „ტროცკისტობის“ ბრალდებას უყენებდნენ არა მარტო ტროცკის მომხრებს, არამედ ხელისუფლებისათვის არასასურველ ნების-მიერ ადამიანს, რაც ამ ადამიანის განადგურების საბაბი ხდებოდა.

უდანაშაულობის პრეზუმუცია – სისხლის სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმად, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი და ბრალდებული არ ჩაითვ-ლება დამნაშავედ მანამ, სანამ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სასამართლო არ დაადგენს ამას. ამასთან დანაშაულის ჩადენის დამტკიცება მთლიანად ევალება ბრალმ-დებელ მხარეს.

ფიზიკური პირი – სამოქალაქო სამართალში – ცალკეული პირი, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, განსხვავებით იურიდიული პირისაგან, რომელიც კოლექტიური წარმონაქმია.

ფრანსი ანატოლი (ნამდვილი სახელი – ანატოლ ფრანსუა ტიბო, 1844-1924) – ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი (1921).

ძალაუფლების დანაწილება – უფლებამოსილებების გამიჯვნა ხელისუფლების სხვადა-სხვა შტოს შორის, როდესაც ამ შტოებს საკუთარი უფლებამოსილებები აქვს და ერთმანეთს აბალანსებს.

ძალაუფლების პორტონტალური დანაწილება – ძალაუფლების დანაწილება საკანონ-მდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად.

ჯეფერსონი თომას (1743-1826) – „აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ავტორი, აშშ-ის მესამე პრეზიდენტი (1801-1809).

ჰიუგო ვიქტორ-მარი (1802-1885) – ფრანგი რომანტიკოსი მწერალი, პოეტი და სახელ-მწიფო მოღვაწე.

ჰობის თომას (1588-1679) – ინგლისელი ფილოსოფოსი. ცნობილ ნაშრომში „ლევიათანი“ აცხადებს, რომ აუცილებელია, ჩამოყალიბდეს ადამიანებს შორის, ადამიანებსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დადგენილი ნორმები. ამ ნორმების დაცვის გა-რანტი სახელმწიფო უნდა იყოს.

ჰოლოდომორი – საბჭოთა ხელისუფლების მიერ მოსახლეობისათვის სურსათის ჩა-მორთმევით გამოვეული შიმშილობა უკრაინაში 1932-1933 წლებში, რომელმაც, სხვადასხვა შეფასებით, 1-იდან 12 მილიონამდე ადამიანი იმსხვერპლა.